საერთო საქმე

№26 (380) • 20 ივლისი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო

ზვიად კვაჭანტირაძე:

ყველა გადაწყვეტილება ქვეყნის კეთილდღეობით იქნება ნაკარნახევი

გიულენი, გიული და ოდესის გუბერნატორი მიშა

თურქეთში სამხედრო გადატრიალება ჩავარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩავარდა სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების ავანტიურისტული გეგმა

ირაკლი გოგოხია:

ბედნიერებაა, როცა შენს ქალაქს ემსახურები...

სოსო არჩვაძე:

200 მილიონი ერთნახევარზე რომ გავამრავლოთ, ეს ნიშნავს, რომ 300-350 მლნ. ლარის მოგებას მიიღებს სახელმწიფო ამ პროექტით...

ზაალ კასრელიშვილი:

თარხან ბათირაშვილი იყო ის ფარი, რომელიც საქართველოს ტერორიზმისგან იცავდა

სამი განრისხებული ქალი და ერთი უსამართლოდ დასჯილი ბიჭი

„თავისუფლება, სწრაფი განვითარება და ხალხის კეთილდღეობა - სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი!“

გენადი მარგველაშვილი
ქუთაისის 47-ე ოლქი

დიმიტრი მხეიძე
ქუთაისის 48-ე ოლქი

კობა ნარჩემაშვილი
ქუთაისის 49-ე ოლქი

„ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. პარტიის თავმჯდომარე, გიორგი კვირიკაშვილმა ქუთაისში იმერეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა და შეკრებილებს სიტყვით მიმართა.

გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენ საარჩევნო კამპანიას ქუთაისიდან ვიწყებთ, - მეგობრობის, სიყვარულის, პოეზიის ქალაქიდან, დავით აღმაშენებლის ქალაქიდან, რომელიც ერთიანი საქართველოს სიმბოლოა ყველა ქართველისთვის. აქედან მინდა მივესალმო მთელ საქართველოს და ვუთხრა, რომ სწორედ გამთლიანებული და ძლიერი საქართველოა თითოეული ჩვენგანის მიზანი და ოცნება. ჩვენი პარტიის მიზანი და ამოცანაც სწორედ ეს არის. 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და თქვენი მხარდაჭერით, შეუპოვარი ბრძოლით გაიმარჯვა არჩევნებში. ამ გამარჯვებამ გარდამტეხი როლი შეასრულა და საქართველო განვითარების სწორ გზაზე გაიყვანა.

ამ 4 წელიწადში ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიშურებია და ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესობისკენ შეგვეცვალა. ჩვენ მივეცით ხალხს ის, რაც ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - თავისუფლება!

...„ქართულმა ოცნებამ“ რეალურად გაათავისუფლა არა მხოლოდ ბიზნესი, არამედ, ხელისუფლების ჩარევისგან გაათავისუფლა მედია, სასამართლო, პოლიცია. დღეს კი საკუთრების უფლება დაცული და ხელშეუხებელია, ხოლო ამ წარმატებას აღიარებს ყველა - საერთაშორისო ორგანიზაციები თუ პარტნიორი ქვეყნები.

...დარწმუნებული ვარ, თითოეული კანდიდატი ღირსეულად წარმოადგენს ჩვენს გუნდს და თქვენი ინტერესების ერთგული დამცველი იქნება პარლამენტში. ჩვენ ერთად ვიზრუნებთ თავისუფალი საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის. მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ თითოეულ მათგანს. წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს კანდიდატებს ამ ბრძოლაში. ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საქართველო, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს!

პაპი პალაძე, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი: ჩვენი ქვეყანა - საქართველო იმსახურებს, რომ იყოს თავისუფლების, კეთილდღეობის და სტაბილურობის ცენტრი რეგიონში.ხოლო ჩვენი იმერეთი ისტორიულად იმსახურებს, რომ იყოს ინდუსტრიის, დოვლათის შექმნის და პროგრესის ცენტრი საქართველოში! ჩვენ ისე სწრაფად უნდა განვავითაროთ აქაურობა, რომ იმერეთის ქალაქები არაფრით ჩამოუვარდებოდეს დედაქალაქს - აქ ქუთაისში, ზესტაფონში და სხვა ქალაქებში თუ დაბებში უნდა იყოს მუშაობის და გართობის ყველა თანამედროვე საშუალება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფა - ეს კი მხოლოდ შრომით, სწორი დაგეგმვით და თავისუფალი ნების ადამიანების ერთობით მიიღწევა.

ცოტნე ზურაბიანი
წყალტუბო

შალვა კიკნაველიძე
ზესტაფონი

ელგუჯა გოცირიძე
თერჯოლა, ტყიბული

გრიგოლ ლილუაშვილი
ვანი, ხონი.

გია მიქელაძე
სამტრედია

კობა ლურსმანაშვილი
ბაღდათი. ხარაგაული

სულხან მახათაძე
ჭიათურა

პაატა კვიჟინაძე
საჩხერე

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ზვიად კვაჭანტირაძე:

ყველა გადაწყვეტილება ქვეყნის კეთილდღეობით იქნება ნაკარნახევი

გვესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე.

— ბატონო ზვიად, რას ეყრდნობოდა „ქართული ოცნება“ სიის შედგენისას, რას გვეტყვით ახალ სახეებზე?

— ჩვენი ახალი თანაგუნდელების ერთი ნაწილი და საპარლამენტო არჩევნების კანდიდატები პრემიერმა საგურამოს შეხვედრაზე წარადგინა, ისინი ჩვენი ახალი სახეები უნდა იყვნენ მომავალ პარლამენტში, თითოეულის შერჩევისას მთავარი მათი გამოცდილება, პროფესიონალიზმი და რეპუტაცია იყო. წლების განმავლობაში ამ ადამიანებმა მოახერხეს დამკვიდრება სხვადასხვა სფეროში და საკმაო წარმატებებსაც მიაღწიეს, ამჯერად ძალებს პარლამენტში ცდიან და დარწმუბებული ვარ, გამართლებული იქნება ეს არჩევანი. ეს ახალგაზრდები „ქართულ ოცნებასთან“ ერთად იბრძოლებენ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის და თავიანთ ინტელექტს და გამოცდილებას ამ მიმართულებით გამოიყენებენ.

— საბოლოო და სრულ სიაში ალბათ პარტიის და კოალიციის ძველი პერსონებიც იქნებიან, რის გათვალისწინებით დარჩებიან ის ადამიანები?

— არავისთვის დაფარული არ ყოფილა, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ სიაში იქნებოდნენ სრულიად ახალი სახეები და რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებულ ძველ სახეებთან ერთად. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო გამორჩეული იმ ნიშნით, რომ ეს იყო ბრძოლა სასტიკ რეჟიმთან და ამ ბრძოლაში მაქსიმალურ შესაძლებლობას ვიყენებდით ყველა. მადლობა უნდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც საერთო გამარჯვებამდე მივედით და ქვეყანაში დამკვიდრდა დემოკრატიული, პოლიტიკური არჩევნების სტანდარტი. ბუნებრივია, ყველა ვეღარ მოხვდება ახალ საპარლამენტო სიაში, მაგრამ ვიტოვებ იმედს, ყველა გადაწყვეტილება ქვეყნის კეთილდღეობით იქნება ნაკარნახევი.

— რეგიონებში როდიდან დაიწყება საარჩევნო მარათონი?

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ წინასაარჩევნო კამპანია, დასახელდა ახალი კანდიდატები — იმერეთის რეგიონის მაჟორიტარები საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია, მალე სამეგრელოს, გურიის ამომრჩეველს წარვუდგენთ კანდიდატებს და ასე, თანმიმდევრულად გვექნება პრეზენტაციები ყველა რეგიონში, წარდგენა თბილისით დასრულდება.

— მოგეხსნებათ, რეგიონებში აქტიურად მუშაობენ ნაციონალები, ბურჭულაძის პარტია, ალასანია და სხვები, მოსახლეობას სოციალურ კეთილდღეობას ჰპირდებიან: პენსიების გაზრდას, გადასახადების ლიბერალიზაციას და ა.შ. რა იქნება პარტია „ქართული ოცნების“ მთავარი გზავნილი წინასაარჩევნოდ მოსახლეობისადმი?

— დემოკრატიული არჩევნები ჩვენი ხელისუფლების მონაპოვარია. ყველა სუბიექტს აქვს შესაძლებლობა ეს გარემო მაქსიმალურად გამოიყენოს და მოსახლეობას თავიანთი პროგრამა წარუდგინოს, თუმცა ადამიანებს მეხსიერება აქვთ და ჩვენსა და წინა ხელისუფლების საქმიანობასა თუ მათ სატელიტ ფსევდოოპოზიციონერებს შორის პარალელების გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს. საზოგადოებას კი მარადიული ღირებულებები აქვს და ეს, უპირველესად, ქვეყნის უსაფრთხოების მყარი გარანტიების შექმნა, შეუქცევადი კურსი ევრო—ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ, ადამიანის უფლებების დაცვა, საკუთრების ხელშეუხებლობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. ასევე გაგრძელდება ის ტენდენციები, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით დაიწყო — საყოველთაო ჯანდაცვა, სოციალური სფეროს გაუმჯობესება, საერთაშორისო ურთიერთობების გამყარება — ესაა რეალობაში ადამიანებზე და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ხელისუფლების გზავნილი..

— შიდა გამოკითხვებით, არჩევნებში შესაძლო გამარჯვებულებად „ქართულ ოცნებასთან“ ერთად „ნაციონალური მოძრაობა“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „თავისუფალი დემოკრატები“ სახელდებიან. შესაძლებელია თუ არა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს პარტიები მოხვდებიან მომავალ პარლამენტში?

— 2012 წელს საქართველოს მოსახლეობამ „ნაციონალურ მოძრაობას“ განაჩენი გამოუტანა და უარი უთხრა. ამჯერადაც ქართველი ამომრჩეველი გადაწყვეტს, თუ ვის დაუჭიროს მხარი, თუმცა მჯერა „ქართული ოცნება“ დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და უმრავლესობით მოვა ახალ პარლამენტში.

— ბატონმა ბიძინამ ბრძანა, „ქართული ოცნება“ ახალ პარლამენტში 95 დეპუტატით იქნება წარმოდგენილიო, დანარჩენი პარტიებიდან ორი-სამი დეპუტატი იქნება?

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ და ამას ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად ჩვენი შიდა კვლევებიც გვიმყარებს. ოქტომბერიც არაა შორს...

— არ შეიძლება არ გკითხოთ: შეკვეთილში 200 მლნ-იანი საკონცერტო დარბაზი გადაეცა სახელმწიფოს. მიუხედავად „ნაცმოძრაობის“ ოპონირებისა, რა პერსპექტივას ხედავთ ამ თვალსაზრისით გურიის რეგიონისა და სახელმწიფოსთვის?

— ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო და ფილანტროპული საქმიანობა ქართული საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. მსოფლიოში გამორჩეული არქიტექტურისა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკონცერტო დარბაზი, ეს საჩუქარი სწორი მენეჯმენტის პირობებში დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანასხელს შეუწყობს კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, ტურიზმის განვითარებას, ესაა უპრეცედენტო საჩუქარი, რაც კი ოდესმე ქვეყანას მიუღია. ბუნებრივია, ასეთ საჩუქარს ვერასოდეს შეაფასებენ ისინი, რომლებიც საზოგადოებას მტაცებლობით დაამახსოვრდა, ვინც ხალხისაგან ღამღამობით ნოტარიუსებთან იძულებით საჩუქრებს იღებდნენ და არეგისტრირებდნენ — ადამიანებს ართმევდნენ, იტაცებდნენ, ყველაფერს პირადი ინტერესებისთვის იყენებდნენ...

საკონცერტო დარბაზი უნიკალური ნაგებობაა და უნდა იცოდეთ, სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, ეს იყო სრულიად გამოუყენებელი, დაჭაობებული ადგილი, რომელიც სულ მალე ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცევა გურიის მხარეში და საქართველოში კი არა, მთელ ამიერკავკასიაში. ბატონ ბიძინა ივანიშვილს მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ასეთი საჩუქრისათვის და მჯერა, რაც დრო გავა, უფრო დაინახავენ მისი ქველმოქმედების შედეგს და მომავალი უკეთ დააფასებს მის მამულიშვილურ საქმიანობას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

200 მილიონი ერთნახევარზე რომ გავამრავლოთ, ეს ნიშნავს, რომ 300–350 მლნ. ლარის მოგებას მიიღებს სახელმწიფო ამ პროექტით. ამიტომაც მადლობის მეტი რა გვეთქმის?!

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი ბატონი იოსებ არჩვაძე

– ბატონო სოსო, ახლახან საქართველოს სახელმწიფოს Black Sea Arena გადმოსცა ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა. „რუსთავი-2“ კი ყოველ საღამოს „გუგუნებს“ – დაგვაქცია ივანიშვილმა, 200-მილიონიანი ტვირთი აჰკიდა საქართველოსო, თქვენ, როგორც ეკონომისტი, მიუკერძოებელი პირი, როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას, რას წაგვიხდენს და რას გვასარგებლებს Black Sea Arena?

– როგორც ბრძანეთ, შავი ზღვის არენა 200-მილიონიანი პროექტია. მსგავსი დასრულებული პროექტები საქართველოს დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში თითზე ჩამოსათვლელი აქვს – პრეზიდენტის სასახლე, ქუთაისის პარლამენტის შენობა, სულ რამდენიმე, მაგრამ...

– ეს შენობები ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე აშენდა.

– დიახ, დიახ, თქვენ დამასწარით.

Black Sea Arena კი კერძო ინვესტიციით აიგო და გადმოეცა სახელმწიფოს.

თქვენს შეკითხვას რომ ვუსმენდი, „რუსთავი-2“-ის ექსპერტებთან დაკავშირებით, ქართული გამონათქვამი გამახსენდა, „ენას ძვალი არა აქვსო!“ ერთ მოაზროვნეს ხატოვანი ფრაზა აქვს – შეიძლება, აბსტრაქციის ძალით, კბილის ჯაგრისი ძუძუმწოვართა კლასს მივაკუთვნიოთ, თუმცა ამით ჯაგრისს სარძევე ჯირკვლები არ განუვითარდებაო.

ყველას შეუძლია პოზიტიური მოვლენა ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიოს, მაგრამ ამით ამ მოვლენის ნამდვილი არსი არ შეიცვლება.

ოპონენტები, რომლებზეც მკითხეთ, რომელთაგან ზოგი ცნობილი სახეა, ზოგი კი ნაკლებად ცნობილი, პატრიოტული გრძნობების მოზღვავებას რატომღაც ვერ გრძნობდნენ, 2004-12 წლებში მრავალი, ათასობით ობიექტის დიდი ნაწილი სახელმწიფოს „ნებაყოფლობით“ ღამის 12 სთ-ის შემდეგ რომ გადაეცემოდა. ამ ე. წ. ექსპერტებს მაშინ პროტესტის გრძნობა არ გასჩენიათ, მაგრამ ახლა წუხან – რატომ აჰკიდეს სახელმწიფოს ზედმეტი ტვირთი, გასრისეს ჩვენი ქვეყანაო.

სწორედ იმ 2004-12 წლებში სახელმწიფოსთვის „გადაცემული“ ქონება ჯამურად 5-ჯერ აღემატება Black Sea Arena-ს ღირებულებას. გამოდის, სახელმწიფოს 50-ჯერ მეტი ტვირთი ეკიდა იმ წლებში და ამათ არ „სტკიოდათ“, ახლა რომ აჟრიამულდნენ?

ეს არის ტენდენციური მიდგომა და არა იმდენად მათ არაპროფესიონალიზმზე, არამედ მიკერძოებით სუბიექტურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, ლახავს მათ რეპუტაციას. გასაგებია, რომ პოლიტიკური პოზიცია ამოძრავებთ. მაგრამ შევეშვათ მათ ფუჭ ლაქლაქს, საქმე ისაა, რომ ამ 200-მილიონიანი ობიექტისგან მიღებული ეფექტიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მისი თვითღირებულება. მაგალითად, როცა დასრულებული პროექტის ღირებულებას ვანგარიშობთ, გათვალისწინებული უნდა იქნას მასზე გაწეული მთლიანი, ფიქსირებული და ცვალებადი დანახარჯები – ფიქსირებული, ანუ უკვე მზა შენობა და ცვალებადი, იგივე ელექტროენერგიაზე, ხელფასებზე და ა. შ.

ბატონმა ივანიშვილმა, ფაქტობრივად, მოუხსნა სახელმწიფოს ფიქსირებული დანახარჯების აუცილებლობა და დაუტოვა მხოლოდ ცვალებადი დანახარჯების გაწევის აუცილებლობა. ეს არის საკმაოდ დიდი ეფექტი. მთლიანობაში ამ ორი კომპონენტის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, 200-მლნიანი პროექტი, სულ ცოტა, ერთნახევარზე გავამრავლოთ, ნიშნავს, რომ 300-დან 350-მლნ. ლარის ეფექტის მატარებელი რესურსი გადმოეცა სახელმწიფოს და ამ მხრივ, მართლაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

Black Sea Arena არაა მხოლოდ წმინდა საკონცერტო და გასართობი დატვირთვის.

სწორად აღნიშნეს: დიახ, ეს ობიექტი ინვესტიციების მოზიდვის მაგნიტი იქნება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს სტაბილური საინვესტიციო გარემო საერთაშორისო მასშტაბით. მე ვგულისხმობ შავი ზღვის არეალის ფარგლებს გარეთ ქვეყნებს. ეს იქნება სუბრეგიონული დატვირთვის ობიექტი, რომელიც მოიცავს შავი ზღვისპირეთს, ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპას და უფრო შორ ტერიტორიებსაც. ამიტომაცაა მის გახსნაზე ცნობილი მუსიკოსი კრისტინა აგილერა და მსოფლიოს საუკეთესო მევიოლინე ვანესა მეი გვეწვევიან. ისინი არა მხოლოდ მაღალი დონის ხელოვნებას გვაზიარებენ, არამედ მათი გადაადგილების მარშრუტში საქართველო ხდება ერთ-ერთი სატრანზიტო ადგილი და ზრდის ჩვენი ქვეყნის ცნობადობას.

ჩვენ ვღებულობთ მზარდი ბრენდული დატვირთვის ობიექტს, რომელიც გავლენას იქონიებს ინფრასტრუქტურაზე, კომუნალურ სფეროზე, ტურისტების მოზიდვაზე და ა.შ. ეს იქნება მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტის მქონე ობიექტი, რომლის გრძელვადიანი პოზიტიური შედეგი წლიდან წლამდე მხოლოდ გაიზრდება. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვურჩიოთ სახელმწიფოს: ეს ობიექტი არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც მხოლოდ კომერციული დატვირთვის, მე მას განვიხილავ, როგორც საზოგადოებრივ საქონელს, რომელსაც შეუძლია საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს შედარებით დაბალშემოსავლიანი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. ვგულისხმობ, სკოლების მოსწავლეებს, სტუდენტებს, სხვა კატეგორიის ადამიანებს, რომლებსაც ბილეთების შეძენის შესაძლებლობა, ამ ეტაპზე, არ გააჩნიათ.

სახელმწიფომ უნდა მოახერხოს, რომ ბილეთების გარკვეული სეგმენტი შედარებით დაბალი ფასის იყოს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ვგულისხმობ.

როდესაც დარბაზი კეთდებოდა, აქცენტი გაკეთდა იმაზეც, რომ გამოყოფილიყო ადგილები შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის.

– არა მხოლოდ შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების პირთათვის.

– დიახ, დიახ, ეკონომიკურად სუსტი მოსახლეობის გარდა, შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების პირთათვისაც არის გათვალისწინებული ადგილები დარბაზში.

ჩვენ უნდა შევძლოთ გარკვეული სოციალური ლიფტების ამოქმედება. ეს არ არის რთული და გადაუწყვეტელი პრობლემა და ხელისუფლებამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში.

– მოკლედ, რა იქნება სარგებელი?!

– სახელმწიფო დიდ სარგებელს მიიღებს. ეს, დაახლოებით, იმ რაოდენობის მოგება იქნება, მაგალითად, საქართველოს ისეთი თვითღირებულების ნავთობის საბადო რომ ჰქონოდა, როგორიც საუდის არაბეთს ან ქუვეითს აქვს, ვთქვათ, 100 დოლარის ნავთობის ღირებულების პირობებში. ეს ხატოვანი შედარებაა, მაგრამ სწორად ასახავს ჩვენს მდგომარეობას.

მით უფრო, რომ ჩვენს სამხრეთ მეზობელს – თურქეთს ამ დღეებში სტაბილურობის საფრთხე შეექმნა და ამ ფონზე, ვფიქრობ, ამ ობიექტის კაპიტალიზაციის ზრდა მოხდება. გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველომ უნდა შეძლოს და დაბალანსოს ურთიერთობები მეზობელ და არამეზობელ სახელმწიფოებთან, სტაბილური პოლიტიკის პირობებში საკუთარ ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, რეკრეატიული თუ სხვა ობიექტების ბრენდულობის გაზრდა მოახერხოს, მეტი სარგებელი რომ მიეცეს ქვეყნის ეკონომიკას, ამ სფეროში უშუალოდ ჩართულ ბიზნეს-სტრუქტურებს, მოსახლეობას.

– Black Sea Arena არა მხოლოდ კულტურული ღონისძიებების, არამედ, ალბათ, საერთაშორისო დონის პოლიტიკური და ეკონომიკური ფორუმებისთვისაც ხელსაყრელი ობიექტი იქნება, მით უფრო, თუ საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა შენარჩუნდება.

– ერთ მაგალითს მოვიყვან. წლების განმავლობაში ლატვიაში საერთაშორისო საესტრადო ფესტივალი „ახალი ტალღა“ ტარდებოდა. ორიოდე წლის წინ ფესტივალი სოჭში გადაიტანეს, რითაც ლატვიამ დაახლოებით, 60 მლნ ევროს შემოსავალი დაკარგა, წარმოიდგინეთ, რა მოგების მოტანა შეუძლია ადგილობრივ ბიუჯეტში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, თუკი Black Sea Arena საერთაშორისო ღონისძიებებს, მათ შორის, მუსიკალურ ფესტივალებს უმასპინძლებს – დამატებით მოვიზიდავთ ტურისტებს, ჩამოვლენ მაღალანაზღაურებადი სპორტსმენები, მუსიკოსები. არ მინდა შორს წავიდე და პროგნოზები დავდო, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არის ის მექანიზმი, რითაც სერიოზული ბიძგი მიეცემა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ბიუჯეტის ფორმირებას, მეტი მოგების მიღებას.

– გასართობი ცენტრი „ციცინათელა“, ბათუმის დელფინარიუმი, „პრომეთეს მღვიმე“ და ა.შ. ბიძინა ივანიშვილმა უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს, თუმცა ეს ეკონომიკის ერთი მხარეა, მაგრამ მაინც რა სჭირს ქართულ ეკონომიკას, ვერც ამ ქველმოქმედებამ რომ ვერ უშველა? ქართველი ეკონომისტების შეფასება საკმაოდ პესიმისტურია, არც ჩვენი მოსახლეობის ცხოვრება დაეტყო არაფერი სასიკეთოდ.

– ერთია დიდი ქველმოქმედის და მამულიშვილის დახმარება და მეორეა ის სისტემური პრობლემა, რომლის გამოსწორების გარეშეც ეკონომიკა ვერ განვითარდება. მხედველობაში მაქვს ეკონომიკური სტიმულები, რომლებმაც უნდა იმუშაონ იმის მიუხედავად,

7 ბ.

გიულენი, გიული და ოდესის გუბერნატორი მიშა

რა კავშირშია თურქეთის სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან ლევან ვარშალომიძის მოულოდნელი დაბრუნება აჭარაში?

სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში ჩაიშალა.

იტყობინებიან, რომ დაკავებულია ამბოხში მონაწილე 1563 ოფიცერი, მათ შორის ხუთი გენერალი, 20 პოლკოვნიკი და ერთი ადმირალი.

როგორც აჭარიდან კონფიდენციალური წყარო გვატყობინებს — ამბოხის შედეგად, რომელიც, როგორც ამბობენ, აშშ-ის გარკვეული წრეებისა და ფეთჰულაჰ გიულენის მიერ იყო დაგეგმილ-განხორციელებული, ხელისუფლებაში რადიკალური ისლამისტური ძალები უნდა მოსულიყვნენ.

წყაროს ინფორმაციით, ამბოხი საქართველოსაც უნდა გადმოსდებოდა და ამბოხებულებს სტამბულიდან ახლადდაბრუნებული ლევან ვარშალომიძე თანამოაზრეებთან ერთად უნდა დახმარებოდა.

თურქეთში სამხედრო გადატრიალება ჩავარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩავარდა სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების ავანტიურისტული გეგმა

როცა ერდოგანის ხელისუფლება დაემხობოდა და სააკაშვილების ოჯახის უახლოესი მეგობარი — გიულენი გახდებოდა თურქეთის მმართველი, მიხეილ სააკაშვილიც შეგვისრულებდა დანაპირებს და თურქეთის და სავარაუდოდ, არა მხოლოდ თურქეთის მიერ ზურგგამაგრებული და დასტურმიცემული ტრიუმფით დაბრუნდებოდა საქართველოში.

ამბობენ, ამიტომ გამოაგზავნა ბათუმში „ნამესტნიკი“ ვარშალომიძე — აქ, ერთად შეკრებილი მომხრეები მერე საძებარი რომ არ ყოლოდაო.

ვერა და ვერ მოვიშორეთ, ეს კაცი. ხან ოდესიდან მოდის პირდაპირ, ხან თურქეთიდან აპირებს, ხან ზღვიდან, ხან — ხმელეთიდან. Aატეხილია სამგლე გოჭივით.

Aაქაური მომხრეები კი ძილშიაც მიშა-მიშას გაიძახიან და მისი დაბრუნებისთვის დროშებს ამზადებენ. მართლა, ვაი, ჩვენი ბრალი — ჯერ იყო და მიცვალებულ ზვიად გამსახურდიას ელოდებოდნენ ცოცხალს, ედუარდ შევარდნაძესაც უჩოქებდნენ და ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილზეც ამბობდნენ — ცოცხალია, ცოცხალი და მალე გეახლებათო...

როგორც ვერც ერთი ვერ დაბრუნდება საიქიოდან, ისე შენ ვერ დაბრუნდები მიშა საქართველოს მიწაზე ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი, რადგან, სხვა უამრავ უპატიებელ დანაშაულთან ერთად, შენი ხელშეწყობით, თურმე, გიულენსა და მის ისლამისტურ ძალებს საქართველოს ტერიტორიაზე აჭარაში, გურიაში და პანკისის ხეობაში თავიანთი დასაყრდენი ძალები ისედაც ჰყავდათ.

ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები შეთანხმების დამრღვევებად ითვლებიან, თუ რომელიმე მათგანის ტერიტორიაზე ხელმომწერი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის ნიშნები გამოიკვეთა.

თურქეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის გაძლიერებით რეგიონში და „დიდი თურანის“ იდეით შუა აზიიდან ჩინეთამდე, აშშ-ს სურს თურქეთის ხელით გავლენის სფეროები გაიფართოვოს და გაიმყაროს პოზიციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რუსეთის როლის რაც შეიძლება დასუსტებით და დაკნინებით.

თურქეთში სამხედრო გადატრიალების გეგმა, ამჯერად, ჩავარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩავარდა სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების ავანტიურისტული გეგმაც.

თურქი ხალხის ერთიანობამ, რომელიც მათი სახელმწიფოებრიობის საყრდენია, გარე ძალების ზეწოლას გაუძლო.

2004 წელს საქართველოში ვიზიტად მყოფმა თურქეთის დღევანდელმა მმართველმა რეჯეპ თაიფ ერდოგანმა, განაცხადა: „მეც ქართველი ვარ, ჩვენი ოჯახი ბათუმიდან რიზეში გადავიდა საცხოვრებლადო“.

თურქეთში არაოფიციალურ წრეებში ისმის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ერდოგანის ბაბუა ბაქათალა შიდა ქართლის სოფელ ბაქათადან იყო წარმოშობით, ხოლო მამის — აჰმეთ ერდოგანის დაბადების ზუსტი თარიღი საეჭვოდ უცნობია, რას მალავენ ამით თურქები, ჯერჯერობით გაურკვეველია.

თუმცა თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობის მიზეზი არ გამხდარა ერდოგანის საჭოჭმანო წარმოშობა. აჯანყების მცდელობაში ეჭვმიტანილი ამერიკაში მცხოვრები ფეთჰულაჰ გიულენი კი ნამდვილად თურქია.

ფეთჰულაჰ გიულენის დაფინანსებით საქართველოში მრავალი სასწავლო დაწესებულებაა გახსნილი: დემირელის სახელობის სხვა სახის ე. წ. საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მათი ინიციატივით ყოველთვიურად ტარდება.

რუსეთში, აზერბაიჯანში, აშშ-ში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, თურქმენეთში და თვით თურქეთშიც კი ფეთჰულაჰ გიულენის დაფინანსებით დაიბადა თურქეთში. მან კარგად შეისწავლა ყურანი და რადგან მუსლიმთა წმინდა წიგნი ზეპირად იცოდა, ჰაფიზი გახდა. იგი მალე გააგზავნეს ჰაჯად, როგორც თურქეთის სასულიერო მმართველობის მაღალი თანამდებობის პირი.

რეჯეპ თაიფ ერდოგანმა, რომელსაც ადრე მჭიდრო მეგობრული კავშირები ჰქონდა გიულენთან, რუსეთისა და აზერბაიჯანის პირველ პირებთან გამართული შეხვედრებისას მათ პირადად გადასცა სია, სადაც ამ ქვეყნებში გიულენის წარმომადგენლები იყვნენ არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სახელმწიფო მმართველობის დონეზე, განზრახული ჰქონდათ რუსეთსა და აზერბაიჯანში საფუძვლების გამყარება და გააფრთხილა ისინი მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

ერდოგანი უკვე დიდი ხანია გიულენს საკუთარ მტრად მიიჩნევს, ამ ამბოხში მთავარ მამოძრავებელ ძალად სწორედ გიულენს მიიჩნევს და თვლის, რომ გიულენის ზრახვების უკან აშშ-ი უნდა მოვიაზროთ.

2010 წელს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაქოში შეხვედრისას განაცხადა: ... „მე ვსაუბრობდი, რომ კონფედერაციული ურთიერთობა უნდა ჩამოვაყალიბოთ. რეალურად, ქვეყნებს შორის (აზერბაიჯანი-საქართველო — ი.კ.) არის ურთიერთობები, რომლებიც აღემატება, ჩვეულებრივ, ქვეყნებს შორის

7 ᲒᲐ.

„ჩადებულები“

ხალხი ამბობს, რესპუბლიკური პარტია, ეს ხომ ის პარტიაა რომელიც „ჩაგვიდეს“ და ასე შეგვატანინეს პარლამენტშიო.

ნარკოტიკების ჩადება კი გაგვიგია, მაგრამ პარტიის „ჩადებაც“ თუ შეიძლებოდა, არ მეგონა.

ამომრჩეველს დღემდე ვერ მოუნელებია, რომ ხალხის გაერთიანებულმა ძალისხმევამ როგორღაც დაასრულა „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმი, მაგრამ ვინც მრავალგზის იყო შემჩნეული მათთან ფარულ თუ ღია კავშირში, ისევ ზედაპირზე ტივტივებენ. არც გამოძიება დაინტერესდა რატომღაც, როდესაც ე.წ „უკრაინული ვიკილიქსი“ ერთი მეორის მიყოლებით აქვეყნებდა ფარულ ჩანაწერებს, სადაც ბატონი დავითი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე) და ქალბატონი თინათინ ხიდაშელი (საქართველოს თავდაცვის მინისტრი) ფიგურირებდნენ როგორც მიხეილ სააკაშვილთან ფარულ გარიგებაში მყოფი პირები. გნებავთ მეგობრული გარიგება დაარქვით, გნებავთ იდეურ-იდეოლოგიური.

დიდად კი არავის გაჰკვირვებია მათი ეს თანამზრახველობა ბატონი დავითის სიტყვების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანაო, მაგრამ მაინც.

ერთი საინტერესო ფრაზაც თქვა „მე ვისურვებ, რომ მისი შედარებით ჯანსაღი ნაწილი, ასე ვთქვათ, უვნებელი გამოვიდეს ამ პროცესიდან და ჩვენ მათ ისევ პოლიტიკურ ბრძოლაში დავამარცხებთო“. საინტერესოა, ვინ „ჩვენ“ იგულისხმა, ვისი დამმარცხებელი იყო და იქნება პარტია, რომელიც სხვებთან („ნაცმოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“, ფორუმი“) ერთად, მართლაც რომ „ჩაუდეს“ ისედაც გაჭირვებულ საქართველოს?

ბოლოს და ბოლოს, „რესპუბლიკური პარტია“ ხომ ერთ-ერთი მათგანია, რომლებსაც საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთ ენატანიებად მიიჩნევენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ?

იმ პარტიად, რომელიც ყველაფერ არაქართულზე და არატრადიციულზე ხელმომწერებად მოიაზრებიან თავიანთ თავდამსხმელ და ასევე ენატანია არასამთავრობო ორგანიზაციებად გადახვეულები?

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაზე რომ ატყდა ხმაური, მაშინაც კი უპირველესად „რესპუბლიკელების ურთიერთობები, რასაც ძალიან ხშირად პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები მიმართავენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ეს არის დამღუპველი ქვეყნისთვისაც და ეკლესიისთვისაც – მე ამას არ გავაკეთებ – ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე თვლის, რომ ეს არის არასწორი ქართველობა; ამიტომ, როდის მივიღებთ საკმარის ხმებს ამომრჩევლის, ამაზე მე ვერ გიპასუხებთ, არ ვიცი... მაშინ, როდესაც ის ხალხი, ვინც ამ ქვეყნის მოქალაქედ თვლის თავს, მეტად ეზიარება აი, ამ ღირებულებებს, რომელზეც ვლაპარაკობ.“

დავით უსუფაშვილი: მაგალითად, ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ, ჩემო შვილო, დაიბადე და გაგაჩინე იმიტომ, რომ სამშობლოს გმირულად უნდა შეეწირო; მე ვეუბნები, შვილო, თქვენ დაიბადეთ და შეიქმენით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი და ყველა საკითხზე გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი და თუ თავისუფალი იქნებით, გინდ სამშობლოს შეეწირებით, გინდ თქვენს პროფესიას – რასაც გინდათ.

„რესპუბლიკური პარტია“ გაახსენდა მამა დავითს (ლასურაშვილი)...

რამდენ ადამიანს ითვლის „რესპუბლიკური პარტია“, დიდად არავის აინტერესებს, ის სახეებიც საკმარისია რომლებიც აღნიშნული პარტიის მოლაპარაკე თავებად არიან ცნობილი. ძმებ ბერძენიშვილებს თუ არაფრად მიაჩნიათ ქართული სისხლი და გენი, ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა სულაც ისეთ საქაჯეთად მოიხსენია საკუთარი სამშობლო, შვილები რომ უნდა გაარიდოს, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარემ უფრო დაა-კონკრეტა „მაგალითად, ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ, ჩემო შვილო, დაიბადე და გაგაჩინე იმიტომ, რომ სამშობლოს გმირულად უნდა შეეწირო; მე ვეუბნები, შვილო, თქვენ დაიბადეთ და შეიქმენით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი და ყველა საკითხზე გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი და თუ თავისუფალი იქნებით, გინდ სამშობლოს შეეწირებით, გინდ თქვენს პროფესიას – რასაც გინდათ – ბევრ ჩემს თანამოქალაქეს ეს არ ესმის და მსაყვედურობს, არ ხარ პატრიოტიო“ – თურმე უკვირს კიდეც.

მართლმადიდებელი ქვეყნის მრევლს რომ გამოხატულად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდეს იმ პარტიის მიმართ, განა რა გასაკვირია, რომლის თავკაციც ამბობს: „მე მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ ზოგჯერ მართლაც დაბნეულია ხოლმე გაწონასწორებული დავითი... მხოლოდ დაბნეული კაცი თუ იტყვის რაიმე კანონის მიღებასათან დაკავშირებით, თუ ამ კანონს არ მივიღებდით, რუსეთში დავრჩებოდითო. საინტერესოა, რა ფორმით ვართ რუსეთში? – რუსეთი კი არის ჩვენში, ყველა მხრიდან რუსული სამხედრო ბაზები გვარტყია და მეტრ-მეტრობით მოცოცავს, ხოლო სადაც ჯერ კიდევ არ არის, დიდი შეღავათია...

სხვათაშორის, ბატონი მარგიანი დადასტურებულად აცხადებდა, რომ შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობით აღსავსე ახალგაზრდა დავით უსუფაშვილი იმ კომუნისტურ საბჭოთა კავშირში, მაინც და მაინც იმ ავბედითი 9 აპრილის შემდეგ, 12 აპრილს შემოვიდა კომუნისტურ პარტიაშიო.

როდესაც ოფიციალური პირები ოფიციალურად უჭერენ მხარს საზოგადოების უმრავლესობის საწინააღმდეგო ნებას, ბუნებრივად ჩნდება იმ პირთა მიმართ არასასურველი განწყობა. ასეთ „რისხვაში“ მოყვნენ ოჯახური წყვილები, ვთქვათ, ძმები ბერძენიშვილები, ან მეუღლეები, თინათინ ხიდაშელი და დავით უსუფაშვილი. კაცი იტყოდა, უბრალოდ, დამთხვევაა, მაგრამ როდესაც მაგალითად მოყვანილი პირები ერთი პარტიის წარმომადგენლები არიან და მათივე პარტიის სხვა წევრებიც იმავე პოზიციას აფიქსირებენ, უკვე დამთხვევა აღარ არის, მათი პარტიის ჩამოყალიბებული ხედვაა.

„საია-ს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ის დავით უსუფაშვილია, რომელმაც ბრძანა, ნურავის ეწყინება, მაგრამ „საია-ს“ წევრობის მოწმობა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობაო. იგივე გზა აქვს გავლილი მის მეუღლესაც, რომელიც ერთხანს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მმართველი საბჭოს წევრიც გახლდათ, ხსენებული საზოგადოება კი, პირდაპირ ჯორჯ სოროსის სახელზე რომ იყო მიკერებული, ბავშვმაც იცოდა.

ახალგაზრდა იურისტი ცოლ-ქმარი გარკვეული გზის გავლის შემდეგ „რესპუბლიკური პარტიის“ სათავეში ვიხილეთ. ეს საეჭვო წარმოშობისა და საქმიანობის პარტია ისე „ჩაგვიდო ვიღაცამ“ 2012 წლის არჩევნების შედეგით, „ქართული ოცნების“ წარმმართველ ძალად მოგვევლინა (საინტერესოა, რომ პარტიის დამფუძნებლები ლევან რამიშვილთან და გიგა ბოკერიასთან ერთად ნჯო „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამფუძნებლებიც არიან) დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს კი კომპრომატებისა და კორუფციის მეშვეობით მართავდნენ.

სხვათაშორის, ერთხანს ხმაც ვრცელდებოდა, ჯერჯერობით დავით უსუფაშვილის ავტორიტეტი აკავებთ „რესპუბლიკელებს“, თორემ ცალკე კოალიციად გარდაუვლად ჩამოყალიბდებოდნენ „ნაციონალების“, „რესპუბლიკელების“ „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ (ესენი ვიღას დაჰკარგვია!) ერთობაო...

ხალხს არ გაჰკვირვებია – რატომაც ვერა, განა მუდამ ერთად არ იყვნენ და ერთი ხის განაყარი არ არიანო? არასამთავრობო სექტორის სახეები ხომ, აბსოლუტურად ყველანი, ე.წ „ვარდების რევოლუციის“ თანამონაწილენი არიან (რა და რატომ ეკითხებოდათ მათ რევოლუციასთან?). რაც შეეხება კონკრეტულ პირებს, უნიკალური მაგალითია ლევან ბერძენიშვილი, რომელიც „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერიც იყო და ამავდროულად, მიხეილ სააკაშვილთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ თანადამფუძნებელიც. „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ მხოლოდ მაშინ გაიმიჯნენ (ესეც დროებით), როდესაც აჭარა ვარშალომიძეს ჩაბარა სააკაშვილმა და არა ბერძენიშვილებს, თორემ მანამდე ერთად იყვნენ და „ნაცმოძრაობის“ სიაშიც ბრძანდებოდნენ – ახლა როგორ გადანაწილდებიან, საინტერესოა.

„რესპუბლიკელებს“ ინტელექტუალების სახელი კი, აქვთ, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნაცვლად იმისა, რომ უფასდებოდეთ ინტელექტი, პირიქით, საზოგადოებაში მათი რეიტინგი ნულთანაა მიახლოებული. რეალობა ასეთია, მაგრამ არასდროს შეტყობია რომელმე „რესპუბლიკელს“ რომ ამაზე ენაღვლა, თუმცა, არც გახდომიათ სანაღვლოდ საქმე, მთავარი, დაფინანსება ჰქონდათ და აი, დაფასებამაც მოაკითხათ, მთელი „რესპუბლიკელები“ წარმოდგენილნი არიან, გნებავთ, ხელისუფლებაში, გნებავთ, უბრალოდ, „საია-დ“ – კაპიტან გიგიაურს, კოჟორიძეს, ჩუგოშვილს, კორძაიას, ლომჯარიას და ა. შ თუ არ დაეკითხნენ რჩევას, მტყუანმართალი ვერ ირკვევა.

ზოგჯერ მართლაც დაბნეულია ხოლმე გაწონასწორებული დავითი... მხოლოდ დაბნეული კაცი თუ იტყვის რაიმე კანონის მიღებასათან დაკავშირებით, თუ ამ კანონს არ მივიღებდით, რუსეთში დავრჩებოდითო. საინტერესოა, რა ფორმით ვართ რუსეთში? – რუსეთი კი არის ჩვენში, ყველა მხრიდან რუსული სამხედრო ბაზები გვარტყია და მეტრ-მეტრობით მოცოცავს, ხოლო სადაც ჯერ კიდევ არ არის, დიდი შეღავათია...

მოკლედ რომ ვთქვათ, 2012 წლის 1 ოქტომბერს ხალხის ოცნების ახდენა „რესპუბლიკური პარტიის“ ოცნების ახდენა გახდა, მაგრამ რაღაც მაინც ვერ გათვალეს. „რესპუბლიკელები“ დასაქმდნენ ხელისუფლებაში, „საია“ თავისას აგრძელებდა და გაუდიოდათ ღულუნი, ისე, არავინ ინტერესდებოდა, ასე არაპოპულარულ პარტიას და მის პირმშოს, ასევე არაპოპულარულ „საია-ს“ დაარსებიდან რითი უდგას დღემდე სული, ვინ, რატომ, რისთვის და რა მიზნით ასულდგმულებს?

გიორგი ჩხეიძე

გიულენი, გიული და ოდესის გუბერნატორი მიშა

5 გვ.

ურთიერთობებს. ჩვენ ვართ ერთმანეთის გაგრძელება... ჩვენ ვართ ერთი ორგანიზმის ნაწილები... ჩვენ, ფაქტობრივად, არაფორმალური კონფედერაცია გვაქვსო“.

სხვათა შორის, ეს იდეა რამდენიმე თვის წინ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმაც გააჟღერა — საქართველო-აზერბაიჯანთურქეთს შორის ალიანსის სახელით.

პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი კი ჯერ კიდევ 2010 წელს მიიჩნევდა, რომ საakაშვილის ამ ინიციატივას პირდაპირი კავშირი ჰქონდა ფეთჰულაჰ გიულენის სახელთან. გიულენი რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციის „ჯამაათის“ ლიდერი ყოფილა ამერიკაში. გიულენმა შეძლო თურქული სიდიადის აღდგენის იდეის მიმდევრების ჩანერგვა არა მხოლოდ თურქულ, არამედ სხვა სახელმწიფოების გავლენიან მუსულმანურ წრეებში. ფეთჰულაჰ გიულენი მსოფლიოს 200 მილიარდერ მუსულმანს შორის წამყვან ადგილს იკავებს. იგი 24 მლრდ დოლარის ქონებას ფლობს. მის ანგარიშზე კიდევ 1 მლრდ დოლარი იდება ყოველწლიურად მუსულმანური შემოწირულობებიდან. ამ თანხას აბანდებდა ის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მედრესეების ასაშენებლად.

საინფორმაციო წყაროების მიხედვით, გიულენის ორგანიზაციას არ ჩამოუვარდება თურქი მილიარდერის ადნან ოქტანის გაერთიანებაც, რომელიც პროპაგანდას უწევს თურქულ-ისლამური კავშირის კონცეფციას. ოქტანის აზრითაც, თურქული სამყარო არა მხოლოდ შუა აზია, არამედ მთელი ტერიტორიაა ადრიატიკიდან ჩინეთამდე.

საakაშვილის განცხადების კვალდაკვალ, რომელიც მან საერთო კავკასიური სახლის შესახებ წამოაყენა და შემდეგ ეს ხიდაშელმა ვითომდა სხვა კონტექსტში გაიმეორა, ნათელი ხდება, რომ თურქეთს სურს გავლენის სფეროები წაართვას რუსეთს კავკასიაში.

აშშ-ის მიზანი ნათელია, მას სრული კონტროლის დამყარება უნდა შუა აზიის ქვეყნებზე, კავკასიის ზღვის ენერგომატერებლებზე და მის დერეფანზე — კავკასიის ქვეყნებზე.

ამერიკის ელჩი აზერბაიჯანში მეთიუ ბრაიზა, რომელიც ასევე თურქების სიძე გახლავთ, მისი მეუღლე თურქული წარმოშობის ამერიკელი ზეინო ბარანია, „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს: თურქეთი სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ამერიკაში დევნილობაში მყოფ ფეთჰულაჰ გიულენს ადანაშაულებს... ვიდეომიმართვაში ერდოგანმა თქვა: არ შეიძლება „თურქეთის პენსილვანიიდან მართვაო“.

სწორედ პენსილვანიაში ცხოვრობს ფეთჰულაჰ გიულენი უკვე 17 წელიწადია.

გიულენის ორგანიზაცია ერდოგანმა წელს მაისში ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა და მისი მიმდევრები სამსახურიდან გააძევა.

ერდოგანი ვიდეომიმართვაში ამბობს:

ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც გიულენის პასუხისგებაში მიცემაში არ დაგვეხმარება, თურქეთის მტერიაო...

არ ვიცი, ერდოგანმა უწყის თუ არა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავის მომხრეებთან ერთად ხშირად მართავს შეხვედრებს თურქეთის ტერიტორიაზე და როგორც ჩანს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თვით თურქეთის საზიანო საქმეებშიც შეიძლება იყოს გარეული, მით უფრო, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საერთო კავკასიური სახლის იდეა, რომელიც გიულენის იდეის განხორციელების მცდელობა იყო, სააკაშვილი აქტიურად უჭერდა მხარს.

ახლა ზოგიერთი ვითომდა მედასავლეთე, იგივე ნაცების მომხრე ე. წ. სვეკკი, ინდაურივით თვალდაჭყეტილი შემოიხედავს ფეისბუკ-სივრცეში და გულდათუთქული, მოთქმის ტონით დაწერს: პროგრესული ძალების ამბოხი ჩავარდა თურქეთში, კვლავ ბნელმა ძალებმა გაიმარჯვესო.

მართლა ბნელებო, თურქი ხალხის სახელმწიფოებრივი შეგნება როგორ უნდა ვინატრო თქვენმა შემყურემ — თურქეთში სამოქალაქო ომის საშიშროება იდგა, რომელიც საქართველოსაც უნდა გადმოსდებოდა თურმე და ეს რომ არ მოხდა, გწყინთ, ეტყობა, ეს გინდოდათ, მაგრამ, ამჯერად, თითქოს ბედზეო, გადავრჩით...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

200 მილიონი ერთნახევარზე რომ გავამრავლოთ, ეს ნიშნავს, რომ 300-350 მლნ. ლარის მოგებას მიიღებს სახელმწიფო ამ პროექტით. ამიტომაც მადლობის მეტი რა გვეთქმის?!

4 გვ.

ეყოლება თუ არა ქვეყანას დიდი ქველმოქმედი.

საჭიროა სტიმულების მექანიზმის ფორმირება, რად ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას მეტი დოვლათი აწარმოონ.

პირობები უნდა შეექმნას მცირე მეწარმეს, გარედან დახმარების, ქველმოქმედის, სპონსორის თუ სხვათა გარეშე შეძლოს საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში ადგილის დამკვიდრება.

ჩვენ გვჭირდება ისეთი მექანიზმი, რომლითაც ნებისმიერი ადამიანი თავისით შეძლებს საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ერთი ადამიანი, რაც უნდა დიდი ქველმოქმედი იყოს, მისი საქმიანობა მაინც არ არის საკმარისი ქვეყნის განვითარებისთვის.

Black Sea Arena-ს მშენებლობა დაიწყო 2009 წელს. თითქმის 7 წელიწადი დასჭირდა ამ შენობის აგებას. ის 200 მლნ რომ გავყოთ 7-ზე, გამოდის წელიწადში 30 მლნ ლარზე ნაკლები, როცა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 32 მლრდ ლარამდეა წელიწადში. პროპორციებს თუ გავითვალისწინებთ – მთელი სიმძიმის ცენტრი, ბატონი ბიძინას თავდადების მიუხედავად, მასშტაბებში მაინც დისპროპორციაა.

ამერიკაში 430-ზე მეტი მილიარდერი ცხოვრობს, თუმცა იქ 45 მლნ-ზე მეტი ღარიბ-ღატაკი მოქალაქეა. ამდენი მილიარდერის მიერ გაღებული ქველმოქმედების მიუხედავად, სიღარიბის პრობლემა არ მოხსნილა. ჩვენ უნდა შევძლოთ და შევქმნათ ისეთი მექანიზმი, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ სიღარიბის კვლავწარმოების შესაძლებლობა. ადამიანს, იმის მიუხედავად, რომ არის ღარიბი, სოციალური ლიფტის საშუალებით მიაღწიოს, მაგალითად, მიიღოს კვალიფიციური სისტემური განათლება.

– განათლების პრობლემაც ხომ არ არის? კადრები არ გვყავს, ვინც ხელისუფლებაში და ხელისუფლების გარედანაც მიაწვდის სახელმწიფოს განვითარების ნოვატორულ და თანამედროვე პროექტებსა და პროგრამებს?

– არა მხოლოდ განათლების პერობლემა დგას. ჩვენი ეკონომიკის შეფერხების გეოპოლიტიკური, თუნდაც, წმინდად პოლიტიკური პროცესებიც განაპირობებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის განათლების პრობლემაც. რაც უფრო მეტი განათლებული და პროფესიონალი გვეყოლება საზოგადოებაში და ხელისუფლებაში, მით უფრო კომპეტენტური, სწორი და ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

– „ტექნოპარკი“ გაიხსნა ახლახან, რამდენიმე თვის წინ კი ტექნოლოგიური ინსტიტუტი – ორივე ივანიშვილის დახმარებითა და ხელშეწყობით.

აქ კვალიფიცირებული კადრები მომზადდება.

– ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეკონომიკას გააჩნდეს მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე. თუ ქვეყანაში არ გაჩნდა მოთხოვნილება მცოდნე სპეციალისტებზე, გამოვა ის, რომ მოვამზადებთ მაღალი დონის სპეციალისტებს, მაგალითად, ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, არ იქნება მოთხოვნა მათზე და კვალიფიცირებული სპეციალისტები იძულებულნი იქნებიან საზღვარგარეთ ეძებონ სამუშაო.

გამოვა ორმაგი ზარალი – ჩვენ თანხებს გავიღებთ მათი ცოდნისთვის, ანუ მოვამზადებთ პროდუქციას, რომელზეც არ არის მოთხოვნილება შიდა ბაზარზე, რის გამოც ინაცვლებენ სხვა ბაზარზე. ამ შემთხვევაში, ჯობს საერთოდ არ დაიხარჯოს თანხა მათ განათლებაზე და ვიფიქროთ ეკონომიკის იმ სექტორების განვითარებაზე, რომელთა საჭიროება მერე გაჩნდება.

ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება და თუ ჩვენ გვინდა გვყავდეს გამოცდილი, ეროვნული კადრები, უნდა ვიფიქროთ, პირველ რიგში, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე.

– რამდენადაც ვიცი, საბიუჯეტო შემოსავლები იზრდება. ეკონომიკა თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ იმართება მხრებში.

– ჩვენი ეკონომიკა ყოველწლიურად იზრდება და არავითარ შემცირებას ადგილი არ აქვს.

2012 წელს „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას მთლიანი შიდა პროდუქტი 26,09 მლრდ ლარი იყო, 2016 წელს 32 მლრდ ნახევარი ლარის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას ვვარაუდობთ. აბსოლუტურ განზომილებაში ეს, დაახლოებით, თორმეტნახევარ პროცენტს შეადგენს.

ორიოდე დღის წინ გამოქვეყნდა, რომ ირლანდიამ ერთ წელიწადში მიაღწია 26%-იან ზრდას. რამდენად რეალურია ეს, სხვა საკითხია.

– შესაძლებელია, წელიწადში ასეთი მაღალი მაჩვენებელი რეალური იყოს?

– ერთი თუ ორი წლის წინ აზერბაიჯანსაც ჰქონდა ეკონომიკური ზრდის უპრეცედენტო მაჩვენებლები. ერთ წელიწადს 31% უჩვენეს და რატომღაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი დადუმდა ამაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ არ არის რეალური ასეთი მაჩვენებლების მიღწევა... ჩვენი ამოცანაა, ის მოკრძალებული, საშუალო ზრდის ტემპები შევინარჩუნოთ მინიმალური ინფლაციის პირობებში, რაც გვაქვს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რამდენად არის დაცული საქართველო მოსალოდნელი საფრთხეებისგან?

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე

— ბატონო სოსო, თურქეთში მომხდარმა სამხედრო გადატრიალების მცდელობამ მსოფლიო შეძრა. თქვენი აზრით, რით იყო ეს განპირობებული და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამან საქართველოზე?

— თურქეთი კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა იყო, ერდოღანმა, პრაქტიკულად, საპრეზიდენტო რესპუბლიკად აქცია. ელემენტარულად, შარშანწინ დამთავრდა ათასოთახიანი თეთრი სასახლის მშენებლობა, რომელიც კრემლზე, თეთრ სახლზე და ლუვრზე დიდია. მეორეა, ისლამისტური ფაქტორის გაძლიერება, კლანური სისტემა, კორუფცია. ამ ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი და გადატრიალების მცდელობაც განხორციელდა. საინტერესო იცით რა არის, ჩვენი ექსპერტების კომენტარებს გავეცანი, იძახიან, ხალხი უჭერს მხარსო. მერედა, რისი მაჩვენებელია ყოველივე? — ეს, ელემენტარულად, თურქეთის ისლამიზაციის დონის მაჩვენებელია. წარმოიდგინეთ, რიგითი „ობივატელი“ გამოდის, ტანკს უწვება, ჯარისკაცებს ავტომატებს ართმევს, ამის გაკეთება მხოლოდ ფანატიკოსს შეუძლია. ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე არავითარ შემთხვევაში არმიის წინააღმდეგ, შიშველი ხელებით, სიკვდილზე არ წავა. დღეს, დაკავებულთა გარკვეული ნაწილი თვითონ მოსახლეობამ — ისლამისტურად განწყობილმა ხალხმა კეტებით, ჯოხებით დააპატიმრა. თურქეთი, პრაქტიკულად, უკვე ისლამისტურია. რასაკვირველია, ეს მოვლენა საქართველოზე გავლენას მოახდენს. ჩვენთვის საჩუქარი ნამდვილად არ არის, როცა ამხელა გიგანტი მეზობელი რადიკალური ისლამისკენ იხრება დაამ დროს, ჩვენ გვყავს ეთნიკური მუსულმანების საკმაოდ დიდი ნაწილი. მარტო აჭარაზე არაა აქ საუბარი, არამედ სხვა რეგიონებზეც — შიდა ქართლში, ქვემო ქართლში. ამ მხრივ, რასაკვირველია, ჩვენთვის არასასიამოვნო ფაქტია. უკეთესი იქნებოდა, რადიკალური ისლამის კუთხით, მეზობლებიდან მაინც ვიყოთ დაცული.

— ბატონო სოსო, ის რაც მოხდა, ალბათ, იმის გამოძახილია, რაც ბოლო დროს მსოფლიოში ხდება, იგივე, საფრანგეთში, სირიაში.

— დიახ, საერთოდ, ეს მოვლენა ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, იგივე, საფრანგეთის მოვლენებთან დაკავშირებით. საით მიდის ევროპა? ახლა, გაირკვა, რომ პარიზის ტერაქტების ყველა ავტორი პოლიციელებს უკვე აღრიცხვაზე ჰყავდათ აყვანილი, ყველაფერი იცოდნენ მაგრამ მათ დაპატიმრებაზე თავი არ შეუწუხებიათ. მოკლედ, ფართოდ თუ განვიხილავთ, როგორც ჩანს, ევროპა ძალიან მძიმე არჩევანის წინაშე დგას და თურქეთიც ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. საფრანგეთის პრეზიდენტი თუთიყუშივით იმეორებს, თურქეთთან დაკავშირებით ომში ვართო. შე მამაცხონებულო, თუ ომში ხარ, ომის პირობებში ჩვეულებრივი მოვლენაა დროებით, ადამიანის უფლებების მცირედი შეზღუდვა. იცით რა ხდება საფრანგეთის ციხეებში? — მუსულმან ბიჭებს იჭერენ ხულიგნობისთვის და იქედან, ჯიხადისტები გამოდიან. იცით რატომ? — ციხე თურმე, სავსეა მოლებით, რომლებიც ამ ბიჭებს ესაუბრებიან, ტვინს ურეცხავენ და იქედან, უკვე ფანატიკოსები გამოდიან — ციხეში შედის როგორც ვიღაც ბაცაცა ჯიბის ქურდი და გამოდის როგორც ფანატიკოსი, რომელიც უკვე მზადაა თავი აიფეთქოს ოღონდ, რაც შეიძლება მეტი ურჯულო მოკლას.

— ამჯერად, სამხედრო გადატრიალების სცენარის შეცვლილი იყო. ეს რამ განაპირობა?

— დიახ, მსოფლიოში უამრავი სამხედრო გადატრიალება ხდება, განსაკუთრებით, აფრიკაში, მაგრამ როგორ მიდის სცენარი? — გამოდის სამხედროების მცირე ნაწილი, მოსახლეობა სახლში იკეტება და მეორე დღეს უკვე სხვა ხელისუფლებაა. ამჯერად, ქუჩაში მთელი ქვეყანა გავიდა. როგორც კი პრემიერმა ხალხს მოუწოდა გამოდით თურქეთი დავიცვათო, მთელი 80 მილიონამდე ქვეყანა ქუჩაში გამოვიდა და ორ საათში მოხდა განიარაღება, ამბოხებულების ნახევარი დაიჭირეს. ამ მხრივ, ჩვენთან, ძალიან რთული დილემაა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ აქ, ისლამურ მოსახლეობასთან არავინ მუშაობს. შემთხვევით გავიგე, რომ არსებულა რელიგიურ კონფესიებთან მომუშავე სააგენტო. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა როცა გავიგე ვინ არის უფროსი — თავის დროზე მოუმზადებლობის გამო ჩემი აკადემიიდან გარიცხული სტუდენტი, რომელმაც ორი წელი ისე გაატარა აკადემიაში ორი საგანი ვერ ჩაბარა. მერე მიჩიოდა, სააკაშვილთან დარბოდა, როცა ეს უკანასკნელი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო. აი, ასეთ ადამიანს აქვს ჩაბარებული ეს სააგენტო. თქვენ გაგიგიათ რა საქმიანობას ეწევა ეს სააგენტო?! ამ დროს, ეს ხალხი მოლების ამარაა მიტოვებული. ისინი ხომ საქართველოს მოქალაქეები არიან, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ მათთან როგორმე ქართული ენა, კულტურა, ტრადიციები შევიდეს. თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობის მერე პრემიერ-მინისტრი სიკვდილით დასჯის აღდგენაზე სიტყვით გამოვიდა. ეს, თურქეთში არ გაუქმებულა, მაგრამ მორატორიუმი შეაჩერეს. ქურთების ლიდერი ოჯალანი რომ დააპატიმრეს, მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ მას მერე ათი წელი გავიდა და იგი ისევ ციხეშია. ამჟერად, სიკვდილით დასჯა მოითხოვეს. ახლა, არმიაში თუკი ვინმე დარჩა, რეპრესიები წავა. მაგრამ არმია, ნატოს ზეგავლენით, მაინც სეკულარული — საერო რჩება. ერდოღანს აქვს, ჰქონდა და ხვალაც ექნება არმიასთან პრობლემა. ისლამიზმმა, ჯერჯერობით, არმიაში ფეხი ვერ მოიკიდა. გადატრიალების მცდელობაც სწორედ ამის ნიშანია. მეორე მხრივ, იცით რას უწოდებენ ერდოღანს ოფიციალურად განსაკუთრებით, ანატოლიაში? — სულთანს. ასე იხსენიებენ, ჩვენი სულთანიო, ბატონო პრეზიდენტო ან პრემიეროო, არავინ ამბობს. ვერ ატყობთ რა ხდება თუნდაც კინემატოგრაფიაში. ჩვენთან, დიდი ამბით გადის სერიალი „დიდებული საუკუნე“. როდის იყო თურქეთისთვის დიდებული საუკუნე? — როდესაც საქართველოში ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ და ამას, ჩვენი ტელევიზიები დილიდან საღამომდე აჩვენებენ. გეკითხებით, ეს რა არის? რომელ დიდებულ საუკუნეზეა ლაპარაკი ხომ უნდა გავიაზროთ? მაშინ, მოდით შაჰ-აბასზე, ჩინგიზ-ხანზე, აღა-მაჰმად-ხანზე გადაღებული ფილმებიც ვატრიალოთ. ასეთი ვითარება გვაქვს.

— ბატონო სოსო, ამ ფონზე, რამდენადაა საქართველო დაცული მსგავსი გადატრიალებებისგან, პრევენციისთვის თუ არის ქვეყანა მზად?

— სამხედრო გადატრიალებას პოლიტიკური მოტივაცია, ნება სჭირდება. თურქი სამხედროები ვერ მოესწრნენ, მაგრამ, ნატოს მეშვეობით, მაინც ათა თურქის იდეებზე არიან აღზრდილნი. კიდევ ვიმეორებ, იქ, სამხედროებს რაღაც პრინციპები აქვთ, რაც ჩვენთან არავის აქვს. აქ, საერთო უპრინციპობაა. რა პრინციპი უნდა მოთხოვო პოლიტიკოსს, რომელიც დღეს ერთ პარტიაშია, ხვალ მეორეში გადადის, ზეგ მესამეში ანუ, პრაქტიკულად, მზადაა თავისი პარტია გააუქმოს ოღონდ, პარლამენტში დარჩეს. რომელ პრინციპულობაზეა ლაპარაკი? ამიტომ, ასეთ ქვეყანაში პოლიტიკოსებს ბოდიში და გადატრიალების ერთი ადგილი არ აქვთ. ამიტომ, აქ არანაირი გადატრიალება არ იქნება. რაც შეეხება გარედან მომდინარე აგრესიის საფრთხეებს, ამის თეორიული შანსი, რასაკვირველია, არის. იგივე, თურქეთი ელოდება მომენტს აჭარა ისევ მიითვისოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, 2008 წლის ომი ჯერ დამთავრებული არი იყო, რუსის

10 გვ.

ზაალ კასრელიშვილი:

თარხან ბათირაშვილი იყო ის ფარი, რომელიც საქართველოს ტერორიზმისგან იცავდა

ექსპერტებსა და პოლიტიკურ წრეებში უკვე გაჩნდა ვერსიები, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ საქართველოს ერთადერთი ლობისტის გარდაცვალება შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვის ცუდი შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. საუბრობენ იმაზეც, რომ თურქეთის კრიზისი რუსეთის გააქტიურებას გამოიწვევს და ეს პროცესები საქართველოს გვერდს ვერ აუვლის. როგორ აისახება თარხან ბათირაშვილის გარდაცვალება და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები საქართველოზე? ამ კითხვით „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ პრეზიდენტსა და ანალიტიკოსს უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილს** მივმართეთ:

— ცუდად, რა თქმა უნდა ცუდად აისახება. არიან ადამიანები, რომლებიც საფრთხის ხარისხს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ამძიმებენ: არიქა, ცუდად არის ჩვენი საქმე და მართო რუსეთი თუ გვიშველისო. ზოგი საფრთხეების ასაცილებლად, საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლის დაჩქარებას მოითხოვს. ეს ყველაფერი პოლიტიკური თამაში და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, რეალურად არსებული საფრთხეებით სპეკულაციაა. საუბედუროდ, ხელისუფლებაშიც, ოპოზიციაშიც და ზოგადად, ქართულ ისტებლიშმენტში მასშტაბურად აზროვნების პრობლემაა. ვერც გლობალური პოლიტიკური პროცესებისა გაიგეს რამე და არც ის იციან, შიგნით, ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ რა ღონისძიებები უნდა გაატარონ. რაც კარგად ეხერხებათ, ინტრიგები, დაბეზღება, ჭორების დაყრა, ფულის მოპარვა და საქართველოს ფარგლებს გარეთ პატრონის ძებნაა — აი, ასეთ კომენტარს ვაკეთებთ იმ კომენტარებზე, რასაც საფრთხეებთან დაკავშირებით აკეთებენ.

— მიმდინარე პროცესების თქვენეული, ობიექტური შეფასება როგორია?

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ საფრთხე რეალურია. საქართველოსთვის სერიოზული საფრთხეს წარმოადგენს კავკასიაში რუსეთისა და თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და ისლამური სახელმწიფოს პრეტენზიები კავკასიაზე. რომელი ქვეყანა რა ძალას გამოიყენებს, რა ფორმით და რა დროს, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

— რუსეთის ინტერესების შესახებ, ასე თუ ისე, ცნობილია, რადგან თითქმის ყოველ კვირას „მცოცავი ანექსიის“ მხილველები ვართ. რა საფრთხეებზე შეიძლება იყოს საუბარი თურქეთის შემთხვევაში?

— თურქეთმა საქართველოში პრაქტიკულად, ეკონომიკური ექსპანსია განახორციელა. ის, რომ თურქეთში მიმდინარე ნებისმიერ, დადებით თუ უარყოფით პროცესზეა დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსი, ის, რომ 60-70% პროდუქტით, პირველადი მოხმარების საგნებით, ჩასაცმელითა და დასახურით თურქეთზე ვართ დამოკიდებული, ფაქტია და მეტი რაღა უნდა გვიქნან? ეკონომიკური ბერკეტებით გავლენა უკვე მოხდენილი აქვთ და სხვა ბერკეტები ალბათ, რელიგიური ინტერესები იქნება. მაგალითად, სუნიტი მუსლიმების უფლებების დაცვა საქართველოში.

— ამ ბოლო დროს, საუბრობენ, რომ ბათუმში შეიმჩნევა თურქული სპეცსამსახურების გააქტიურება..

— არა მარტო ბათუმში.. ვფიქრობთ, თუ თურქეთის სპეცსამსახურებს საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გადაბირება უნდათ, ამას ძალიან იოლად მოახერხებენ. გაიხსენეთ თურქეთში მყოფი ქართველი მეძავები, ადამიანები, რომლებსაც თურქეთში რაიმე ბიზნესი აქვთ ან თურქულ ბიზნესზე არიან მიბმული და ადამიანები, რომლებიც პურის ფულს თურქეთში მუშაობით შოულობენ. მე მათ შეურაცხყოფას არ ვაყენებ, უბრალოდ, ვამბობ, რომ თუ თურქულ სპეცსამსახურებს ასეთი მიზანი აქვთ, გადასაბირებლების ძებნა არ გაუჭირდებათ. რაც შეეხება აჭარას, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, იქ ოფიციალურად, 10 000-მდე თურქეთის მოქალაქე ცხოვრობს. სავარაუდოდ, თითეულ მათგანს ერთი ან ორი ოჯახის წევრიც ახლავს. ასე, რომ საქართველოში საკმარისი რაოდენობით ადამიანია, რომ თურქეთის სპეცსამსახურებმა „ამინდიც შექმნან“, ინფორმაციაც მიიღონ და დეზინფორმაციაც გაავრცელონ.

— თურქეთის პრეზიდენტმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ სამხედრო ამბოხი ამერიკიდან იმართებოდა და ამერიკის ხელისუფლებას თურქი ოპოზიციონერი ბიზნესმენი ფეთჰულაჰ გიულენის გადაცემა მოსთხოვა. როგორ ფიქრობთ, თურქეთში განვითარებულ პროცესებთან ამერიკის ოფიციალურ ხელისუფლებას რამე კავშირი აქვს?

— კატეგორიულად არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. დარწმუნებულები ვართ, რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების განცხადება, რომ მხარს უჭერენ დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს და არ დაუშვებენ ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლას, გადატრიალება მოხდებოდა. სწორედ შტატების რეაქციის შემდეგ გაჩერდა პროცესები. თურქეთის სახმელეთო და საჰაერო ძალების სარდლებმა განაცხადეს, რომ ისინი სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან კავშირში არ არიან და ეს საშუალო დონის ოფიცრების მეშვეობით ხდება. დააკვირდით, ერდოღანის მოწოდების შემდეგ, ქუჩაში სულ რამდენიმე ათასი კაცი გამოვიდა და როდესაც ამერიკის

სახელმწიფო მდივანმა გააკეთა ერდოღანის მხარდასაჭერი განცხადება, ანკარაში და სტამბულში მილიონობით კაცი გამოვიდა. ასე, რომ ერდოღანმა უნდა ილოცოს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში ობამა და დემოკრატები არიან, თორემ რესპუბლიკელები რომ ყოფილიყვნენ, შესაძლოა, დილას თურქეთში სხვა მთავრობა ყოფილიყო. დიახ, ობამამ და ჯონ კერიმ გადაარჩინეს ერდოღანი და რატომ გადაარჩინეს, ეს ისე ვრცლად სასაუბრო თემაა, გაზეთი არ ეყოფა..

— უკავშირდება თუ არა სამხედრო გადატრიალების მცდელობა ერდოღანის მიერ რუსეთისთვის ბოდიშის მოხდას?

— რა თქმა უნდა, უკავშირდება, ოღონდ ბოდიშის მოხდა მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა. თურქეთის პრეზიდენტმა საერო ცნობიერების სამხედრო ელიტა მანამდეც ბევრი რამით გაანაწყენა. მათ უბრალოდ დაიწყეს, გაჩერდნენ და დაელოდნენ საზოგადოების რეაქციას. როგორც კი უარყოფითი სიგნალები მიიღეს, პროცესი მაშინვე გაჩერდა.

— ჩამოთვლილ საფრთხეებში, რომლებიც საქართველოს ემუქრება, ისლამური სახელმწიფოც ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება თუ არა ვითარება თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შემდეგ?

— ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიშურებია, რომ საქართველოში მოსახლეობის უსაფრთხოება დაგვეცვა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ზოგიერთი თავხედი წარმომადგენელი ამას საკუთარ თავზე მიიწერს, ჩვენ ძველებურად ვაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას, მაგრამ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, პროცესები რა მიმართულებით წავა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არც ჩვენი და არც ქართული სპეცსამსახურების ძალები საკმარისი არ აღმოჩნდეს. რაც შეეხება ბათირაშვილს, ის იყო ერთი მართალი, წესიერი, ვაჟკაცი, რომელიც სამშობლომ გაწირა, მაგრამ მის ერთი წუთით არ მიუტოვებია საკუთარ სამშობლოზე და საკუთარი ხალხის ბედნიერებაზე ფიქრი.

— თქვენი ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდ საქმეში იყო ჩართული, ბათირაშვილი საქართველოსთვის პოზიტიურ როლს ასრულებდა..

— ეთნიკური ქართველებიდან, რომლებიც მსოფლიო ისტორიაში

10 გვ.

რამდენად არის დაცული საქართველო მოსალოდნელი საფრთხეებისგან?

8 გვ.

ჯარი ისევ აქ იდგა და ერდოღანი მაშინათვე პუტინთან ჩავიდა და რა უთხრა? – აჭარა ჩემია, არ გაბედო მისი მითვისებაო. საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არცერთ მეზობელთან საზღვარი დადგენილი არ აქვს. თურქეთთან არის კომუნისტების დროინდელი საზღვარი დადგენილი, მაგრამ ამ საზღვარს თურქეთი არ ცნობს და რად გინდათ. ადრე, ვნახე მეთერთმეტე კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც აჭარა წერია როგორც დროებით ოკუპირებული ბათუმის სინჯაყი და თურქეთის ფერშია. თურქეთის ელჩს შეხვედრაზე ვკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი და მიპასუხა: იცით რა, წიგნებს კერძო გამოცემლობები ბეჭდავენ, მაგრამ ჩვენი მთავრობის პოლიტიკის მიხედვით, თქვენთან, ტერიტორიული პრეტენზია არ გვაქვს, ნუ მიაქცევთ ყურადღებასო. ეს წინა ხელისუფლების დროს იყო და მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს კრინტი არ დაუძრავს, თუმცა მასაც ვუთხარი რა ვიტარებაც იყო და იგივე პასუხი გამცა. ეს საფრთხე რასაკვირველია არის.

– ანუ, სირაქლემას პოზიცია გვიკავია?

– დიახ, აქ, სირაქლემასავით ქვიშაში აქვთ თავი ჩარგული იმ ლოგიკით, რომ ჯერ ხომ არაფერი დაშავებულა. ეს სააგენტოც ითვლება რომ კარგად მუშაობს იმიტომ, რომ ჯერ არაფერი დაშავებულა. კი, მეჩეთის აშენების თემაზე იყო რაღაც პრობლემები, მაგრამ ხომ გადაწყდა და სისხლი არ დაღვრილა. ლოგიკა ესაა. როგორც ფრანგების სამართალდამცავები ამბობენ: ნუ, რა ვქნათ, ახლა, ჯერ ტერორისტული აქტი არ ჩაუდენიათ და თავში რომ რაღაცას ფიქრობს და ემზადება, ამისათვის ვერ დავაპატიმრებთო.

– საუბრისას არაერთხელ ახსენეთ ნატოს გავლენა. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. ყოველ კვირას ბათქა-ბუთქია ატეხილი, ხან ტერაქტი ხდება, ხან გადატრიალების მცდელობა. რატომ ვერ უზრუნველყოფს ნატო თავისი წევრი ქვეყნის უსაფრთხოებას?

– ამ კუთხით, თურქეთი ცოტა დელიკატური საკითხია. იგი ნატოს წევრი გახდა 1949 წლის აპრილის ხელშეკრულების ყველა პუნქტის დარღვევით. იქ, არც დემოკრატია იყო, არც თავისუფალი არჩევნები, არც ადამიანის და უმცირესობათა უფლებები. უბრალოდ, მაშინ თურქეთმა მზადყოფნა განაცხადა, კორეაში ჯარი გაეგზავნა. ეს იყო და ეს. ამიტომ, ერთი მხრივ, კი თურქი სამხედროები ნატოზე სახარებასავით ფიცულობენ, მაგრამ ხელისუფლებას, ერდოღანს ნატო მაინცდამაინც არ ეპიტნავება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბრიუსელში, რუსეთთან თვითმფრინავის კონფლიქტზე, გარკვევით უთხრეს, არ გეგონოს შენი გულისთვის ომს დავიწყებთო. რას ნიშნავს მისი გულისთვის? თურქეთი ალიანსის წევრია და მეხუთე პუნქტი მოქმედებს. ერდოღანი ამაზე დაიბოღმა. გამოსვლითაც ვერ გამოდის, ვერ ბედავს და მაინცდამაინც აქტიურადაც არ წევრობს. მაგალითად, ერდოღანი სამშვიდობო ჯარს, ისლამურ ქვეყნებში, არ გზავნის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ერთი მხრივაა ნატო-რუსეთი, ბალტიისპირეთი და მეორე მხრივ, ისლამისტური საფრთხე. რუსეთთან დაკავშირებით შეიძლება გამოიძებნოს რაღაც, მაგრამ აქ, უკვე გამოსავალი აღარაა. მხოლოდ ნიცას მოვლენების შემდეგ, ირკვევა, რომ იგი ისლამისტების ბუდე ყოფილა. შაბათ-კვირას საღამოს ნიცაში რომ გახვალ სთურმე, გეგონება სტამბულში ხარ – დადიან ხიჯაბიანი ქალები გრძელი, შავი კაბებით, ჩადრებით, სულ ისლამისტური მოსახლეობაა. ასეა პარიზის ყველა გარეუბანში. როდესაც ასეთი საფრთხეა და თავად ამბობ ომიაო, სხვა გამოსავალი არ არის, ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვა ცოტა უნდა შეიზღუდოს, ამას თხოულობს უფრო დიდი ფასეულობა, რასაც სახელმწიფოს უსაფრთხოება ჰქვია. იქ, ამაზე წასვლა არავის არ უნდა.

– ბატონო სოსო, ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე მოკლეს თარხან ბათირაშვილი. ხომ არ არის საფრთხე პროცესებმა აქეთ გადმოინაცვლოს?

– არა იმიტომ, რომ არსად ხმა, კრინტიარ დაძრულა. ძალიან ყურადღებით ვადევნებ თვალს ისლამური სახელმწიფოს ლოზუნგებს, განცხადებებს, საქართველოსადმი აგრესია არსად დაფიქსირებულა. არც აქვთ მათ რამე სათქმელი იმიტომ, რომ ჩვენგან თავისუფლად მოძრაობენ. მაგრამ მეორე მხრივ, საფრანგეთიდან, მათ მხარეზე, შვიდი ათასი ახალგაზრდა ომობს სირიაში, მაგრამ ვხედავთ, საფრანგეთს რა დღესც აყრიან. პრაქტიკულად, თუ საფრანგეთი, ინგლისი დაუცველია, საქართველო უფრო მეტად დაუცველია. ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ ვართ დაცული. ამას მაშინ გავიგებთ, ღმერთმა ნუ ქნას და თუ საფრთხე გაჩნდა. 2008 წლის ომამდე გვეგონა, რომ ისეთი არმია გვყავდა ბოდიში და რუსეთი ფეხებსაც ვერ მოგვჭამდა. ხომ გახსოვთ, ჩვენი ინტელიგენციის ზოგი წარმომადგენელი ტრაბახით ამბობდა: რუსეთის ჟანგიანი ტანკები რა მოსატანია, ამერიკული ტექნიკით ხაბაროვსკამდე ჩავალთო. ბოლოს ვნახეთ რაც მოხდა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ აქაც, საქმეზე დარწმუნება მოგვიხდეს იმიტომ, რომ ჩვენ, დღეს, არანაირი წარმოდგენა არ გვაქს. ერთი რამ დაგვრჩენია, ჩვენს ძალოვნებს უნდა ვენდოთ, რომ საქართველო დაცულია. მაგრამ ასე ვენდეთ იმდროინდელ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასაც, რომლებიც გვარწმუნებდნენ, ჩვენ რა გვიჭირს პირიქით, რუსეთმა მიხედოს საკუთარ თავს, მას აქვს პრობლემებიო. თუ ვის ჰქონდა პრობლემები, ხუთ დღეში კარგად დავინახეთ.

ასეთ პატარა ქვეყანას როგორიც საქართველოა, ასეთი დიდი მეზობლების ხელში ძალიან გაუჭირდება. მას თავის დაცვის მხოლოდ ერთი საშუალება აქვს, ეს დიპლომატიაა. თუ არმიაზე, ძალოვნებზე წარმოდგენა არ მაქვს რა შეუძლიათ, დიპლომატიაზე 100%-იანი წარმოდგენა მაქვს, რომ არაფერი არ შეუძლიათ. ასე, რომ აქ, ყველაფერი ნათელია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

თარხან ბათირაშვილი იყო ის ფარი, რომელიც საქართველოს ტერორიზმისგან იცავდა

9 გვ.

როგორც მეომრები და სარდლები შევიდნენ, რომელი იყო კარგ საქმეში ჩართული? თუ გიორგი სააკაძე, რომელმაც ათჯერ დალაშქრა საქართველო და იმ დროის ყველაზე პირსისხლიან და აგრესიული ისლამის მიმდევარ შაჰ-აბასს ემსახურებოდა, გმირია, რატომ არ არის გმირი კაცი, რომელიც მთელი ისლამური სამყაროს სარდალი გახდა და საქართველო შეინახა? მე არ ვლაპარაკობ ჩვენი ორგანიზაციის დამსახურებაზე ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მე ვლაპარაკობ ამ კონკრეტულ ადამიანზე. რადგან სიტყვამ მოიტანა, გეტყვით, 2008 წლიდან ვიდრე დღემდე, საქართველოშო მეტროები რომ არ აფეთქდა და სახელმწიფო მოხელეები საკუთარ ავტომანქანებში არ ჩახოცეს, ჩვენი ორგანიზაციის ლიდერებთან ერთად, დოკუ უმაროვის და თარხან ბათირაშვილის დამსახურებაა.

– ასეთი საფრთხე რეალურად არსებობდა?

– საფრთხე საქართველოში იმ დღიდან არსებობს, რაც 1991-92 წლებიდან მოყოლებული, ძალიან ბევრი ჩრდილო კავკასიელი საველე მეთაური გაანაწყენეს და გათახსირეს, მაგრამ **2008 წლის ლაფანჭურის სპეცოპერაციის შემდეგ, ძალიან აქტუალური გახდა. ჩვენ ვამბობდით და კიდევ ვიმეორებთ, საფრთხე არსებობს, მაგრამ როდის გახდება ქვეყანა სამიზნე, ამის დადგენა ძალიან ძნელია.**

– ალბათ იცით, ბათირაშვილის მამა ამბობს, რომ მისი შვილი ტერორისტად ნაციონალებმა აქციეს.

– ვიცით და ამის შესახებ ჩვენც არა ერთხელ გაგვიცხადებია. ჩვენ ვიღებთ მისი ოჯახის სამძიმარს და ვთვლით, რომ თარხან ბათირაშვილი იყო სულით და ხორცით ქართველი, კავკასიელი, გმირი, რომელიც უმადურმა ქართველებმა გააგდეს საქართველოდან და მაგარი რომ იყო, იმიტომ შეიძულეს. ის გმირულად იბრძოდა ცხინვალში და ბოლო გამოვიდა ქალაქიდან. ამ დროს ნახა ის, რაც არ უნდა ენახა და იმიტომ ჩააგდეს ციხეში.

– ხომ ვერ დააკონკრეტებთ, რას გულისხმობთ?

– ვერა. ჩვენ გმირად აღიარებას არავის ვთხოვთ, უბრალოდ ვამბობთ, რომ ვისაც კაცურად არასოდეს უცხოვრია, ის ვერასოდეს გაიგებს, რა არის მამელუქი. უკაცრავად და გმირისა და ღირსეული ადამიანის არჩევანს როგორ გაიგებენ ისეთი კაცები ცოლს პაპიროსისთვის ლარს რომ თხოვენ, ცოლები სამუშაოდ რომ ჰყავთ გაშვებული და იმათი გამოგზავნილი ფულით საყვარლებს იჩენენ? ასეთები ვერასოდეს მიხვდებიან, როგორი ტრაგედიაა, როცა შენი ქვეყნისგან მოკვეთილი და გაგდებული, სადღაც გმირი გახდები. როცა ყველაფერი გაქვს, მაგრამ უკმარისობის გრძნობისგან ვერ თავისუფლდები.

ორი წლის წინ ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში თარხან ბათირაშვილის მამა, თემურ ბათირაშვილი შვილზე ამბობდა: „ეგ ისეთ წრეშია ჩაბმული, იქიდან გამოსვლა აღარ შეიძლება. მე ქრისტიანი კაცი ვარ. ღმერთმა დაიფაროს ყველა, ეს ამბავი, რასაც ეგენი ამბობენ, რომ გამართლდეს. თარხანს „ალ ყაიდას“ შტაბში ბინ ლადენის ადგილზე მოიაზრებენო. ღმერთო დაიფარე მაგისგან“.

ნელი თორდია
571 35 36 88

სამი განრისხებული ქალი და ერთი უსამართლოდ დასჯილი ბიჭი

16 ივლისს ირაკლი ალასანიას ახალი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა...

პრინციპში, ალასანიას პარტიის კი არა, ნინო გოგუაძის დებიუტი უფრო ერქვა ამ ყრილობას...

გოგუაძის გამოსვლა იყო ყველაზე მჭერმეტყველური, ყველაზე ემოციური, ყველაზე რადიკალური...

ქალბატონი ნინოს ჟესტიკულაცია იყო უბადლო, სიტყვით გამოსვლის დროს ხელების ორატორულად გაშლა წარმოდგენილი იყო მაქსიმალურად... კომუნისტური ყრილობები გამახსენდა, ასეთივე ჟესტიკულაციებით და პათოსით სავსე... მედლით დამშვენებული ფერადწინწკლებიანი ჩითის კაბა აკლდა გოგუაძეს, თორემ პიონერობას ვერ ვუწუნებ...

პათოსის როლი ორატორის გამოსვლაში მნიშვნელოვანია, ეს ყველა იმ ადამიანმა იცის, ვინც კომუნიზმის ხელოვნებას იცნობს... ამიტომ ქალბატონმა ნინომ ბევრი ისაუბრა ადამიანსა და ადამიანობაზე... ადამიანი ადამიანისთვისო... დემოკრატიისთვისო, თავისუფლებისათვისო... მხოლოდ ჩვენ, „თავისუფალმა დემოკრატებმა“, ვიცით, რომ ადამიანი უმნიშვნელოვანესიაო... ადამიანი და ადამიანიო... გავიგეთ, ქალბატონო, გავიგეთ... და ის დანარჩენი პარტიები აბა ძაღლებზე და კატებზე საუბრობდნენ? მარტო თქვენი ამომრჩეველია ადამიანი, თუ როგორაა საქმე?

ალასანიასგან განსხვავებით, რომელმაც ჩვეულებისამებრ რბილად და მოქნილად ისაუბრა, ისე, რომ არც მწვადს (ანუ „ქართულ ოცნებას“) სწვავდა და არც შამფურს (ანუ, „ნაციონალურ მოძრაობას“) ქალბატონი ნინო რადიკალური და შეურიგებელი იყო...

ალასანიას არც მთავრობის და ხელისუფლების ლანძღვით უცდია ფონს გასვლა, არც რადიკალობით... პირიქით, ღია და გულწრფელი დიალოგი მინდა ხელისუფლებასთანო... მონატრებია ბიჭს მინისტრობა... ასეა, სკამს მიზიდულობის ძალა აქვს... ალბათ, დუბაიში გრიალსაც კი სკამი სჯობს, ალბათ სააკაშვილის ღიმილსაც სკამი სჯობს, ალბათ კეზერაშვილის და ახალაიას ძმაკაცებსაც სკამი სჯობს... თბილი, გემრიელი, მოსახერხებელი, ძვირადღირებული სკამი...

სამაგიეროდ, ამორძალი გოგუაძე გადაეფარა, მე ვიტყვი შენს სათქმელსაც, ჩემო ბიჭოო.. არავის ვაპატიებ ალასანიას წყენინებასო... დამისაჯესო ეს პრინციპული და ქვეყნის უსაფრთხოებაზე თავგადამკვდარი ბიჭიო... მაშინ დამისაჯეს, როცა ხუთი უდანაშაულო თანამშრომელი შვიდი წლით ჩაუსვეს ციხეშიო...

კარგით რა, ქალბატონო ნინო, ალასანია და პრინციპულობა?

მაშინ სად მალავდა ამ პრინციპს, როცა კეზერაშვილისა და ახალაიას კადრებს ლობირებდა და აწინაურებდა, კოდუას ყოფილი მოადგილე და ალასანიას მეგობარი დავით როგავა აკი ალასანიამ არ დანიშნა დაზვერვის დეპარტამენტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე? ან კეზერაშვილის გარემოცვის წევრი კოტე ყიფიანი ჩემი პრინციპულობით დაინიშნა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე? მაშინ რომელ ჯიბეში ედო პრინციპი, როცა ნათესავებსა და მეგობრებს ასაქმებდა სამინისროში? (დავით და ელისო ნარსიები მაგალითად, რომლებთანაც ნათელმირონობა აკავშირებდა). თუ, თავდაცვის სამინისტრო „ნინიას ბაღია“ და სულ ერთია, ვინ რომელ თანამდებობაზე იმუშავებს? ნეპოტიზმი და პრინციპულობა ერთად ვერ

სძოვენ, ქალბატონო ნინო, ვერც ნაცების სამინისტროში შეყრა და ქვეყნის უსაფრთხოება თანხმდება ერთმანეთში...

მაინც როგორ დასაჯესო, ეს პატარა საყვარელი ბიჭიო? გაწკეპლესო? ციხეში ჩასვესო?

პრინციპული ალასანია იმით დასაჯეს, რომ ხუთი თანამშრომელი შვიდი წლით ჩაუსვეს ციხეშიო... ისე საუბრობთ ამ ხუთ ადამიანზე, ქალბატონო ნინო, თოთქო ისინი ალასანიას საკუთრებები იყვნენ... სათამაშოს რომ წაართმევ პატარა ბიჭს და გაბრაზებული აღარ ითამაშებს, იმას გავს ეს ამბავი ცოტათი...

თუ ასე გიღრნიდათ აქამდეც გულს იმ ხუთი ადამიანის ბედი, ამ პრინციპულმა და დასჯილ-განაწყენებულმა ბიჭმა როგორ ვერ მოახერხა იმ ხუთი ადამიანიდან თუნდაც ერთის უდანაშაულობის დამტკიცება? იმ ხუთიდან თუნდაც ერთისთვის რატომ არ იბრძოლა? თუ, ბრძოლისთვის, გამოძიებისთვის, პასუხისმგებლობისთვის ჯერ პატარაა?

მაშ, სახელმწიფოს ბედზე როგორღა იზრუნებს, თუ 5 „უდანაშაულო“ ადამიანის ბედის შეცვლა ვერ შესძლო? მაშ, სახელმწიფოს როგორ გაუმკლავდება, თუ ერთ სამინისტროს ვერ მიხედა?

ანუ, თქვენ ის კი არ გადარდებთ ქალბატონო ნინო, რომ ალასანიას მინისტრობის დროს სამინისტროში ნეპოტიზმი

მეფობდა, არც ის გადარდებთ, რომ ნაცებით გაავსო სამინისტრო და არც ის გიკლავთ გულს, რომ როცა სამინისტროში ხუთი ადამიანი დანაშაულს სჩადის, მინისტრი მორალურად მაინც პასუხისმგებელია, მინისტრი სულ ოდნავ მაინც უნდა ერკვეოდეს და იცოდეს ვინ რას აშავებს... არა, თქვენ ის გწყინთ, რომ ალასანიას გაუბედეს და სათამაშოები წაართვეს...

აბა, დაუსჯიათ ბიჭი და ეგაა...

და ეს თქვენთვის უკვე ომია...

ჩვენ ვიბრძვითო, ამბობთ, მაგრამ ჩვენც გვებრძვიანო, გვებრძვიან ზოგჯერ სასტიკად და წესების გარეშეო!

წესების გარეშე ბრძოლაში, ალბათ, პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებს გულისხმობთ...

ისეც არ გეგონოთ საქმე, რომ ალასანიას ბედ-იღბალს მხოლოდ ნინო გოგუაძე წყვეტს... ალასანიას ცხოვრებას სამი ქალი გასდევს რეფრენად: მაია ფანჯიკიძე, ნათია ფანჯიკიძე და ნინო გოგუაძე.

სამი ქალი დიდი ძალაა, სამი განრისხებული ქალი კი, კიდევ უფრო დიდი ძალა...

თავის დროზე ალასანის თანამეცხადრე ნათია ფანჯიკიძე წერდა: „ბატონი ბიძინას გამოჩენის შემდეგ ამოვისუნთქე. ბიძინას, როგორც პოლიტიკური ფიგურის გამოჩენა, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ვიგრძენი, რომ პირველად დგას ირაკლის გვერდით ნამდვილი პარტნიორი, რომელსაც შეუძლია, როგორც დარტყმის, ისე საქმის საკუთარ თავზე აღება. რაც ბატონი ბიძინა გამოჩდა, მეშინია ნეტარებამდე არ მივიდე, ისეთი მშვიდი ვარ“...

მაგრამ, როცა ალასანიამ ვერ დაუფასა კარგ პარტნიორს წვლილი და ნაცები შეყარა სამინისტროში, როცა მერე იქეთ შეედავა მთავრობას, როცა დუბაიში „იგულავა“, როცა მყარი და ძლიერი პარტნიორის ლანძღვა დაიწყო პირად საუბრებში, დამთავრდა ნათია ფანჯიკის სიმშვიდე და ჩაისუნთქა...

ჩაისუნთქა და გაახსენდა, რომ ის ივანიშვილის პირველი მსხვერპლი ქალია, რადგან ქმარმა საფრანგეთში უღალატა... ნათია ფანჯიკიძეს დღემდე ვერ მოუნელებია მეუღლის ფრანგული ვოიაჟის ამბავი, დღემდე ნაწყენია ივანიშვილზე, აკი, ივანიშვილს, როგორც ძლიერ პარტნიორს უნდა დაეცვა ეს პრინციპული პატარა ბიჭი მაცთური დიაცებისგან და არ დაიცვა...

დღემდე არ მიკითხავს ირაკლსითვის ვინ იყო ის ქალი, არ იყო მაგის დროო, მაგრამ აუცილებლად ვკითხავო... ეჰ, მერე რომ ჰკითხავთ, გიპასუხებთ, რომელი ერთიო... ახლა ჰკითხეთ, სანამ ჯერ კიდევ ახსოვს ვისზე ეკითხებით...

ეს ბიჭი ისეთი საყვარელია, ისეთი კარგია, რაც უნდა თქვათ მასზე, მის გამო თვალდაუხამხებლად მოვკვდებიო... მე ირაკლის დავეხმარები ცოცხალიც და მკვდარიც, რომ ეს ქვეყანა გაიყვანოს სინათლეშიო - აცხადებს. ქ-ნი ნათია.

იქნება და ეს „სიბნელე“ გვირჩევნია, გეკითხათ მაინც...

მაია ფანჯიკიძეს აღარაფერი დაუმატებია, მან ისედაც ბევრი და საკმარისი თქვა... მაია ფანჯიკიძე სიძის პარტიის სიის ოცეულშია და ესეც საკმარისიაი... მაია ფანჯიკიძე არ არის ნათიასავით რომანტიული, არც ნინო გოგუაძასავით მჭერმეტყველია... ის პრაქტიკული ქალია და იცის, რომ საქმე სჯობს ლაპარაკს...

და ამ სამი ქალის იმედით, ამ სამი ქალის დაცვითა და გამხნევებით გულმოცემულმა ალასანიამ ბევრი დაპირება გასცა წინასაარჩევნოდ... ყველას ყველაფერს დაგვპირდა... ამაში უცნაური არაფერია, მას ხომ ახსოვს ზუგდიდის და ზოგადად სამეგრელოს წაგებული არჩევნები, მას არც თბილისის არშემდგარი მერობა მოუნელებია ჯერ, ამიტომ იცის, არჩევნებზე სამ ან ოთხ პროცენტს მიიღებს ხმებისას... ანუ, ვერც ხელისუფლებაში მოვა და არც დაპირებების ასრულება მოუწევს... ჩაეფლობა თავის ოპოზიციურ სავარძელში და შიგადაშიგ ამოგვძახებს ხოლმე, აი, მე რა კარგი ბიჭი ვარ, ჰაი, დედასა, რა უსამართლოდ ვიჩაგრებით...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ირაკლი გოგოხია:

ბედნიერებაა, როცა შენს ქალაქს ემსახურები...

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია 2 წლისაა

ძალიან დიდი ბედნიერებაა, როცა შენს ქალაქს ემსახურები და ყოველდღე ხედავ, როგორ იცვლება და თანდათან უკეთესი ხდება შენი მშობლიური ქალაქი. გარკვეული დრო დაგვჭირდა, მოგვეხდინა იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა მოსახლეობას“- აცხადებს ქალაქ ზუგდიდის მერი, **ირაკლი გოგოხია** და მერიის არსებობიდან ორ წელიწადში განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე საუბრობს.

- ძირითადი პრობლემა გაუმართავი გზები, გარე განათების, საკანალიზაციო სისტემის, სანიაღვრე არხების არქონა გახლდათ. მახსოვს, თითქმის არ გვეძინა. პროექტირება ფაქტიურად ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, ქალაქი ზუგდიდი თვითმმართველი ქალაქი ორი წლის წინ გახდა. მერია 2014 წლის 14 ივლისს შეიქმნა. ამ დღეს ქალაქ ზუგდიდს ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის-მერიისთვის განკუთვნილი შენობა და ჰყავდა მერი. თანდათან დაკომპლექტდა კადრები. შეეუდექით აქტიურ მუშაობას პროექტებზე.სრული დატვირთვით მუშაობას აგვისტოს თვეში შეეუდექით და ფაქტიურად არასრული წელი გვქონდა. ამ წელს რამდენიმე ქუჩაზე მოვაწესრიგეთ სანიაღვრე არხები, რამდენიმე ქუჩაზე მოვაწყვეთ გარე განათება, მაგრამ მუშაობის ლომის წილი პროექტების მომზადებაზე მოდიოდა. დავგეგმეთ და ვიმუშავეთ, 2015, 2016 და 2017 წლებში განსახორციელებელ პროექტებზე.

- არ იყო ადვილი ალბათ ახალი სტრუქტურის შექმნა?

- თვითმმართველი ქალაქი 2014 წელს გავხდით. მანამდე, ქალაქი ზუგდიდი რაიონში შემავალი ქალაქი იყო, რომელსაც ბიუჯეტს უმტკიცებდა ზუგდიდის რაიონი. მაგალითისთვის, ადრე 2002 წელს, ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში, მახსოვს, რომ ბიუჯეტი სულ რაღაც 550 000 ლარი იყო. ბოლო წლებში კი ზუგდიდის რაიონის ბიუჯეტი 30 მლნს შეადგენდა, ქალაქისა და რაიონის გაყოფის შედეგად, ფაქტიურად თითქმის გაორმაგდა და თითოეულის ბიუჯეტმა 30 მილიონი შეადგინა (საერთო ჯამში 60 მილიონი). ახლა ბევრად მეტი შესაძლებლობები და რესურსია ქალაქის განვითარების მიმართულებით. ცხადია, ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა იგრძნოს თვითმმართველობის ახალი კანონის სიკეთეები და ამ შემთხვევაში ეს მაგალითი სწორედაც რომ ლოგიკურია.

- რამდენად აქტიურადაა ჩართული მოსახლეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. რამდენად გამჭვირვალედ ხორციელდება თქვენი საქმიანობა?

- ყველანაირად ვცდილობთ გამჭვირვალედ ვიმუშაოთ. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ყოველი თვის ბოლოს ვმართავთ მოსახლეობასთან შეხვედრებს. გაწეული საქმიანობის ანგარიშს ვაბარებთ მათ. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო საკითხი, პრობლემა დასვას, ესაუბროს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მერთან, ვიცე-მერთან, მერის მოადგილესთან, ნებისმიერი სამსახურის თუ რგოლის წარმომადგენელთან შეხვედრა. მოსახლეობის ჩართულობის მიზნით ჩავატარეთ ბიუჯეტის განხილვაც. ჩვენი შეხვედრები ღია და საჯაროა ყველასთვის. ამიტომაცაა არასამთავრობოების, დაინტერესებული პირების სიმრავლე ჩვენი ნებისმიერი თემატიკის შეხვედრებზე. კანონით დადგენილ ჩარჩოებში, ნებისმიერი მოქალაქე იღებს მისთვის საინტერესო კითხვაზე პასუხს. მიღების დღეებზე განსაკუთრებით მრავლად არიან ჩემთან შეხვედრის მსურველები. ყოველთვის ვცდილობ ხალხთან უშუალო, პირდაპირი კავშირი მქონდეს და მიხარია, რომ მათგან სითბო და კეთილგანწყობა მოდის.

- ითვალისწინებთ თუ არა მოსახლეობის მოსაზრებებს, მათ ინტერესებს ამა თუ იმ პროექტების განხორციელებისას?

სხვანაირად უბრალოდ წარმოუდგენელია. ჩვენ ხალხის მიერ არჩეული თვითმმართველობა ვართ, ხალხს ვემსახურებით. ჩვენ ზუსტად ვიცით, საით მივდივართ, რას ვაკეთებთ, რა გვინდა, და ამიტომაც, ის პრიორიტეტები, რაც დავსახეთ, ხორციელდება და მომავალშიც განხორციელდება. ხაზგასმით აღვნიშნავ - ყველა დაპირება, რომელიც მერად არჩევის დროს გავეცი, შესრულდება. ყველა საქმიანობა დროშია გაწერილი და ეტაპობრივად მიმდინარეობს. ჩვენ შევისწავლეთ მერიაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული წერილები. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა გაუმართავი სანიაღვრე არხები იყო. ამ ორი წლის მანძილზე 3 მილიონამდე ლარი სანიაღვრე არხების მოწყობის მიმართულებით გავხარჯეთ. ქალაქის ტერიტორიაზე განსაკუთრებით პრობლემატური მცირე მდინარეებია, რომლებიც მცირედი წვიმის დროსაც დიდ პრობლემას უქმნის მოსახლეობას. მაგალითისთვის, დავიწყეთ 500 ოჯახის პრობლემადქცეული მდინარე „ვაჟიას“ კალაპოტისა და მიმდებარე ქუჩების სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. გასული საუკუნიდან მოყოლებული ამ მდინარის კალაპოტისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია არ მომხდარა. იგივე სიტუაციაა მდინარე კუჩხობონთან დაკავშირებითაც. ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე და მე ამ მდინარის კალაპოტის რეაბილიტაცია არ მახსოვს. მიხარია, რომ ეს ჩვენ შევძელით. ამ სამუშაოების განხორციელებას ჩვენ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეთით ვახერხებთ. აღნიშნული მიმართულებით ქალაქის ინფრასტრუქრურული განვითარება მომავალ წელსაც გაგრძელდება. ინფრასტრუქტურული მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია სახურავების რეაბილიტაციის პროგრამაც. ჩვენ ქალაქის ტერიტორტორიაზე არსებული 25 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი და სტიქიის შედეგად დაზიანებული 15 კერძო საცხოვრებელი სახლი გადავხურეთ. ამით, ძალიან დიდი პრობლემის მოგვარება შევძელით.

- ადგილობრივი ბიუჯეტი რამდენად წვდება პროექტების დაფინანსებას?

- ბიუჯეტის დიდი ნაწილი სწორედ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ხმარდება. დაფინანსებას ცენტრალური ბიუჯეტიდანაც ვიღებთ. რეგიონალური განვითარების ფონდი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისას გვეხიდება. წინასაარჩევნო შეხვედრებზე მოსახლეობა საფეხბურთო სტადიონს ითხოვდა.. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მერობის პერიოდში დაიწყო UEFA-ს მესამე კატეგორიის ორი სტადიონის მშენებლობა. 19 მილიონი ლარი დაიხარჯება ამ მშენებლობაზე. პირდაპირ გეტყვით — მე ვამაყობ ამ პროექტით! მეორე, უმნიშვნელოვანესი პროექტი ქალაქ ზუგდიდში სასმელი წყლის რეაბილიტაციაა. 475 ქუჩა და ჩიხია ქალაქში. ყველა მოსახლე ისარგებლებს ამ სიკეთით. სარეაბილიტაციო სამშაოები აქტიურად მიმდინარეობს და 2018 წელს დასრულდება. უკვე გამოცხადებულია 40 მილიონიანი ტენდერი საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციაზეც. ასე, რომ ქალაქში მიწისქვეშა კომუნიკაციები სრულად გაიმართება და ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება. ამის შემდეგ გზების რეაბილიტაციასაც დავიწყებთ. ეკოლოგიურად სუფთა გარემო ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. მოგეხსენებათ, ქალაქის მთავარი მდინარე-ჩხოუში, ყოველდღე უფრო და უფრო ბინძურდება. წყლის რეაბილიტაციის პარალელურად, გამწმენდი ნაგებობა აშენდება ქალაქში და მდინარის დაბინძურების პრობლემაც მოიხსნება. აღნიშნული პროექტების შემდეგ, ქალაქში გზების რეაბილიტაცია დაიწყება. როგორც იტყვიან, ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ, რომ იაფფასიანი და დროებითი გზები დავაგოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგებამდე უარი ვთქვით გზების რეაბილიტაციაზე, იქ სადაც მიწისქვეშა სისტემების რეაბილიტაცია შემხებლობაში არ არის, ან მეწყერსაშიში ადგილებია, გზების საფუძვლიან რეაბილიტაციას ვახორციელებთ. ორი წლის მანძილზე 6 ქუჩაზე მოვაწყვეთ ასფალტო-ბეტონის საფარი, 10 მოიხრეშა, ხოლო 20 ქუჩა ორმულად შევაკეთეთ. ამჟამად უკვე გამოცხადებულია ტენდერი 21 ქუჩის მოხრეშვასა და 31 ქუჩის ორმულ შეკეთებაზე.

- საბავშვო ბაღებში რთული ვითარებაა.

- გეთანხმებით. რთულ პირობებში არიან ბავშვები და რა თქმა უნდა იქ ჩასახლებული დევნილებიც. მოგეხსენებათ თითქმის ყველა ბაღში აფხაზეთიდან დევნილი

ირაკლი გოგოხია: ხაზგასმით აღვნიშნავ - ყველა დაპირება, რომელიც მერად არჩევის დროს გავეცი, შესრულდება. ყველა საქმიანობა დროშია გაწერილი და ეტაპობრივად მიმდინარეობს.

მოსახლეობაა ჩასახლებული. რეაბილიტაციაც ამ მიზეზით გართულებულია. თუმცა, პირველივე დღიდან დავიწყეთ საპროექტო სამუშაოები და სრულად გავარემონტეთ რამდენიმე ბაღი. ჩვენ უარი ვთქვით ფასადურ, კოსმეტიკურ რემონტზე და დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთანავე, მათი ბაღებიდან გაყვანის დღიდან, შევუდგებით რეაბილიტაციას. ორი წლის განმავლობაში 550 000 ლარი გავხარჯეთ ბაღების რეაბილიტაციისათვის. მიმდინარე წელს ამას დამატება 300 000 ლარი. ამ წელს ახალი ბაღის მშენებლობასაც ვგეგმავთ.

- დევნილთა განსახლება თუ იგეგმება?

- რა თქმა უნდა. ჩვენი მიზანი დევნილთა ღირსეულ გარემოში ცხოვრებაა. 2018 წლამდე 2014 დევნილი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით. საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.. 135 ოჯახს გასულ წელს უკვე გადაეცა საცხოვრებელი ბინა. ქალაქ ზუგდიდში 24 თორმეტსართულიან საცხოვრებელ კორპუსზე გვაქვს გაცემული მშენებლობის ნებართვა. აქვე აღვნიშნავ, რომ მერიის ყველა პროგრამა, სერვისები, იქნება ეს ჯანდაცვისა თუ სოციალური მიმართულებით, ერთნაირად ვრცელდება როგორც ადგილობრივ, ასევე დევნილ მოსახლეობაზე.

- მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხომ არ გამოყოფდით?

- რა თქმა უნდა. ქალაქ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღს. ის ხომ ქალაქის სიამაყეა, ყველა ზუგდიდელისთვის განსაკუთრებული ადგილი. ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები უკვე დავასრულეთ. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდს უკვე გადავეცით. უახლოეს ხანში საერთშორისო ტენდერი გამოცხადდება და რეაბილიტაციაც რამდენიმე თვეში დაიწყება. უახლოეს ორ წელიწადში ზუგდიდის უნუკალური ბაღი ყველა ზუგდიდელისთვის სასურველ იერსახეს დაიბრუნებს. სამეცნიერო ცენტრიც აღდგება და სამეცნიერო მუშაობაც განახლდება. სპეციალისტები, მოგეხსენებეათ არიან და ჩვენ მაქსიმალურად მოკლე დროში ვეცდებით მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნას. ჩვენი ძალებით, ბაღის შუაგულში მდებარე ხელოვნური ტბის აღდგენა შევძელით. წლების განმავლობაში დამშრალი იყო ტბა. მთლიანად გამოვცვალეთ მილები, აღვადგინეთ წყლის სისტემა. მოგეხსენებათ, ბოტანიკური ბაღი ჩვენ მოვლა-პატრონობით უფლებით გვაქვს და რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, ქალაქს საკუთრებაში გადაეცემა. ეს დიდი პასუხისმგებლობა და მოტივაციაა ჩვენთვის. მომავალ წელს დასრულდება ნიკოსეული სასახლის მიმდინარე რეაბილიტაცია, რის შემდეგაც ეკატერინეს სასახლის რეაბილიტაციასაც დავიწყებთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო ობიექტი სპორტული კომპლექსია, რომელიც ქალაქის გარეუბანშია. ხალხის მოთხოვნა იყო საცურაო აუზის რეაბილიტაცია. ადმინისტრაციისა და თანამშრომლების ძალისხმევით, შენობა ასე თუ ისე შენარჩუნებულია, თუმცა კომუნიკაციები სრულადაა მოშლილი. ამ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს და უახლოეს ხანში დასრულდება, რის შემდეგაც ყველა რესურსს რეაბილიტაციისკენ მივმართავთ. ჩვენი მიზანია, სტადიონის პარალელურად, აღნიშნული სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციაც დავასრულოთ. ქალაქის ისეთი პერიფერიული უბნების განვითარება და ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა, როგორიცაა ე.წ. კომბინატის დასახლება, სადაც ზემოთაღნიშნული სპორტული ობიექტები მდებარეობს, ჩვენი პრიორიტეტია, რადგან ქალაქის განვითარება სხვაგვარად შეუძლებელია. ამ დროისათვის აღნიშნული უბნის 6 საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს რეაბილიტაცია და ტროტუარების კეთილმოწყობა ერთდროულად მიმდინარეობს. ტროტუარების რეაბილიტაცია უკვე დავასრულეთ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. რეაბილიტაცია სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა. ქალაქის ცენტრში 28 პანდუსი მოეწყო. შესაბამისად შეიქმნა ადაპტირებული გარემო შშმ პირთა და ეტლით მოსარგებლეებისათვის. ტროტუარების რეაბილიტაცია ახლაც გრძელდება, უკვე ცენტრალური გამზირის პარალელურ ქუჩებზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქში არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელსაც, აღნიშნულ ობიექტზე პანდუსის მოწყობის მიზნით, თანხების მოძიებას ვახდენთ. თანხები უკვე მოძიებულია დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული ყინულის სახლის რეაბილიტაციისათვისაც.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საქმეში „ქართუ ჯგუფი“ აქტიურად გვიჭერს მხარს. სწორედ ამ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მომავალი წლიდან რაგბის სტადიონის მშენებლობა დაიწყება. ჩვენ უკვე გადავეცით რაგბის კავშირს 5 ჰექტარამდე მიწა, სადაც რაგბის ორი სტადიონი აშენდება შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს საშვილიშვილო საქმეა და ამ საჩუქრისთვის მადლობას ვუხდი „ქართუ ჯგუფს“.

ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ზუგდიდის მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციას აღვნიშნავ. ვამაყობ ამ პროექტით. 28 წლის განმავლობაში, ნახევრადდანგრეული შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გავარემონტეთ. 80 000 მოსწავლე და ახალგაზრდა დააფრთიანა სასახლემ არსებობის მანძილზე და დღეს ამაყი ვარ, რომ ასობით ბავშვი და მათი პედაგოგი ღირსეულ გარემოში ეზიარება ხელოვნებასა და მეცნიერებას.

ქალაქ ზუგდიდის მერია ნოვატორიც აღმოჩნდა- ქალაქი ზუგდიდი ერთ-ერთი პირველი გადავიდა ეკონომიურ ლედ სანათებზე. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, თანადაფინანსებით განხორციელდა. ქალაქის ქუჩების ნაწილი, 80 ქუჩა, უკვე განათებულია ამ ტიპის სანათებით, რითაც მნიშვნელოვნად, 50-დან 70 პროცენტამდე ეკონომიას იძლევა. იზოგება ელექტროენერგიის ხარჯები. გპირდებით, რომ 2017 წლის დასრულებამდე ქალაქში ყველა ქუჩას გავანათებთ.

- ბიზნესგარემოზე რას იტყვით? რამდენად მიმზიდველი გარემოა მათთვის თქვენს ქალაქში?

ჩვენი ძალისხმევა იმისკენაა მიმართული, რომ ბიზნესისთვის შესაბამისი გარემო შევქმნათ. სწორედ ეს სექტორი ქმნის სამუშაო ადგილებს. ყველანაირად ვცდილობთ, რომ მათთვის მიმზიდველი გავხადოთ ჩვენი ქალაქი. მსოფლიო ბრენდები უკვე გამოხატავენ დაინტერესებას. მეტიც, McDonald's- ის შემოსვლის შემდეგ, მშენებლობის ნებართვის თხოვნით შემოვიდა სს „ვენჯორჯია“, სადაც Wendy's-ის, Dunkin' Donutს-ისა და „სმარტი“-ს ობიექტები განთავსდება. დავით აღმაშენებლის გამზირზე კერძო ინვესტორი მაღალი კლასის სასტუმროს აშენებს. წლების განმავლობაში ქალაქის ცენტრში მდებარე ყოფილი სასტუმრო „ოდიშის“ შენობასაც ინვესტორი გამოუჩნდა. წლის ბოლომდე გარე ფასადის რეაბილიტაცია დასრულდება და ქალაქის ეს ნაწილი რეაბილიტირებულ იერსახეს დაიბრუნებს.

ქალაქის ცენტრში ამ მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა და მუშაობა მიმდინარეობს და გარწმუნებთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ბიზნესსექტორს არანაირი ბარიერი არ ექმნება. ჩვენი ვალდებულებაა ბიზნესის ხელშეწყობა სამუშაო ადგილების წარმოქმნის მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება კი ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ადგილობრივი კადრებია დასაქმებული სტადიონის მშენებლობაზე, ტროტუარების რეაბილიტაციაზეც, სასტუმროს მშენებლობაზეც, სასმელი წყლის რეაბილიტაციის პროექტშიც. მაგალითისთვის, მხოლოდ წყლის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოებზე 150 ადგილობრივი კადრი დაასაქმა აზერბაიჯანულმა კომპანიამ. საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციაზეც ადგილობრივები დასაქმდებიან.

- გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს აქტიურად.

- ეს ყვავილები პირველი მერცხლებია. ათასობით ყვავილი დავრგეთ. დეკორატიულად გავაფორმეთ. მოსახლეობა კმაყოფილია. ქალაქის სტუმრები, ტურისტებიც აღნიშნავენ, რომ ქალაქი სისუფთავითაც გამოირჩევა. გამწვანების სამუშაოები გაგრძელდება და უფრო გალამაზდება ქალაქი. მთავარია, გავუფრთხილდეთ ქალაქს. შენობების ფასადების შეცვლის მიმართულებითაც აქტიურად შეიცვლება.

ტურისტული კუთხითაც საინტერესოა ზუგდიდი. ჩვენს ქალაქში დაბრძანებული ღვთიშობლის შესამოსელი რელიგიური ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. 15 ივლისს ვლაქერნობაზე მომლოცველთა მრავალრიცხოვნებაც ამის დასტურია. მთელი წლის განმავლობაში საინტერესოა ამ კუთხით ზუგდიდი. ტრადიციულად, ბევრი ტურისტი, მომლოცველი მოდის ამ დღეს ჩვენს ქალაქში ღვთისშობლის სამოსელის მოსალოცად. ამიტომაც, აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურული განვითრებაც. ამ მიმართულებითაც აქტიურად ვმშაობთ ინვესტორებთან.

საერთო ჯამში, ორი წლის განმავლობაში, დაახლოებით 25 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები განვახორციელეთ. ჩვენ ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარება-მშენებლობის მიმართულებით 2020 წლამდე განსახორციელებელი პროექტებიც გვაქვს დამუშავებული. დარწმუნებული ვარ, რომ მე და ჩემი გუნდი ყველა პრობლემას გადავლახავთ, ყველა სირთულეს გავუძლებთ და დაწყებულ საქმეებს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. ჩვენ არ გავუშვებთ ქალაქის განვითარების შანსს ხელიდან. როცა ქვეყანა მოქალაქეების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, ხალხის სამსახურში ყოფნა დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი პატივიცაა.

- გმადლობთ.

ირინე ღარჩია
568 97 61 60

ვახტანგ ხარჩილავა:

მარადიული ეჭვმიტანილი

(დასასრული. დასაწყისი. იხ.„სგ“ N25)

თვითონ სახელწოდება ამ დოკუმენტისა – „მეგრელთა საქმე“ – პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ მეგრელები ქართველები არ არისნ და ტომობრივ-ეთნიკური ნიშნით შეკრულნი ავიწროებენ და ჩაგრავენ დანარჩენ ქართველებს.

არ გეგონოთ, რომ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შეკოწიწებული „მეგრელთა საქმე“ იქ დამთავრდა და სამუდამოდ შემოიდო ისტორიის ტაროზე, როგორც სამარცხვინო ანტიქართული დოკუმენტი. არა, „მეგრელთა საქმე“ არაერთხელ წამოტივტივებულა იმის შემდეგაც სხვადასხვა ვარიაციებით, სხვადასხვა ფორმით.

მეგრელი დღესაც იმ მარადიულ ეჭვმიტანილად რჩება, დუშმანის სიტყვას საქმედ რომ უპირებს, თურმე, ქცევას და ისეა გათავხედებული, თავისი „მიჯღარკ-მოჯღარკული“ ენით რუსთველსაც კი ეპოტინება.

მართლაც, საკვირველია – მეგრული და სვანური, ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოს ეს ორი უმშვენიერესი ძეგლი, ეს ორი ყველა სიმდიდრეზე დიდი სიმდიდრე, ეს მარგალიტების სალარო, გადავმალეთ, ზედ ფალასფულასი დავაყარეთ და ზემოდან დავსჭყივლეთ:

– ჩუმად ეგდეთ მაგ თქვენს ხაროში, თქვენ ხმის ამოღების უფლება არა გაქვთო!

საქართველოში ოფიციალურად არც მეგრული ენა არსებობს, არც სვანური, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებობენ ამ ენებზე მოსაუბრე სვანები და მეგრელები, რომლებსაც არასოდეს, ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე არ უთქვამთ, რომ მათ სახელმწიფოს, საქართველოს სახელმწიფო ენას, ქართულ ენას ან სვანური უნდა ჩაენაცვლოს, ან – მეგრული.

მათთვის ურყევი, ერთადერთი ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა ქართული ენაა.

ამიტომაც მიდის პატარა გალელი ბიჭი გალიდან წალენჯიხაში, რომ ქართულ ენაზე ისწავლოს.

მართალია, სიკვდილის წინ ოთარ ბიძიამ, გვარად ტურანბამ, გზები გადაუთხარა, მაგრამ ის მაინც იხტიბარს არ იტეხს – შემოვლითი გზა ვიციო, – ირწმუნება.

ეს პატარა ქართველი შემოვლითი გზით მაინც ჩავა საქართველოში. თვითონ ჩავა, რადგან საქართველო მასთან მისვლას ვერ ახერხებს.

* * *

აფხაზეთში აფხაზებსა და ქართულ მოსახლეობას შორის საკონტაქტო ენა ძირითადად მეგრული იყო, როგორც უმრავლესობის ენა. თითქმის ყველა აფხაზმა შესანიშნავად იცოდა მეგრული ენა, არ იცოდა ქართული, მაგრამ იცოდა მეგრული!

აი, ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქართულმა სახელმწიფომ ვერაფერში გამოიყენა, რადგან თვით ამ ქართულმა სახელმწიფომ „არ იცოდა“ მეგრული ენა, არ იცოდა და არ ესმოდა მისი მნიშვნელობა, მისი მისია.

ქართული სახელმწიფო ვერ მიხვდა, რომ სწორედ სამეგრელო და მეგრული ენა იყო მისი შემაკავშირებელი ხიდი, რომლითაც უნდა გადმოევლო აფხაზს საქართველოსკენ, ანუ თავისი ისტორიული სამშობლოსკენ.

ქართული სახელმწიფო ვერ მიხვდა, რომ სწორედ მეგრული ენა იყო ის გამაერთიანებელი საძირკველი, ის ნერგი, რომელზეც იდგა აფხაზური და მეგრული სამყარო, ხოლო ამ სამყაროს ცენტრი სამეგრელო გახლდათ, სამეგრელო – თავისთავად ქართული და იმავდროულად – აფხაზურიც, ერთთანაც და მეორესთანაც სისხლით, ხორცით, ნათესაობით, მორდუობით, ჟუჟუმტეობით დაკავშირებული.

აი, ეს იცოდა იმ მერხეულელმა ლავრენტი ბერიამ და ამიტომაც იყო წინააღმდეგი სამეგრელოში ოდითგანვე ჭარბად არსებული ეროვნული ენერგიის ავტონომიის ფარგლებში ჩაკეტვისა!

ამ ენერგიას აუცილებლად უნდა ედინა ქართულ სივრცეში სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებული სიმძლავრით უნდა ედინა აფხაზურ კალაპოტში – ეს ენერგია იყო აფხაზეთში საქართველოს დესპანი, მისი ფორპოსტი და ციხესიმაგრე!

მაგრამ თვით ისეთი გონებაალესილი და შორსმჭვრეტელი კაციც კი, როგორიც იყო ბერია, ვერასოდეს წარმოიდგენდა იმას, რაც აფხაზეთში მოხდა მოგვიანებით, მისი სიკვდილიდან სულ რამდენიმე წელიწადში.

ყველაფერი ქართველთმოძულე ხრუშჩოვიდან დაიწყო, რომელმაც სტალინისა და ბერიას ჯავრი ქართველ ხალხზე და საქართველოზე იყარა.

ხრუშჩოვიდან მოყოლებული, ელცინით დამთავრებული, აფხაზეთში ქართველთა შევიწროება, დამცირება, იგნორირება არ შეწყვეტილა. საბჭოთა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა კი, იმის ნაცვლად, რომ ქართველებს გამოსარჩლებოდა, მოსკოვის მითითებებსა და დავალებებს პირნათლად ასრულებდა და ზედ საკუთარი ინიციატივით ახალ-ახალ ღონისძიებებს უმატებდა მადაზე მოსული სეპარატისტების გულის მოსაგებად.

ასე, მაგალითად, ქართული მხარის წამოწყება იყო მსოფლიო ლიტერატურის ოცდაათტომეულის გამოცემა აფხაზურ ენაზე, მუშაობა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა – საბჭოთა კავშირის დაშლამ შეუშალა ხელი.

მოკლედ რომ ვთქვათ, აფხაზები საქართველომ მოამზადა სუვერენიტე-

ტისა და დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, მოამზადა მორალურად, სულიერად, შეუქმნა კულტურული, მატერიალური ბაზა და ეს ყველაფერი გაკეტდა ადგილობრივი ქართველობის ანუ მეგრელების დათრგუნვის, მათი ინტერესებიოს უგულებელყოფის ხარჯზე, რაც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიღებდა საბედისწერო ნაყოფს.

– მეგრელები არიან ორგულები, თორემ თქვენ რა კარგები და საყვარლები ყოფილხართ! – ეფუჩუნებოდნენ თბილისიდან

წარგზავნილი პარტუფროსები აფხაზებს და მათთან საიდუმლო ძმობით და ფიცვერცხლით შეკრულნი, ერთად ურტყამდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ „ორგულ“ მეგრელებს.

ამ ტენდენციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო შევარდნაძის პირველკაცობის დროს, რომელიც, ბერიასგან განსხვავებით, სახელმწიფოს კი არა, ხალხთა მეგობრობის ღია მუზეუმს აშენებდა საქართველოს

ტერიტორიაზე და რომელსაც, როგორც ამბობენ, დიდად არ უყვარდა მეგრელები.

– არ უყვარდა კი არა, მთელი არსებით სძულდაო, – ამტკიცებენ ზოგიერთები და ამის დასტურად იმ სადამსჯელო ოპერაციებს ასახელებენ, რომლებიც წარმოუდგენელი სისასტიკით განხორციელდა ქართული სახელმწიფოს ღირსებას გამოსარჩლებულ სამეგრელოში.

აფხაზებმა გულიას და ლაკობას გვერდით შევარდნაძეს უნდა დაუდგან ძეგლი – ის არის მათი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მიზეზთა მიზეზი და მთავარი შემოქმედი.

ბერიამ, როგორც ვთქვით, ბევრი რამ ზუსტად გათვალა, მაგრამ, ვერ გათვალა ერთი რამ, – შევარდნაძის მოვლინება პოლიტიკაში და ამ კაცის თვალთმაქცური ბუნების მასშტაბები.

საქართველო ერთი კაცის, შევარდნაძის კარიერას შეეწირა...

* * *

ზოგჯერ მგონია, რომ ქართველთა ერთი ნაწილის გონებას ამ გონების შიგნით შეპარული მტერი მართავს და მართავს ისე მარიფათიანად და შნოიანად, ქართველს ჰგონია, თავისი ჭკუით ცხოვრობს, თავის ნებაზე იღებს გადაწყვეტილებებს, მისთვისა და მისი სახელმწიფოს სასარგებლოდ, იმას კი ვერ ხვდება, რომ, მტრის ფარულ მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება, მის წისქვილზე ასხამს წყალს.

ამ მზაკვარმა მტერმა დიდი ხანია დაარწმუნა ქართველთა ერთი ნაწილი, თუ მეგრულსა და სვანურს გააძევებს და ამოძირკვავს ქართული ცნობიერებიდან, მეგრელსა და სვანს ბოლომდე „გააქართველებს“ და მეგრულსა და სვანურს დაავიწყებს, ამით საქართველოს ძლიერებას და ერთიანობას განამტკიცებს.

აი, ასე, პრიმიტიულად მოაზროვნე ქართველი ითვლება დღეს დიდ პატრიოტად, ხოლო ის, ვინც ამტკიცებს, რომ საქართველო მრავალფეროვნებათა ერთიანობაა, მრავალ სიმთა საერთო პოლიფონიაა, სეპარატისტად ინათლება!

ასეთი „პატრიოტების“ შეფასებით, მე, მაგალითად, სეპარატისტი ვარ, თანაც პირწავარდნილი.

ასეთი „პატრიოტი“ ქართველების არშინით თუ გავზომავთ, სეპარატისტებად შეიძლება მოინათლონ: აკაკი წერეთელი, ნიკო ბერძენიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, სხვანი და სხვანი.

ხანდახან ვფიქრობ, ამ ფსევდოპატრიოტებმა თუ იმარჯვეს და თავისი გაიტანეს, როგორი მოსაწყენი, ერთფეროვანი და უინტერესო იქნება ის საქართველო, რომელსაც ესენი ააშენებენ – საქართველო მეგრელების, კახელების, იმერლების, სვანების, რაჭველების, ფშავ-ხევსურების და სხვა კუთხის შვილთა გარეშე, ერთ ტონალობაში ამეტყველებული, ერთ თარგზე მოჭრილი.

ასეთი საქართველო აქ დაბადებულ იმ არაქართული ეროვნების კაცს აძლევს ხელს, რომელსაც საქართველო თავისთვის აქვს შეგულებული, მაგრამ მის დაპატრონებაში ის ქართველები უშლიან ხელს, რომლებსაც ქართულ ნიადაგში აქვთ ჩაყრილი საუკუნოვანი ფესვები თავისი კახელობით და მეგრელობით, სვანობით თუ რაჭველობით, გურულობით თუ აჭარლობით.

უფესვო, „უზისხირე“ ქართველი სჭირდება საქართველოს წაპოტინებულ იმ არაქართველს, რადგან უფესვოს ადვილად გადმოხრის თავისკენ.

ასეთი საქართველო დიდხანს ვერ გაძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს, ისე, როგორც ვერ იცოცხლებს მდინარე წყაროების და შენაკადების გარეშე.

სწორედ ეს უნდა იმ ჭკვიან

მტერს, ჩვენს გონებაში რომ შემოპარულა და იქიდან რომ გვმართავს და გვატარებს თავის ჭკუაზე.

* * *

საქართველო იმ საზღვრებში და იმ იურისდიქციურ სივრცეში, რომელშიც ჩვენ ის გვსურს ვიხილოთ, სამეგრელოს აქტიურობის, მისი ენერგიის ეფექტურად გამოყენების და ამ ენერგიის სწორი მიმართულებით წარმართვის გარეშე, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ აღდგება, უფრო ზუსტად, შეიძლება საერთოდ ვერ აღდგეს და ხელთ შეგვრჩეს საქართველოს შემოკლებული ვარიანტი აფხაზეთის გარეშე.

სამეგრელოზე რომ ვაკეთებ აქცენტს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს დანარჩენი კუთხეების ფასი და მნიშვნელობა არ ვიცოდე ან მათ როლსა და ფუნქციას ვაკნინებდე.

არა, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მოცემულ ისტორიულ მომენტში, მოცემულ გარემოებასა და ვითარებაში, სამეგრელო აღმოჩნდა საქართველოს-

თვის ბრძოლის წინა ხაზზე და მთელი სიმძიმე ამ ომისა მას დააწვა მხრებზე.

ამ ფრონტის ხაზმა ირად გაჰკვეთა სამეგრელო და აფხაზეთის სახით მას სხეულის მეორე ნახევარი ჩამოაშორა.

საქართველოს ხელისუფლებამ, თუ მას სერიოზულად სურს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა, ძირფესვიანად უნდა შეცვალოს თავისი პოლიტიკა, შეცვალოს აქცენტები და მიმართულებები და, რაც უპირველესია, უნდა დაუბრუნდეს იმ საყრდენს, რომლის გარეშეც მის მოქმედებეს ძალა და არგუმენტი არ ექნება.

* * *

საოცრად მოქნილი ზმნა აქვს მეგრულს – ერთ სიტყვაში ერთდროულად იტევს რამდენიმე ქვეტექსტს.

– ქვეკვოდინითი თე საქორთუოს! – იტყვის ხოლმე რალაცაზე განაწყენებული და გულშეჭირვებული მეგრელი.

ამ „ქეკვოდინითის“ თარგმნა ერთი სიტყვით ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი. „ქეკვოდინითი“ იმას ნიშნავს, როცა ვილაცას კვალში უდგეხარ, ვილაცას მისდევ და ამ დევნაში შენ თვითონ დაიკარგები და არა მარტო დაიკარგები, დაილუპები.

„ქეკვოდინითი თე საქორთუოს“, ალბათ, ასე ითარგმნება: ჩვენ თვითონ დავიკარგეთ და დავიღუპეთ საქართველოს დევნაში.

ქვეტექსტი ამ უცნაური ზმნისა იმასაც ხსნის, თუ რატომ დაიკარგა კვალში ჩამდგარი – დაიკარგა იმიტომ, რომ ვისაც მისდევდა, ის დაეკარგა და ამიტომ დაიკარგა თვითონაც.

მინაწერი:

თითქმის ათი წელი გავიდა ამ წერილის გამოქვეყნებიდან, მაგრამ არსი იმ პრობლემებისა, რომლებზეც წერილშია საუბარი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა.

საამეგრელო დღესაც ეჭვმიტანილია, ოღონდ ახლა „ნაცმოძრაობის“ ერთგულებაშია ეჭვმიტანილი, ეს კი, მოცემულ სიტუაციაში, დაახლოებით იგივეა, რაც სახელმწიფო ინტერესების ღალატი.

საიდან მოდის და ვინ ავრცელებს ამ ეჭვს, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან შორს დგას რეალობისგან, რა ფარული პროცესები მიმდინარეობს სამეგრელოში, რა სახიფათო ინტრიგები იხლართება ქართული პოლიტიკური თეატრის კულისებში — ამ და სხვა საკითხებზე „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ.

მოსამართლეებს არასოდეს აკლდათ კვალიფიკაცია, მათ აკლდათ თავისუფლება...

მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთს“ ცნობილი უფლებადამცველი, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა.

გელა ნიკოლაიშვილი: „სულ რამდენიმე დღის წინ დაინიშნა 44 მოსამართლე, ოფიციალური განცხადებით, აქედან სულ ცხრა არის ახალი მოსამართლე, დანარჩენთაგან ნაწილი მოქმედი მოსამართლეა, ნაწილი კი ის კონტიგენტია, რომლებიც ადრე მუშაობდნენ ამ თანამდებობაზე და მერე გაშვებული იყნენ სამსახურიდან. ამ ციფრებზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ თითოეულ მოსამართლეს ასი და მეტი საქმე აქვს წარმოებაში, ასეთ პირობებში კი თითქმის შეუძლებელია ობიექტური და კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება, ვერცერთი თუნდაც ძალიან წესიერი და მონდომებული მოსამართლე ვერ გაექცევა საქმის ზერელედ განხილვას, რადგან ჩაღრმავების საშუალება, ფაქტობრივად არ აქვს. ზოგადად მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით კი შემიძლია ვთქვა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა პროცედურების წარმართვის, გადაწყვეტილების მიღების, მტკიცებულებების სანდოობისა და გარკვეული კრიტერიუმების ამაღლების თვალსაზრისით. ნაციონალების მმართველობის პერიოდში, სასამართლო ფაქტობრივად არ არსებობდა, პროკურატურის დანამატი იყო და პროკურატურის მიერ წარდგენილ ფარატინა ფურცლებზრც კი ამბობდა, უტყუარი მტკიცებულებააო. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს, ასიდან თითქმის ასივე საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დგებოდა, რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიებას, ბრალდებულს, როგორც წესი, მხოლოდ წინასწარ პატიმრობას უფარდებდნენ, გირაოს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებდნენ, თუ ამას თვითონ პროკურატურა ითხოვდა. ვითარება ამ კუთხითაც შეცვლილია, მოსამართლე ერთი ხელის მოსმით ყველას არ უშვებს ციხეში, სადღაც 50%-ის ფარგლებში გირაოთი გათავისუფლება ხდება, მოსამართლე ცდილობს, რომ თუ რაიმე შანსი არსებობს, ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში არ დატოვოს. გარდა ამისა, სასამართლოები ფაქტობრივად გაიხსნა, ადრე თუ სასამართლო სხდომაზე ლამის პასტით ჩაწერასაც კრძალავდნენ, აუდიო და ვიდეოგადაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ახლა ამიტომაც არის უფრო მეტი საუბარი საუბარი სასამართლოს ხარვეზებზე, მაშინ ადვოკატის მეტმა არავინ იცოდა იქ რა ხდებოდა. რიგი ადვოკატები ყოველთვის საჯაროდ ვამბობდით რაც ხდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც მხარე ვართ, მიკერძოებულად ვითვლებით და ამით ამართლებდნენ შექმნილ ვითარებას, აბა, ადვოკატი სხვას რას იტყვის, თავის დაცვის ქვეშ მყოფს იცავსო. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მოსამართლეებს სააკაშვილის მმართველობის დროსაც არ აკლდათ კვალიფიკაცია, მათ თავისუფლება აკლდათ, კანონით შეზღუდულ თავისუფლებას, კულისებიდან შეზღუდვაც ემატებოდა. მათ მართალია სასათბურე პირობები შეუქმნეს, მაგრამ ოქროს გალიაში ჩასვეს, ის გადაწყვეტილება უნდა მიიღო, რასაც პროკურორი მოითხოვსო. დღეს ასე აღარ არის, იგივე მოსამართლეები, რომლებიც სააკაშვილის დროს მონებივით ყველაფერს ასრულებდნენ, დღეს ძალიან ხშირ შემთხვევაში კანონის მიხედვით მოქმედებენ, თუმცა ყველა არა. მიუხედავად ამისა, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მათ ავტომატურად უნდა ჩამოეწეროთ ის „ცოდვები“, რაც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდათ.

- ბატონო გელა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნაც ძალიან გაჭიანურდა. ეს არ იმოქმედებს სასამართლო სისტემის გამართულ მუშაობაზე? ადვოკატების განცხადებით, მოსამართლეები სხვა ინსტანციებშიც არ ყოფნით, ხალხი თვეობით ელოდება საქმის განხილვას, განსაკუთრებით სამოქალაქო საქმის კუთხით. ხელისუფლებამ არ უნდა იზრუნოს მოსამართლეთა კონტიგენტის გაზრდაზე, რომელსაც სააკაშვილმა თავის დროზე „სეკვესტრი“ მოუწყო?

მართმსაჯულებისთვის კიდევ ერთი დიდი პრობლემა პოლიტიკური კინკლაობაა, პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ წარდგენილი სამივე კანდიდატურა, პარლამენტმა ჩააგდო. ნონა თოდუას, თამარ ლალიაშვილსა და ანა დოლიძეს პირადად ვიცნობ, არცერთია ჩემი მეგობარი, მაგრამ მათ კვალიფიციურობაში ეჭვი არ მეპარება, კოლეგები ვართ, ხშირად მქონია საქმიანი შეხვედრა, ვიცნობ მათ ნაშრომებსა და მოღვაწეობას, სამივე მათგანი მართლა ძალიან კარგი კანდიდატურა იყო. მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გაჭიანურებას ის შედეგი მოყვა, რომ უზენაეს სასამართლოში მხოლოდ სამი მოსამართლეა დარჩენილი, მხოლოდ ერთი პალატა – ნინო გვენეტაძე, სილაგაძე და შავლიაშვილი, ჩათვალეთ, რომ მხოლოდ ერთი მოსამართლეა, რადგან თითოეულ საქმეს სამი მოსამართლე განიხილავს. ერთი პალატა უნდა აუვიდეს ამ სასამართლოში შესულ ზღვა საქმეებს, ათასობით საქმეა. ხსენებული კანდიდატურები ალბათ იმიტომ არ დაამტკიცეს, რომ პრეზიდენმა წარადგინა, რომელთანაც დაპირისპირებულია მმართველი პარტია. როდის რომელი მხარეა მართალი, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, ფაქტია ამ კინკლაობას გადააყოლეს სასამართლოს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ინტერესი. რას ჰქვია შენი და ჩემი მოსამართლე, ის არავისი, დამოუკიდებელი უნდა იყოს. ნინო გვენეტაძე ცუდი კანდიდატურაა? თამარ ლალიაშვილი ერთ-ერთი „მეამბოხე“ მოსამართლე იყო, ვერ დაიმონეს ნაციონალებმა, ხოლო ნონა თოდუა უნივერსიტეტის პროფესორია, მაღალკვალიფიციური იურისტი, მისი დაწერილი კომენტარებით სარგებლობენ სხვა მოსამართლეები. მას წიგნები აქვს გამოცემული თითოეულ კანონზე, თუ როგორ უნდა გატარდეს ცხოვრებაში ესა თუ ის კანონი, რა სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ. რა პრეტენზია შეიძლება ჰქონოდათ ამ კანდიდატურებთან? ანა დოლიძე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიყვანეს, ხოლო დანარჩენი ორი, პრეზიდენტს ხელახლა შეუძლია წარადგინოს, მაგრამ ეს სექტემბრამდე ვერ მოხდება, მაშინაც როგორ გადაწყდება ეს საკითხი, ღმერთმა იცის. ექვსი თვეა უზენაესი სასამართლო სამი მოსამართლის ანაბარაა დარჩენილი, რადგან დანარჩენებს ვადა ამოეწურათ. რაც შეეხება თქვენს მეორე კითხვას, მოსამართლეები მართლაც არ ყოფნის, ეს განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში იგრძნობა, რადგან იქ უფრო მეტი საქმეებია წარმოებაში, თითო მოსამართლეს 200-300 და უფრო მეტი საქმე აქვს განსახილველი. სისხლის სამართლის კუთხით, შედარებით დარეგულირდა. კონტიგენტი უნდა გაიზარდოს, მაგრამ რა გაფართოებაზეა საუბარი, როცა, რაც არსებობს, ისიც ვერ აუთვისებიათ. პირველ რიგში, დროზე უნდა დანიშნონ ახალი მოსამართლეები.

- თქვენ უამრავი გახმაურებული საქმის ფიგურანტის ინტერესებს იცავდით, მათ შორის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებიც იყვნენ. სამართლიანობის აღდგენის ეგიდით, თუ დაიწყო მათი საქმეების გადასინჯვა და დადგა ობიექტური განაჩენი?

- თავის დროზე ე.წ. ენვერის საქმის მონაწილეების, ბათუმელი მფრინავების ინტერესებს ვიცავდი. სხვათა შორის, ამ საქმის პროკურორი ფხაკაძე ახლა დაწინაურეს და ბათუმიდან თბილისში, მთავარ პროკურატურაში გადმოიყვანეს. რა პრინციპით ხდება ამ ხალხის დაწინაურება, რაიმე კონკრეტულის თქმა ძალიან მიჭირს, როგორც ჩანს ისევ მოქმედებს ნაცნობობა-ნათესაობის ფაქტორი, ეს კარგი ბიჭია, იმათ თუ ემსახურებოდა, ჩვენც მოგვემსახურეაბაო. ახლა რაც შეეხება თავად საქმეს, 2008 წლის ომის შემდეგ, დაახლოებით 12 მფრინავი დააკავეს, ხუთი მათგანის ინტერესებს მე ვიცავდი. ეს ის ხალხია, რომლებიც ომშიც მონაწილეობდნენ და იყო დრო, მიხეილ სააკაშვილსაც ემსახურებოდნენ. მთელი ესკადრილია ფაქტობრივად გაანადგურეს, 14 მფრინავიდან 5-6 კაცი დაიჭირეს, დანარჩენები სამსახურიდან დაითხოვეს და საქართველოს პრაქტიკულად სამხედრო მფრინავი აღარ დარჩა. ეს მფრინავები რახან ასლან აბაშიძის დროს მოამზადა რუსმა სამხედრო პოლკოვნიკმა, რომელიც სპეციალურად ჰყავდა აბაშიძეს ჩამოყვანილი, ჩათვალეს, რომ აბაშიძის და რუსეთის მომხრეები იყვნენ. რუსული წარმოების თვითმფრინავებით უნდა ეფრინათ და ცხადია, რუს ოფიცერს უნდა მოემზადებინა. ეს მფრინავები თავისი საქმის სპეციალისტები, პროფესიონალები იყვნენ, მათ არანაირი შეხება არ ჰქონდათ პოლიტიკასთან. „მტკიცებულების“ სახით ყველას ფლეშკები ჩაუდეს, სადაც თითქოს საიდუმლო ინფორმაციები იყო ჩაწერილი, რომელიც რუსული მხარისთვის უნდა გადაეცათ. თავიდან მხოლოდ გელა მესხიძეს ვიცავდი, რომელსაც მისი საცხოვრებელი სახლის ბუხარზე დაუდეს ეს ფლეშკა. მესხიძე მეუღლესთან, ორ მცირეწლოვან შვილთან და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობდა. მესხიძის დაკავების შემდეგ, პოლიცია მისი ბინის გასაჩხრეკად რომ მივიდა და „მტკიცებულება ამოიღო“, მეუღლეს კითხეს ეს რა არისო, ამ ქალბატონს არც კომპიუტერი ჰქონდა ნანახი და არც ფლეშკა, ბავშვის სათამაშოს არ ჰგავს, ვერ გეტყვით რა

არისო. ე.ი. შენი მეუღლის იქნებაო. ამ ქალბატონის პასუხი, არ ვიცი, შეიძლებაო, მტკიცებულებითი სახით გააფორმეს, ნამდვილად მეუღლისაა. მოკლედ, რუსებისთვის „გადასაცემად გამზადებული“ ფლეშკები ზოგს სახლში „აღმოუჩინეს“, ზოგს სამსახურში, ზოგსაც ავტომანქანაში ან ჯიბეში. მართლაც ასე რომ ყოფილიყო, მფრინავებისთვის წაყენებული ბრალი, კრიმინალი მაშინ იქნებოდა, საიდუმლო ინფორმაცია გადაცემული რომ ჰქონოდათ. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის არავითარი მტკიცებულება არ არსებობდა, ეს ხალხი მაინც გაასამართლეს და მკაცრი სასჯელები გამოუტანეს. 2013 წლის იანვარში ყველა მათგანი პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს. ახლახანს სს-ის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც პოლიტპატიმრის სტატუსი ახლად გამოვლენილ გარემოებად ითვლება. ყველა პოლიტპატიმარს

შეუძლია სააპელაციო სასამართლოს მიმართოს, რომელიც ვალდებულია ხელახალი გადასინჯვის მიზნით, დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის გამოძიება დაიწყოს. პოლიტპატიმრის სტატუსი მიენიჭა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკ პავლე ბლიაძესაც. ეს ადამიანი რუსეთის მოქალაქეა, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში მსახურობდა, მაგრამ თბილისელია, თავისი ოჯახით გლდანის დასახლებაში ცხოვრობდა. მასაც აგვისტოს ომის შემდეგ ავტომანქანაში ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს და დაიჭირეს, ისიც 20013 წელს გაათავისუფლეს, მასაც შეუძლია განაჩენის გადასინჯვა მოითხოვოს. იგორ გიორგაძის მომხრეების ინტერესებსაც ვიცავდი, რომლებიც ყალბი მოწმეების ჩვენების საფუძველზე გამოკეტეს გისოსებს მიღმა. მათ პოლიტპატიმრის სტატუსი მხოლოდ იმიტომ არ მიენიჭათ, რომ იმ პერიოდში უკვე ციხიდან გათავისუფლებულები იყვნენ, რადგან პოლიტპატიმართა სიაში არ არიან, ხსენებული ცვლილების საფუძველზე, განაჩენის გადასინჯვას ვერ მოითხოვენ. სხვათა შორის, მათ ევროსასამართლოში პროცესი მოიგეს, სახელმწიფომ თითოეულს კომპენსაციის სახით, 2500 ევრო უნდა გადაუხადოს, რადგან აღიარა, რომ ეს ადამიანები უკანონოდ დააკავეს.

გია გვიჩიანი პოლიტპატიმრებთან კავშირში არ არის, მაგრამ მის საქმესთან დაკავშირებითაც გამოვლინდა ბევრი ახალი გარემოება. მოგეხსენებათ მათ „თელასის“ მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ბრალდებით, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ნაციონალებმა. პროკურატურამ თავიდან გამოიძია ეს საქმე, ექვსი ახალი ტომია, სადაც უკვე დადგენილია, როგორ ხდებოდა გვიჩიანის მიმართ საქმის „შეკერვა“, ამას თვითონ მოწმეები, მათ შორის ადვოკატები აღიარებენ, რაც ძალიან მალე ცნობილი გახდება. ამ თვის ბოლოს შევიტანთ სარჩელს სასამართლოში, პროკურატურაც მიმართავს, იგი ბევრ საკითხში უკვე გარკვეულია და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს დღეებში გია გვიჩიანი და ნიკა ჩემია გამამართლებელი განაჩენით გათავისუფლდებიან. ყველა დარწმუნდება, რომ ეს ადამიანები თითქმის 11 წელი უკანონოდ იხდიდნენ სასჯელს. მე ვერ ვიტყვი, რომ პროკურატურა ძველ საქმეებზე არ მუშაობს, მუშაობს, მაგრამ ძალიან ნელა, რადგან ათასობით საქმეა და არც ამ უწყებას ყოფნის თანამშრომლები, ათასობით საქმეს ათეულობით პროკურორი და გამომძიებელი მოკლე ხანში ვერ გამოიძიებს, ათობით საქმეც რომ მიიყვანონ ბოლომდე, ესეც ბევრს ნიშნავს. ყველა პროკურორთან არ გვაქვს შეხება, მაგრამ ვისთანაც გვაქვს კონტაქტი, მათი ძირითადი ნაწილი საკმაოდ კვალიფიციური და მომზადებულია. რაც შეეხება ახლადშექმნილ საგამოძიებო დეპარტამენტს, მთავარია, იქ ისეთი ხალხი მუშაობს, რომლებსაც ძველ საქმეებზე არ უმუშავიათ, არ ამძიმებთ ძველი ცოდვები, რაც იმედს იძლევა, რომ ვიღაცას ხელს არ დააფარებენ. სხვათა შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობამ, მოსამართლეთა მიერ მიღებულმა დამოუკიდებელმა გადაწყვეტილებებმა დადებითი ბიძგი მისცა პროკურატურას, რომ ფორმალურად კი არა, რეალურად გამოიძიონ საქმეები. იმ ცხრა წლის მანძილზე, სასამართლოს მიერ ლამის ცარიელი ფურცლების დაკანონებამ, ძალაუნებურად პროკურატურის დეკვალიფიკაცია გამოიწვია, რახან არ ჭირდებოდათ, ზედმეტი მტკიცებულების მოსაძიებლად თავს აღარ იწუხებდნენ. პროკურორ-გამომძიებლები ახლა იძულებული არიან სერიოზულად იმუშაონ, რადგან სასამართლო უკან გადმოუყრის დაუსაბუთებელ ბრალდებებს. ხშირად იმიტომაც დგებოდა გამამართლებელი განაჩენები, რომ ბრალდების მხარეს არასაკმარისი მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ომის საწინააღმდეგო მიტინგი ნიუ-იორკში: „ნატო – საფრთხე მშიდობისთვის!“

იმედი ჯერ კიდევ არის. გონიერი ადამიანები, რომლებსაც განამადგურებელი ომი არ სურთ და მშვიდობით ცხოვრება უნდათ, არსებობენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში აშშ-ისა და ჩრდილო ამერიკული ალიანსის აგრესიული პოლიტიკის საწინააღმდეგო ანტისაომარი მიტინგი ჩატარდა. ასეთი მიტინგები აშშ-ში ხშირად იმართება, ეს შეკრება კი ნატოს ვარშავის სამიტს მიეძღვნა.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რომ რთულ დროში ვცხოვრობთ, ერთი პატარა ნაბიჯი და ბირთვული ომი გაჩაღდება. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ და უმოქმედოდ არ სხედან. ევროპასა და აშშ-ში გამართული ანტისაომარი მიტინგების მონაწილეები მშვიდობისა და მომავლის იმედისკენ მოგვიწოდებენ.

ნიუ-იორკში გამართულ მიტინგზე ამერიკის ოცდაათზე მეტი ანტისაომარი და უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, მათ შორის გაერთიანებული ნაციონალური ანტისაომარი კოალიციის აქტივისტები, მოქმედებათა საერთაშორისო ცენტრის, აშშ-ის მშვიდობის საბჭოსა და გაერთიანებს „ვეტერანები მშვიდობისთვის“ წარმომადგენლები.

აქტივისტებს ხელში ეკავათ პლაკატები, რომლებიც ნატოს მოუწოდებდნენ „წაეთრიონ აღმოსავლეთ ევროპიდან“ და შეწყვიტონ უკრაინელი ფაშისტების მხარდაჭერა. მიტინგის ორგანიზატორები მონაწილეებს და გამვლელებს ურიგებდნენ ფურცლებს, სადაც მოთხრობილი იყო ევროპაში ალიანსის ქმედებების შესახებ და იმაზე, რატომ ემუქრება მთელ მსოფლიოს ომის საფრთხე.

ამერიკის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ ალფრედ მარდერმა განაცხადა: „დღეს მსოფლიოში ძალიან სახიფათო სიტუაციაა. ნატო რუსეთის საზღვრებთან ახდენს სამხედრო ძალის კონცენტრაციას, მხარეებს შორის შეიძლება გაურკვევლობა გაჩნდეს და ღილაკზე ერთმა დაჭერამ შეიძლება ბირთვულ ომამდე მიგვიყვანოს“.

გაერთიანებული ნაციონალური ანტისაომარი კოალიციის კოორდინატორი ჯო ლომბარდი:

„ნატო მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. ვაშინგტონი 2001 წლიდან მოყოლებული, განუწყვეტელ ომებს ეწევა. ახლა აშშ რუსეთს და ჩინეთს ემუქრება. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ბირთვული კონფლიქტის დაწყების საფრთხე. ჩვენ ვხედავთ, რამდენი სამხედრო მოსამსახურე და ტექნიკა განათავსა აშშ-მა რუსეთის საზღვრებთან და ვთვლით, რომ მშვიდობის დამცველი მოძრაობის წარმომადგენლებმა აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ“.

მიტინგის ორგანიზატორები ყველაფერში ბარაკ ობამასა და ევროპული სახელმწიფოების მეთაურებს ადანაშაულებენ.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობენ თეთრ სახლში მშვიდობის შესახებ, ომის საშიშროება უფრო მატულობს. პოლიტიკურმა ამბიციებმა გონიერებას აჯობა. დავიწყებული ჭეშმარიტებაა, რომ ომი პრობლემის გადაწყვეტა კი არა, მის წინაშე უსუსურობაა.

ადამიანებს არ სურთ ომი, არ უნდათ თავიანთი უნიათო და აგრესიული ავანტურისტი პოლიტიკოსებისა და გენერლების გამო დაიღუპონ.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22



სამეგრელო – ზემო სვანეთის მწერალთა ორგანიზაცია ღრმა გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ედპ-ის წალენჯიხის კომიტეტის თავმჯდომარე, ღირსეული პიროვნება და ღირსეული წალენჯიხელი, უკეთილშობილესი ადამიანი – **გულად გვაჯავა** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ჭირისუფალთ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის
თავმჯდომარე: **შუკო ჯიქია**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული ქართველი კაცის – **გულად გვაჯავას** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძლიერი რეგიონები

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 11-კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა

ქვეყნის მთავარ სატრანზიტო ავტომაგისტრალს კიდევ ერთი ჩქაროსნული მონაკვეთი შეემატა - ბაში-დაფნარის მონაკვეთის გახსნის შემდეგ ავტოტრანსპორტის მოძრაობა ახალ გზაზე გადაერთო.

საგზაო მონაკვეთის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც აღნიშნა:

„ამ გზის მეშვეობით მგზავრებს საშუალება ექნებათ გვერდი აუქციონ მჭიდროდ დასახლებულ სამტრედიას და უფრო სწრაფად, კომფორტულად და უსაფრთხოდ გააგრძელონ გზა. ეს არის კიდევ ერთი ქვეპროექტი იმ დიდი პროექტისა, რასაც საქართველოს სატრანზიტო ავტომაგისტრალის განვითარება ჰქვია. ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანზიტო გზების განვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, მეტი სარგებელი მიიღოს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და სატრანზიტო ფუნქციით“.

ბაში-დაფნარის 11-კილომეტრიანი მონაკვეთი მოიცავს ქუთაისის შემოვლითი - სამტრედიის (24 კმ-იანი გზის) 9-კილომეტრიან და სამტრედია-გრიგოლეთის (11,5 კმ-იანი გზის) 2-კილომეტრიან მონაკვეთებს. გზის აღნიშნული მონაკვეთი ბაშის კვანძთან იწყება და არსებულ გზას დაფნართან უერთდება. ქუთაისის შემოვლითი - სამტრედიის გზის 9-კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგო ორზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, აშენდა 5 ხიდი და გზაგამტარი.

ბაღდათი სტიქიამ 800 ათას 400 ლარით დაზარალა

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული სოფლების – წითელხევის, როხის, წყალთაშუას, პირველი ობჩას, მეორე ობჩას და ზეგანის ზარალის ოდენობამ, მუნიციპალიტეტის გამგეობის კომისიის ინფორმაციით, 800 ათას 400 ლარს მიაღწია.

მთავრობის სხდომაზე გაირკვა სტიქიის მიერ სოფლებისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა და ისიც, თუ რომელ სოფლებში უნდა დაიწყოს სასწრაფოდ ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

რთველი 2016 – მთავრობა სუბსიდირების პროგრამისთვის 25 მილიონ ლარს გამოყოფს

ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონსა და თვითმმართველ ქალაქებში სპეციალური ადგილები იქნება გამოყოფილი, 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს რთვლის საორგანიზაციო შტაბი და ცხელი ხაზი. ყურძენს 100-ზე მეტი ღვინის საწარმო ჩაიბარებს.

სამომავლოდ მევენახეობა-მეღვინეობის დარგმა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს და მას სუბსიდია აღარ უნდა დასჭირდეს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

- ალკოჰოლური სასმელების წარმოების მიმართულებით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 22 ახალი საწარმო და გაფართოებულია 43 საწარმო;
- აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში დაზღვეულია 6,527 ჰა ფართობზე გაშენებული ვაზი;
- 2016 წლის იანვარ-ივნისში ღვინის ექსპორტი გაიზარდა 44 პროცენტით წინა წლის, ხოლო 117 როცენტით 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობისთვის ღვინის ეროვნული სააგენტო ვენახების უწყებრივი კადასტრის პროგრამას ახორციელებს.

თელავი – ლაფანყურში გზის რეაბილიტაცია დაიწყო

თელავის მუნიციპალიტეტის ლაფანყურის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია დაიწყო. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს შპს საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანიტინი“ ასრულებს. პროექტის ღირებულება 2 893 795 ლარია.

აღნიშნული პროექტი ცენტრალური ბიუჯეტით და მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით, ადგილობრივი ხელისუფლების და უშუალოდ თელავის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გელა სამხარაულის ინიციატივით ხორციელდება.

დავით ნაპირელი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე: „წლებია, ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი არ განხორციელებულა. სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება 6-კილომეტრიან გზას და საბოლოოდ გადაიჭრება პრობლემა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში აწუხებდა ლაფანყურის მოსახლეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გზის მშენებლობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას“.

ახმეტა – პროფესიულ კოლეჯ „აისის“ ფილიალი სოფელ ქვემო ალვანში

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯ „აისის“ ფილიალი სრულად შეკეთდა. განხორციელებული სამუშაოები ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა დააათვალიერეს. პროფესიულ სასწავლებელ „აისს“ შენობა 2007 წელს გადაეცა, მაგრამ სარეაბილიტაციო სამუშაოები აქამდე არ განხორციელებულა. შესაბამისად, შენობა სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა.

სასწავლო კორპუსში განახლდა სასწავლო და საოფისე ინვენტარი, ნაწილობრივ უკვე აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლებელი უზრუნველოფილი იქნება გათბობისა და კონდიცირების თანამედროვე სისტემებით და ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

პროგრამები, რომლებიც ალვანის ფილიალში ხორციელდება, სრულადაა მორგებული რაიონის საჭიროებებს - აქ ძირითადად ტურიზმის, რეწვის, ვეტერინარიის, ხელოვნების მიმართულების პროგრამები მოქმედებს.

შენობის მეორე სართული დაეთმობა სასტუმროს, სადაც მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული და სოციალურად დაუცველი სტუდენტები იცხოვრებენ.

„აისის“ ფილიალი ოფიციალურად რამდენიმე თვეში გაიხსნება.

ლაგოდეხი – მოხუცებულთ სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი სოფელ აფენში

რამდენიმე დღის წინ აფენის თემში მოხუცებულთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი გაიხსნა. გერმანიის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია „საგამ“ გაარემონტა და სათანადო ინვენტარით აღჭურვა მოხუცებისთვის განკუთვნილი ფართი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობა მათ ყოველდღიური სადილით გამასპინძლებას უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობა სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის ხარჯებს დააფინანსებს

დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25 პროცენტამდეა რეგისტრირებული. ამიტომაც მთავრობა ზრუნავს გაამარტივოს და წაახალისოს მიწის რეგისტრაციის პროცესი, რისთვისაც:

მიწის აზომვითი ნახაზების ხარჯებს სახელმწიფო აანაზღაურებს;

შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი;

სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში, მესაკუთრეებს - დავების მოგვარებაში;

ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროები ერთობლივად მუშაობენ, რომ მიწის რეგისტრაციის დროს ბარიერები არ შეიქმნას.

„წყალი ყველა სოფელს“

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ამ დევიზის შესაბამისად, ღადიშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვედა შავრაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული სამუშაოები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ.

სენაკი – „ქალები სამართლიანობისთვის“

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმეთა დარბაზში ცხრა დღის განმავლობაში მიმდინარეობდა არასამთავრობო ორგანიზაციის - „ქალები სამართლიანობისათვის“ - მიერ ორგანიზებული ტრენინგები. ორგანიზაცია წლებია მუშაობს საქართველოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტებში და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ქალები აქტიურ პოლიტიკაში“. პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურება, საკანონმდებლო და საარჩევნო სისტემებში განხორციელებულ ცვლილებებზე მათი ინფორმირება და პოლიტიკაში ჩართულობა.

ხობი – „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ძველ ხიბულაში

ხობის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამუშაოები აქტიურად დაიწყო, რისთვისაც წელს 848 300 ლარი გამოიყო.

ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშა-

ახმეტა

ძლიერი საქართველოსთვის

ხობი

ოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შიდა სასოფლო ხრეშოვანი გზების მოწესრიგება. სამუშაოებზე ადგილობრივები არიან დასაქმებული. სამუშაოს საერთო ღირებულება 18 114 ლარია.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა დახმარების პროგრამის განხილვა ახალციხეში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და სამინისტროს წარმომადგენლებმა ახალციხეში შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე მათ ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ასოციაცია „ტოლერანტთან“ ერთად „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

ბორჯომი – სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია საკურორტო სოფლებისთვის

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლიბანის მიმდებარე ტერიტორიაზე სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულების შემდეგ აღნიშნული აუზით სარგებლობა სოფლების - ცემის, ტბისა და ლიბანის 400-ზე მეტ ოჯახს შეეძლება.

სამუშაოების ფარგლებში მოეწყო რკინა-ბეტონის კოლონები, დამონტაჟდა ლითონის ბადე, მოპირკეთდა წყალშემკრები აუზის შიდა მხარე.

წლების წინ აშენებული აუზი უმოქმედო მდგომარეობაში იყო. ადგილობრივებს წყლის მიწოდების პრობლემა განსაკუთრებით საკურორტო სეზონში ექმნებოდათ. რეაბილიტაციის შემდეგ წყლის მარაგი 700 ტონამდე გაიზრდება, მოსახლეობა კი სასმელ წყალს 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მიიღებს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 24 780 ლარით დაფინანსდა.

ბოლნისში სანიაღვრეების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

რიტუალების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე ერთ-ერთ რთულ მოსახვევში უხვი ნალექის დროს წყალი გუბდება და საავარიო სიტუაციას ქმნის, მიზეზი მოუგვარებელი სანიაღვრე სისტემაა.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე, გაწმენდით სამუშაოებს შპს „მაიტენგ-საქართველო“ ახორციელებს. სამუშაოების მიმდინარეობისას მიწის ქვეშ აღმოჩენილია რამდენიმე ათეული წლის წინ მოწყობილი სანიაღვრე არხი. იგეგმება მისი გაწმენდა.

სანიაღვრე სისტემების გაწმენდის სამუშაოები ბოლნისში პარალელურ რეჟიმში სამ წერტილში ხორციელდება, რითაც სამი მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდება.

დმანისი – იძულებით გადაადგებული პირები ბიზნესგეგმების შედგენას სწავლობენ

დმანისის მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სამუშაო შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ეკონომიკური გაძლიერების პროექტის ფარგლებში, ბიზნესგეგმის დაწერის თემატიკაზე

მსგავსი ღონისძიებების ორგანიზატორია ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“.

ახლო მომავალში ექსპერტებთან და ტრენერთან ერთად გაიმართება შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ბიზნესგეგმებს, აღმოფხვრიან ხარვეზებს და წარადგენენ ფინალური ბიზნესწინადადებისთვის.

მიკროგრანტები მთის განვითარებისთვის – საინფორმაციო შეხვედრა წალკაში

წალკის მუნიციპალიტეტში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივით, მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ახალი პროექტის - „მიკროგრანტები მთის განვითარებისთვის“ - შესახებ.

შეხვედრას რეგიონის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ქვემო ქართლში მცხოვრები თემით დაინტერესებული პირები დაესწრნენ. აუდიტორიამ მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიიღო კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარე შეხვედრიდან, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

მაღალმთიან რეგიონში ბიზნესის წამოწყების მსურველებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა: 27 ივნისიდან 29 ივლისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ - ფარგლებში წარადგინონ საკუთარი ბიზნეს-იდეები და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით წამოიწყონ საკუთარი საქმე მთაში. მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან ერთდ შემუშავებული პროექტი იძლევა საშუალებას, მაღალმთიან სოფლებში ბიზნესის განვითარებისთვის მოსახლეობამ სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5 000-დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსება და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

წალკა

გორის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია გრძელდება

გორის მუნიციპალიტეტში, ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელ ახალუბანში ახალ სასწავლო წელს ბავშვები სწავლას თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბავშვო ბაგა-ბაღში გააგრძელებენ. სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულება 17 552 ლარია.

„ეს ბაღი 20 წელია ფუნქციონირებს და აქ ასეთი სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა. ჩანგრეული იყო იატაკი, მოუწესრიგებელი - სველი წერტილები, არ გვქონდა საწოლები და ბავშვებს ვერ ვაძინებდით. სექტემბრიდან ბავშვები ლამაზ გარემოში განაგრძობენ სწავლას და შევძლებთ მათ დაძინებასაც. ახალი ინვენტარი, მათ შორის საწოლები და ლოგინი, უკვე მოტანილია და ეს პრობლემაც მოგვარდება“, - აღნიშნავს ახალუბნის ბაღის გამგე ნინო ათუაშვილი.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ონიაშვილმა სამუშაოების დათვალიერების შემდეგ აღნიშნა:

„გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის საბავშვო ბაგა-ბაღების მოწესრიგება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ეტაპობრივად ყველა ბაღის შენობის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. მომავალ თაობას აუცილებლად შევუქმნით სათანადო პირობებს. ყველა ბაგა-ბაღი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ახალი ინვენტარით აღჭურვილი“.

ქედა – ფერმერ ქალთა ასოციაციის შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან

გაეროს განვითარების პროექტის მხარდაჭერის ფარგლებში, ფერმერ ქალთა ასოციაციამ ქედაში ფერმერ ქალებთან შეხვედრა გაცნობის, პრობლემებისა და საჭიროების იდენტიფიცირების, საერთო ბაზის შექმნის მიზნით გამართა. შეხვედრას უძღვებოდნენ ასოციაციის თავმჯდომარე ირინე ფხოველიშვილი, იურისტი ნატო ვარაზანაშვილი და ორგანიზაციის წარმომადგენელი აჭარაში ლია შაქარიშვილი.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სოფლად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ქალბატონები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან იყვნენ მოწვეული.

შუახევი – ბესელაშვილებში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში შუახევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლების - ბესელაშვილებისა და კლდისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოებისთვის 17 000 ლარია გამოყოფილი.

მიმდინარე გზის რეკონსტრუქციის შუალედური სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ავთანდილ დიასამიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გურამ ზოიძესთან და ინფრასტრუქტურული ღონისძიების მიმღები კომისიის წევრებთან ერთად დაათვალიერა.

ქობულეთი – ჯავახიშვილის უბნის კეთილმოწყობა დასრულდა

ქობულეთში, ჯავახიშვილის უბანში კეთილმოწყობითი სამუშაოები დასრულდა. პროექტზე მილიონ-ნახევრამდე ლარი დაიხარჯა. უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა. უბნის კეთილმოწყობის პროექტის ფარგლებში, შარშან ჯავახიშვილის ქუჩაზე, ჯავახიშვილის ქუჩის I, II, III შესახვევსა და რუსთაველის ქუჩის I შესახვევში გზის სავალ ნაწილზე მოეწყო სანიაღვრე, წყლისა და კანალიზაციის სისტემები, ხოლო მიმდინარე წელს ქუჩების სავალი ნაწილი და ტროტუარები დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა.

ქობულეთი

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲢᲔᲢᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲚᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲝ�პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ.
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲒ“ N 22-24)

გეოგრაფიულად თბილისი კავკასიის ცენტრში მდებარეობს და აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მთელი კავკასია: ვახტანგ გორგასალმა შემთხვევით როდი გადმოიტანა ამ ქალაქში დედაქალაქი (მანამდე აქ, მინიმუმ, ორი საუკუნე მაინც არსებობდა ქალაქი); დავით აღმაშენებელმაც სტარატეგიული მოსაზრებით გადმოიტანა ხელმეორედ დედაქალაქი თბილისში; რუსეთის იმპერიამაც მეფისნაცვლის ადგილი გაუაზრებლად არ დაადგინა თბილისში.

საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის თეორიითაც საქართველოს სახელმწიფოს ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ადგილზე "დამაგრებას" განაპირობებს თბილისი-ფოთის ღერძი. მისი დამოკლება ქუთაისი-ფოთამდე განაპირობებს აღმოსავლეთ საქართველოზე კონტროლის შესუსტებას და სტრატეგიული ცენტრის, თბილისის, მოშლას. ანუ მთელ კავკასიაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის შესუსტებას და პერსპექტივაში აღმოსავლეთ საქართველოს (ან მისი ნაწილის) დაკარგვას.

დასავლეთ ევროპაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების განლაგება სახალმწიფოს სხვადასხვა ქალაქებში მიღებულია გეოპოლიტიკურად მშვიდ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომელთაც ასევე გააჩნიათ გეოპოლიტიკურად მშვიდი, ცივილიზებული და სტაბილური გარემოცვა მეზობელი სახელმწიფოების სახით (მაგალითად, ჰოლანდია). მაგრამ საქართველო მდებარეობს გეოპოლიტიკურად ისეთ დაძაბულ ადგილას (გეოპოლიტიკის დუალისტური თეორიის თანახმად, საზღვაო და სახმელეთო სტიქიების დაპირისპირების საზღვარზე - ე.წ. სანაპირო სივრცესთან ახლოს, ანუ იმ ზოლში, სადაც მუდმივი მღელვარება და ბრძოლაა დიდ სახელმწიფოებს შორის), რომელიც არის მსოფლიო გეოპოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური გადაკვეთის ადგილი. აქედან გამომდინარე, საქართველოსთანა პატარა სახელმწიფოსათვის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების დედაქალაქში (თანაც ასეთ ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ ადგილზე მდებარე) ყოფნა, ცენტრალიზებული და მობილური მართვის თვალსაზრისით, აუცილებლობას წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ყველა ჩვენ უშუალო მეზობელ სახელმწიფოს (ჩვენგან განსხვავებით) გააჩნია ოცნება და მიზანი(სურვილი-განზრახვა).*

ჩვენი სამხრეთელი მეზობლის – სომხეთის უზენაესი ოცნება და მიზანია (სურვილი-განზრახვა) შექმნას დიდი იმპერიული სომხეთი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და სამხრეთ-დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე (ე.წ. "კილიკიის სომხური მიწების" ჩათვლით). ამ ეტაპზე არ შესწევს უნარი და ძალა თურქეთს დაუდგეს წინ და რუსეთის საშუალებით ცდილობს მიწები ჩამოაჭრას აზერბაიჯანს და საქართველოს. ამ მიზნის განსახორციელებლად რუსეთთან ერთად ჩართულია მთელი მსოფლიოს სომხური ლობი (რომელიც მოიცავს არა მარტო სომხურ დიასპორას, არამედ მთელ სომხურ სისტემას, განსაკუთრებით ა.შ.შ.-ში, საფრანგეთში და რუსეთში, სომხური ეკლესიის ჩათვლით). სომხების იდეოლოგიური სტრატეგიული ცენტრები ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან ამუშავებენ "მეცნიერულ" თეორიას მათი ურარტუდან წარმოშობის, ანუ მათი მემკვიდრეობის შესახებ (სინამდვილეში, ინდო-ევროპული წარმოშობის მეჯოგე-მომთაბარე არმენები დასუსტებული ურარტუს მიწების ნაწილს დაეპატრონენ და სულაც არ არიან მათი გენეტიკური მემკვიდრეები).

ამავე პერიოდში დაიწყეს სომეხმა "მეცნიერებმა" ვაინახების (ჩეჩნები და ინგუშები) ურარტუდან წარმოშობის თეორიის შეთხზვა, ანუ ვაინახების სომხური წარმოშობის თუ არა, ნათესაობის თეორიის შექმნა. ამ უკანასკნელი თეზისის დამუშავებას ამჟამადაც განაგრძობენ და ცდილობენ ჩაითრიონ ვაინახელი მეცნიერებიც. სომხების მიზანია, ვაინახების მეშვეობით გაანეიტრალონ მათზე შექმნილი ტრადიციულად უარყოფითი იმიჯი კავკასიაში. გარდა ამისა, მათთან კარგი ურთიერთობის დამყარებით, უნდათ ცუდად განაწყონ ისინი ქართველების მიმართ. ასევე მათი მიზნისა და ოცნების ერთ-ერთი ვარიანტია აღმოსავლეთ საქართველოს მითვისება, შესაბამისად, ის უშუალო მეზობელი გახდება რუსეთის, ანუ ვაინახების.

ჩვენი აღმოსავლელი მეზობლის - აზერბაიჯანის ოცნებაა გადაწყვიტოს თავის სასარგებლოდ ყარაბაღის პრობლემა თურქეთის უშუალო დახმარებით. შექმნას ერთიანი დიდი აზერბაიჯანული სახელმწიფო - ირანის აზერბაიჯანთან გაერთიანებით, რითაც წარმოიშობა კიდევ ერთი დიდი თურქულენოვანი სახელმწიფო, 25-30-მილიონიანი მოსახლეობით და 180-200 ათასი კმ2 ტერიტორიით, შემდგომში თურქეთთან გაერთიანების პერსპექტივით (რადგან საერთო საზღვარი გაუჩნდებათ). ამასობაში, აზერბაიჯანი სწრაფად ვითარდება ეკონომიურად. მისი მ.შ.პ. ამჟამად 2,5-ჯერ აღემატება საქართველოსა და სომხეთის ერთობლივ ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო სამხედრო ხარჯები ასევე 2,5-ჯერ დიდია საქართველოსა და სომხეთის ერთობლივ ანალოგიურ მაჩვენებელზე (ის იქცა ამიერკავკასიის რეალურ ლიდერად ყველა პარამეტრებით). ამასთან, აზერბაიჯანი აგრძელებს თავის პოლიტიკას ეროვნული უმცირესობების – ქართველების და ჩრდილო კავკასიელი ხალხების შევიწროებას და ასიმილაციას. უკვე კარგა ხანია აზერბაიჯანელი "მეცნიერები" ქმნიან აზერბაიჯანის ახალ "მოდერნიზებულ" ისტორიას, რათა დაბლოკონ სომხების ისტორიული "მადა". კერძოდ მიიჩნევენ, რომ ისინი არა დამპყრობელი თურქი-ოგუზები არიან, არამედ აბორიგენი ალბანელების უშუალო გენეტიკური მემკვიდრეები, რომელთაც თურქულმა ტომებმა სარწმუნოება და ენა მოახვიეს თავს. გამომდინარე აქედან, მათ შეიმუშავეს აგრესიული მიმართულება "ისტორიული კანონზომიერებიდან და სამართლიანობიდან" გამომდინარე, ერთის მხრივ, სომხური თეორიების და ქმედებების დასაბლოკად, მეორეს მხრივ, თავის ისტორიულ ნაწილად აცხადებენ საინგილოს, გარეჯის მხარეს, ყარაიას და უკვე ბორჩალოს (ქვემო ქართლი) მიწებსაც. აქაც ჩვენი უთავობის გამო, იმის ნაცვლად, რომ ჩვენ საინგილოს, ყარაიას და გარეჯის მიწებს ვითხოვდეთ, აქეთ გვედავებიან მიწებს.

ჩვენ ჩრდილოელ მეზობელზე ბევრს არ ვისაუბრებთ. მისი ოცნება და მიზანია ევრაზიული იმპერიის აშენება (რომლის პარამეტრები ყოფილი ს.ს.რ.კ.-ს და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებზე უფრო გრანდიოზულია), ა.შ.შ.-ს დამარცხება და ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოზე დომინირება. ამ ზეიმპერიის მშენებლობის დაწყების პირველ ეტაპად რუსეთს მიაჩნია ყოფილი ს.ს.რ.კ.-ს ტერიტორიაზე თავისი კონტროლის აღდგენა, მათ შორის, ცხადია, საქართველოზეც.

ჩვენი სამხრეთ-დასავლეთელი მეზობლის თურქეთის ოცნება და მიზანი გახლავთ თურქულენოვანი ქვეყნების და ეთნოსების გაერთიანებით დიდი თურანული იმპერიის შექმნა (ერთ-ერთი ვარიანტია ოსმალეთის იმპერიის აღდგენა). ამასთან, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამ ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერება. ამჟამად აწარმოებს საქართველოს, განსაკუთრებით, აჭარის ეკონომიკურ და ეთნიკურ-რელიგიურ ანექსიას.

მეზობლების გარემოცვაში, რომლებიც შეიარაღებულნი არიან აგრესიული ოცნებებითა და მიზნებით (სურვილ-განზრახვებით) და ამჟამად ყველა მათგანი აღმავლობა-გაძლიერების გზაზეა, ჩვენ ვიმყოფებით მათ შორის „უიარაღო", უმიზნო დაღმავალ-დასუსტების გზაზე, ფსევდოლიბერალურ ღირებულებებზე გამოკიდებული საქართველო და "ჩავდივართ" უხეშ გეოპოლიტიკურ და პოლიტიკურ შეცდომებს, რომელიც მხოლოდ ამ ფაქტით არ შემოიფარგლება, როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის პერიოდში. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაკარგვა სწორედ ამის შედეგია (თუ არ ვიტყვით, რომ წინასწარგანზრახვითაა გაკეთებული).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲐᲠᲔᲐᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

1921 წლიდან ვერაფრით ვახერხებთ ამ ტენდენციის შეჩერებას. მენშევიკური საქართველოს დროს საქართველო იყო ლიდერი ამიერკავკასიაში, როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობით (ეთნიკური ქართველი ჭარბობდა ეთნიკურ აზერბაიჯენელებსა და სომხებს). აქედან მოყოლებული საქართველოს სასიცოცხლო არეალმა შეუქცევადად იწყო კლება. შემცირდა საქართველოს ტერიტორია 69,7 ათას კმ2-მდე, ძალით შეგვიქმნეს ორი ავტონონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი (მათ შორის, უპრეცედენტო შემთხვევა ს.ს.რ.კ.-შიც კი – აჭარის რესპუბლიკა ოფიციალურად შეიქმნა რელიგიის საფუძველზე ათეისტურ სახელმწიფოში). შემდგომში, კომუნისტური წყობის მანძილზე, სხვადასხვა მიზეზით, საქართველოს ტერიტორიას ჩამოეჭრა ათეულობით ჰექტარი მიწა.

დამოუკიდებელ საქართველოს პერიოდში აფხაზეთზე და ცხინვალის რეგიონზე ჯერ კონტროლის დაკარგვამ, შემდგომში ყოფილი ხელისუფლების მიერ საბოლოო ბერკეტების (აფხაზეთში კოდორის ხეობის და ცხინვალის რეგიონში ახალგორის რაიონის) დაკარგვამ და ყველაფერ ამ უბედურების გვირგვინმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარებამ მენშევიკური საქართველოს ტერიტორია 89,2 ათასი კმ2 დაიყვანა 57,2 ათასი კმ2-მდე. თუ ამას დავუმატებთ, რომ მოხდა შევარდნაძის დროს ქართველების ეთნიკური წშენდა აფხაზეთში და საკაშვილის დროს ქართველების ეთნიკური წშენდა ცხინვალის რეგიონში, ამასთან მილიონნახევარი ქართველი გავიდა სამშობლოს გარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად, ცხადი გახდება კატასტროფულად სწრაფი ტემპი ქართული სასიცოცხლო არეალის შემცირებისა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არც ერთ მეზობელთან (გარდა თურქეთისა) საზღვრები დემარკირებული არ არის, ხოლო გაეროს მიერ აღიარებული საზღვრები გადმოსწიეს რუსეთმაც, აზერბაიჯანმაც და სომხეთმაც და ამას დავუმატებთ ხელისუფლების მიერ უცხოელებზე მიწების მიყიდვას და მათ ჩამოსახლებას, სახეზეა არშემდგარი სახელმწიფო, შემდგომი კატასტროფებისათვის გამზადებული. საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ერის სასიცოცხლო არეალის კიდევ უფრო შემცირება მისი სიკვდილის ტოლფასია.

ივერი ტარყაშვილი: თუ მთავრობამ რეალური დახმარება არ გაუწია ფერმერებს, მათ გაკოტრება ემუქრებათ

„თუ მთავრობამ რეალური დახმარება არ გაუწია ფერმერებს, მათ გაკოტრება ემუქრებათ, აქედან გამომდინარე, ვერც ადგილობრივი აგრარული სექტორი განვითარდება და კვლავ მომხმარებელ ქვეყანად დავრჩებით. დაბალპროცენტიანი აგრარული სესხებით, ისევ კომერციულმა ბანკებმა ისარგებლეს“, აცხადებს შპს „ბოდბეს ლაბას“ დამფუძნებელი **ივერი ტარყაშვილი**, რომელმაც თუ ოქტომბრის დასაწყისში არ დაფარა ბანკის დავალიანება, წლობით ნაშენებ მეურნეობას და მიწის ფართობებს ბანკი ჩამოართმევს და გაუყიდის. ჩვენი რესპოდენტი გამოკლისი არ გახლავთ, უამრავ ქართველ ფერმერს ემუქრება ანალოგიური საშიშროება.

ივერი ტარყაშვილი: „90-იანი წლების დასაწყისში მიწის პრივატიზაცია რომ დაიწყო სიღნაღის რაიონის ტერიტორიაზე ოჯარით ავიღე ძველი მეცხოველეობის ფერმა, რომელსაც 240 ჰექტარი მიწა ჰქონდა, მერე რაღაც შესწორებები მოხდა, ახლა 360 ჰა-ს ვფლობთ, მათ შორის 3 ჰა ვენახი იყო. ეს ყველაფერი მოგვიანებით სახელმწიფოსგან გამოვისყიდეთ. კომუნისტების დროს წყალსაქაჩები მუშაობდა და ირწყვებოდა, თუმცა მერე სარწყავი სისტემა გაანადგურეს და ჯართად გაყიდეს. ამის გამო ნაწილ ფართობს ვერც ვაქირავებდი, იმ მიზერულ თანხასაც ვერ ვიღებდი, რომ მიწის გადასახადი მაინც გადამეხადა, მთელი ათი წელი საკუთარი ჯიბიდან ვინახავდი. 2007 წელს ჩემს შვილებთან და მეგობართან ერთად შპს „ბოდბეს ლაბა“ დავაფუძნე, შევაკეთეთ და გავაფართოეთ ფერმა, შევისყიდეთ 76 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ტრაქტორები და სხვა ტექნიკა, 150 ჰა ყამირი გავტეხეთ, რომ მარცვლეული დაგვეთესა, რასაც ცხადია, სერიოზული თანხები ჭირდებოდა. პირველად „ქართუ ბანკიდან“ გამოვიტანეთ კრედიტის სახით 200.000 ლარი. უკრაინიდან ჩამოვიტანეთ ე.წ. თიკნის ბალახის თესლი, რაც 10.000 დოლარი დაგვიჯდა. ამ კულტურას ფართო რეკლამას უკეთებდნენ, ამიტომაც დავინტერესდით, ერთ ჰა-ზე 80 ცენტნერი უნდა მიგვეღო, მაგრამ იმ წელს ისეთი გვალვა იყო, ნახევარი არ ამოვიდა, თელავის რაიონშიც დავთესეთ და არც იქ ამოვიდა. სუდანური სორგოც დავთესეთ, მაგრამ არ იმან გაამართლა. სახელმწიფო არაფერში დაგვხმარებია, თურმე გვალვას სტიქიურ უბედურებად არ თვლიან. ბანკის კრედიტი ხომ უნდა დაგვეფარა, ნაწილი ჩვენი ძალებით მოვახერხეთ, მერე იძულებული გავხდით, რომ „საქართველოს ბანკიდან“ აგვეღო კრედიტი, ბანკის შეცვლაც 4-5 ათასი ლარი ჯდება საჯარო რეესტრიდან დაჩქარებული წესით რომ მიიღო საჭირო დოკუმენტაცია. „საქართველოს ბანკმა“ „ქართუს“ კრედიტი დაგვიფარა, მაგრამ ამ ბანკში უფრო მაღალი პროცენტი იყო, ასე რომ, 142.000 ლარი გვქონდა გადასახდელი. ბანკმა „რესპუბლიკამ“ შემოგვთავაზა, დაბალპროცენტიანი სესხები რომ შემოვა, თუ სურვილი გექნებათ, ჩვენგან აიღეთო. მართალია, ამ ბანკში უკეთესი პირობები იყო, მაგრამ მაინც დაუხვეწავია, ასეთი პირობებით სოფლის მეურნეობას განვითარება კი არა, არსებობაც გაუჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ ნაწილ-ნაწილ გასცემენ, არ გეძლევა იმის საშუალება რომ ერთი საქმე ბოლომდე მიიყვანო. ტრაქტორები იმიტომ ვიყიდეთ, რომ ნაკლები ხარჯი გვქონოდა, თუმცა ყამირის გატეხვას „ბელარუსი“ ვერ შეძლებდა, გაცილებით მძლავრი ტრაქტორი ვიქირავეთ, მოსავლის ასაღებად კომბაინს ვქირაობთ, ასე რომ, ერთი ჰექტრის დამუშავება და მოსავლის აღება მაინც 500-600 ლარი გვიჯდებოდა. ერთ წელს ხორბალი „რენესანსი“ დავთესეთ 10 ჰა-ზე, ერთ კილოგრამში ლარნახევარი გადავიხადეთ, ჰექტარზე 10 ტონა უნდა მიგვეღო, მაგრამ გვალვის გამო 2 ტონა ავიღეთ, მეორე წელს იმ ჰიბრიდული სიმინდივით („პიონერი“) საერთოდ არ ამოვიდა, თესლი ხელახლა გაგვიხდა საყიდელი. ვენახი გავჩეხეთ და 6 ჰა-ზე დავთესეთ „პიონერი“ და 300 კგ ვერ ავიღეთ. თან ისეთი საშინელება იყო, პირუტყვიც კი არ ჭამდა ტაროს. ინდაურები და ქათმები გვყავდა, აქაც ვიზარალეთ. ძროხები და ღორებიც დაგვეხოცა, ყველაფერი თითქოს ნორმალურად გავთვალეთ საიდან რა მოგება უნდა მიგვეღო, პროფესიით ეკონომისტი ვარ, სოფლის მეურნეობის სისტემაშიც მიმუშავია, მაგრამ რათ გინდათ, გეგმა ერთი იყო და მოვლენები სხვანაირად ვითარდებოდა.

2010 თუ 2011 წელს პირუტყვს ცოფი გაუჩნდა, თბილისში ჩაატარეს ექსპერტიზა და ცოფი დაადგინეს. ცოფი მთელ ივრისპირეთსა და ალაზნისპირეთს მოედო, ბოლოს კეთილი ინება მთავრობამ და პირუტყვის მასობრივი აცრები ჩაატარა, თუმცა მანამდე 20 სული მაინც დამეხოცა, სხვებს უფრო მეტი. მწყემსებმა და ჩვენც ჩავიტარეთ მკურნალობა, რაც ასევე სერიოზული თანხა დაჯდა. მერე სხვა დაავადება გაჩნდა, პირუტყვს თუ გარედან ჰქონდა მუწუკები, მისი გადარჩენა ხერხდებოდა, შიგნეულის დაავადების შემთხვევაში კვდებოდა. თითო ძროხის მკურნალობა 500 ლარზე მეტი დაგვიჯდა. ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ საშინლად დავზარალდით, ბანკის ვალის გადახდა ძალიან გაგვიჭირდა. ბანკმა „რესპუბლიკამ“ „საქართველოს ბანკის“ ვალი გადაგვიფარა, მაგრამ 50.000 ლარი მაინც დაგვრჩა გადასახდელი. დაბალპროცენტიან სესხს, მხოლოდ მიზნობრივად გასცემენ, პირუტყვის შესაძენად მოგვცეს, მერე ეს 2%, 15% გაგვიხადეს. სესხის უზრუნველსაყოფად ფერმა და მიწები გვაქვს ჩადებული, თუ ვალი ვადაზე არ დაფარე, უზარმაზარი ჯარიმებია. ამიტომ დროულად რომ დაგვეფარა, 200 სული ცხვარი ნახევარ ფასში გავყიდეთ. „რესპუბლიკამ“ თვეში 2500 ლარის გადახდა მოგვთხოვა, არ იყო კარგი პირობა, მაგრამ იძულებული ვიყავით დავთანხმებულიყავით. ვალის გადაფარვის შემდეგ 30.000 ლარი დაგვრჩა, ამ თანხას დავამატეთ 45.000 ლარი, ესეც დაბალპროცენტიანი კრედიტი და მოზარდი მამალი პირუტყვი ვიყიდეთ, რომ მერე ცოცხალი წონით გაგვეყიდა, რადგან დიდი მოთხოვნილება იყო. რვა თვე საძოვარზე ვუშვებდით, მერე სუქებაზე, გაძლიერებულ კვებაზე დავაყენეთ, რაც ცხადია, დიდ თანხებს საჭიროებს. 1 კგ ცოცხალი წონის მიღება 3,5 ლარი დაგვიჯდა და იმედი გვქონდა, რომ აზერბაიჯანელებზე 5 ლარად გავყიდდით, მაგრამ აზეირბაიჯანში გაყვანა აკრძალეს (2012-2013 წლები), არ ვიცი რამდენად სიმართლეა, მაგრამ ამბობენ საბაჟოზე ერთი სული პირუტყვის აზერბაიჯანში გადაყვანაზე 80 აშშ დოლარი დააწესესო. იძულებული გავხდით 1 კგ ცოცხალი წონა 3,2 ლარად გაგვეყიდა, რადგან მეტს არავინ იხდიდა. 15.000 დოლარად საპრესი აგრეგატი ვიყიდეთ, მაგრამ იმ წელს ისეთი გვალვა იყო სიღნაღის რაიონში, თივა ვერ ავიღეთ, ლაგოდეხსა და ახმეტაში თითო პრესი შვიდ ლარად ვიყიდეთ. ერთი სიტყვით, თითო ძროხა 3500 ლარი გვიზის, მაგრამ გაყიდვა რომ მოვინდომო 1000 ლარზე მეტს არავინ გადაიხდის. 150.000 ლარი მარტო გვალვის გამო ვიზარალეთ. ბანკის პროცენტი რომ დაგვეფარა, კერძო პირებისგანაც კი ვსესხულობდით.

- ბატონო ივერი, 2%-იანი კრედიტი 15%-იანი რის საფუძველზე გახდა, ჯამში რა თანხა გაქვთ გადასახდელი?

- საურავი რომ არ დაგვრიცხოდა 80 სული პირუტყვი, ჯამში 70.000 ლარის, იმ იორმუღალოელ აზერბაიჯანელს გავატანე ე.წ. პოსლეზე, ვისაც მანამდე ცხვარი მივყიდეთ. ის ფული დღემდე არ გადაუხდია, უკვალოდ გაქრა. ექვსი თვე უშედეგოდ ირბინა ჩემმა შვილმა, იმ კაცმა სხვებისგანაც წაიყვანა საქონელი და ფული არ მათთვის გადაუხდია. რახან დაგვიანდა ვალის დაფარვა, ამ თანხას მისი 15% უნდა დაამატო და ექვს თვეში დაფარო ვალი, გინდა თვითონ გაყიდე დაიპოთეკებული ქონება, თუ არა და ჩამოგართმევთო. 8 ოქტომბერს იწურება ეს ვადა. როგორც გითხარით, „საქართველოს ბანკის“ 50.000 ლარი დამრჩა გადასახდელი, ეს თანხაც დოლარებში გადაიყვანეს, მერე მოგეხსენებათ ლარის კურსი კატასტროფულად დაეცა. თავის დროზე დაბალპროცენტიანი სესხი 35.000 და 40.000 დოლარის ექვივალენტ ლარებში მომცეს, ახლა ახალი კურსით უნდა დავაბრუნო, ე.ი. გაცილებით მეტი თანხა უნდა გადავიხადო. ჩვენი კუთვნილი ტექნიკა გავყიდე, მაგრამ რუსულ ტრაქტორებსა და აგრეგატებს ფასი აღარ აქვს, თავის დროზე ამ ტექნიკაში 160.000 ლარი გადავიხადე, ტრაქტორის ერთ სათადარიგო ნაწილი 2500 დოლარად ვიყიდე, ახლა ამ ტრაქტორში 3.000 დოლარსაც არ მიხდიან, ორი სათესი 5.000 დოლარად ვიყიდე, ახლა 600 დოლარად ველარ ვყიდი. ერთ ლიტრ რძეს 45 თეთრად იბარებენ, ამ ფასად ძროხა თავის ხარჯსაც ვერ ამოიღებს. ყურძენში ნაციონალების მმართველობისას 25 თეთრს გვიხდიდნენ, ამ თანხასაც ვერ ვიღებდით, ამიტომ იძულებული გავხდი გამეკაფა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვენახის გაშენება გადავწყვიტე, დოლარებში იმიტომაც გამოვიტანე კრედიტი, მაგრამ მაგრამ გვალვამ ვაზი გაახმო. ახლა გეკითხებით, აზრი აქვს სოფლის მეურნეობაში დასაქმებას, როცა ზარალის შემთხვევაში თანხის ჩამოწერას ვინ ჩივის, კრედიტის გადავადებაც არ ხდება? მთლიანობაში ვალის ოდენობა 105.000 დოლარია, მაგრამ 141.000 დოლარი მაქვს გადასახდელი. ყოველთვიურ 2500 ლარის გადახდა თუ დაგიგვიანდა, ჯარიმას 1000 ლარს ადებენ. დაბალპროცენტიან სესხში პროცენტის დიდ წილს სახელმწიფო ფარავსო, მე ეს სიკეთე ვერ ვნახე. თუ ბიუჯეტის ფულს მაძლევენ სესხად, მაშინ რა საჭიროა „შუამავალი“ კომერციული ბანკის სახით, რომელსაც სახელმწიფო კიდევ იქით უხდის პროცენტებს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შეთანხმებით ხდება, ხომ აშკარაა, რომ ყველა ადგილობრივ საწარმოსა და ფერმერს ებრძვის სახელმწიფო და ბანკები, ხსენებული სესხებით მხოლოდ ბანკებმა ისარგებლეს. რაში გვჭირდება ამდენი ბანკი, როცა სახელმწიფო თანხების გაცემაზეა საუბარი, ერთი აგრობანკი სიღნაღში და მთელ რაიონს უპრობლემოდ უვლიდა, ახლა ათობით ბანკია, სახელმწიფო ფულის მუქთამჭამელები. საშინელ გვალვებს ხომ არ თვლიან სტიქიურ უბედურებად და მიწის გადასახადიც ყველაზე მაღალი აქვს სიღნაღის რაიონს, 1 ჰა-ზე 15 ლარია გადასახადი, როცა მის მომიჯნავე დედოფლისწყაროსა და საგარეჯოში ეს გადასახადი 7 ლარია, ახმეტაში კი 5 ლარი. რა პრინციპით დაგვიდგინეს ეს გადასახადი რაიონის ხელმძღვანელობამ, არავინ იცის. თუ მართლაც ფიქრობს ქვეყნის მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ჩვენი ხალხის დასაქმებას, პირველ რიგში ამ პრობლემებით უნდა დაინტერესდეს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გვაქვს თუ არა უფლება, ასტროლოგიური პროგნოზის მიხედვით ადამიანების ცხოვრება ვმართოთ?

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ასტროლოგი გიორგი რამიშვილი

- ბატონო გიორგი, თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი, ნიცაში საშინელი ტერორისტული აქტი მოხდა, ჩვენს ქვეყანაში ერთი კვირის წინ მიწისძვრა იყო, მომრავლდა სამწუხარო ინფორმაციები ახალგაზრდების უეცარ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. რა ხდება ცის კაბადონზე, არსებობს პრევენცია თავიდან აიცილონ ადამიანებმა თუ სახელმწიფოებმა ასეთი საშინელებები?

- საფრთხეების აცილება, მისი შერბილება, მცირე დოზებზე გადაყვანა და დროში გაშლა შეიძლება. ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამას ქვია კარმული კვანძის გახსნა და დაშლა. აღნიშნული ქმედება ხდება კეთილი საქმის კეთებისას, როდესაც ბოროტების გაკეთება აქვთ განზრახული, ცდილობენ ეს სამივე ერთმანეთს დაამთხვიონ, რომ მიიღონ რეზონანსი და გამოიწვიონ დიდი დარტყმა. შესაბამისად აზრიც კი არა აქვს ეხლა იმის განხილვას თითოეული ტერაქტის და კატაკლიზმის დროს რა ხდებოდა. რუკას ვნახავთ და მინუსებსაც ვიპოვით. საერთოდ წარსულში მოხდარი ფაქტების ანალიზი შედარებით ადვილია რუკას ნახულობ და მიზეზებსაც პოულობ, მაგრამ იგივე მიზეზები, რომ გამეორდება და რაღაცის გამო კომპენსირებულია ამის დანახვა უფრო რთულია. წარსულის ანალიზი ადვილია, მომავალში რა ვქნათ? მომავალში ჩვენ მსგავსი პერიოდების დაფიქსირება შეგვიძლია და შეგვიძლია გონიერ ადამიანებს მივცეთ კონკრეტული რჩევები. როდესაც მასობრივ საკითხებში განსახილველად გადავდივართ, თუ ასეთი საკითხი კეთილ მოსურნე ადამინმა ან მთავრობამ იცის, ვთქვათ ძალოვანმა სტურუქტურებმა, მაშინ ეს უნდა შეინახონ საიდუმლოდ და შეეცადონ მის გამოყენებას. როგორც კონტრდაზვერვის მიზანია ყველა ხიფათი წინასწარ აიცილოს, განმუხტოს, ნაწილი გადაავადოს როგორმე და არ მიიღოს დიდი დარტყმა. ასეთივეა ასტროლოგიური პროგნოზიც ზუსტად. ეს ინფორმაცია უნდა იყოს არა მასობრივი საშუალებებით გახმაურებული არამედ შესაბამისი უწყებების მიერ ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებული. ამიტომ აღნიშნული ინფორმაცია შესაძლო ტერორისტებს და შავ ძალებს არ უნდა გააგებინო. ისინიც ცდილობენ სავარაუდოდ თავის ცოდნის მობილიზებით ცუდის გაკეთეთებას, ქართველი ერის ისტორიაში გვაქვს მაგალითები, როცა ბევრმა ჩვენმა წინაპარმა თავი გასწირა რომ მიეღო დადებითი შედეგები სამშობლოსათვის., ისინი მართლაც გმირები არიან. უფრო დიდი გმირობაკი ის არის, რომ თავი კი არ გავწიროთ, არამედ ის დრო შევარჩიოთ როცა ნაკლები ძალისხმევით უდიდეს შედეგს მივიღებთ. რაც შეეხება ტერაქტებს ვერ გეტყვით ვერაფერს განსაკუთრებულს თუ კონკრეტული ანალიზი გაკეთდება, ის არასდროს გამოქვეყნდება ჩემი მხრიდან.

- საერთოდ შესაძლებელია ტერაქტების გამოთვლა?

- შესაძლებელია! შესაძლოა დაძაბული ასპექტების გამოყოფა და მაგ დროს უფრო მეტი მობილიზაციის გაკეთება ისე რომ იგივე ტერორისტებმა ეს ვერ შენიშნონ ეს. შესაძლებელია როგორც კონტრდაზვერვის ინფორმაციის გამოყენება: წინასწარ ელოდებოდე, უყურებდე და ფაქტზე დაიჭირო. თქვენი ჩამოთვლილი კითხვები ყველა სტრატეგიულია, ალბათ ამიტომაც გააერთიანეთ ერთ კითხვაში. თითოეული მათგანი სტიქიური უბედურებასავით გვატყდება თავს და ყველა მათგანის პოპულარიზაცია არის დანაშაული. მათი შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო. მე ასტროლგიური ეთიკის დარღვევად მიმაჩნია ისიც, როდესაც დედა ცდილობს შვილი ასტროლგიური პროგნოზით მართოს.

- გასული საუკუნის დასაწყიში ცნობილი ამერიკელი ასტროლოგი ევანჯელინა ადამსი ნანობდა, რომ თავის შვილის ასტროლოგიური პროგნოზის გაკეთება გადადო და ვერ შეძლო პრევენციული ზომები გაეტარებინა და გადაერჩინა

- თვითონ მიდგომა სწორია – შესაძლოა აეცილებინა მე ჩემი 3 შვილის ჰოროსკოპი გაკეთებული მაქვს მათი დაბადებიდან ძალიან მალე! როდესაც ხედავ მონაცემებს, განსაზღვრავ შესაძლო ნიუანსებს, შეგიძლია ცხოვრება უკეთესობისკენ წაიყვანო. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა უფლება გვაქვს ჩავერიოთ სხვის ცხოვრებაში? ამ შემთხვევაში ასტროლოგი სხვის ცხვორებაში კი არ ერევა, არამედ რჩევას და მიმართულებას გთავაზობთ, ამ მიმართულების არჩევით შესაძლებელია მაქსიმალურად სწორად და კომფორტულად გავიაროთ ცხოვრების გზა. საქმე იმაშია, რომ კონკრეტულ ადამიანს რაც აქვს გასავლელი ენერგეტიკულად, როგორი ენერგიაც მას აქვს თავის თავზე მისაღები და გადასამუშავებელი მაინც გაივლის, მაგრამ მას ეძლევა საშუალება თუნდაც ასტროლოგიური პროგნოზის საშუალებით, ეს ენერგია გადაანაწილოს სწორად, თანაბრად ან ჰარმონულულად და გაიაროს ნაკლები ფიზიკური დარტყმებით ანუ უფრო მეტი წარმატებით თავის განვითარების გზაზე. არასოდეს ნათალური რუკით არ განისაზღვრება ადამიანის ბედი ცალსახად. ის ასტროლოგიც მართალი იყო რომ ნანობდა იქნება ადრე გაეკეთებინა ასტროლოგიური პროგონზი და უფრო მეტი დრო ექნებოდა საშველად, უფრო ადრე ჩაერეოდა მიმდინარე პროცესებში და შეძლებდა აეცილებინა თავიდან ამხელა დარტყმა., ადამიანს ოდნავ მაინც რომ შეაცვლევინო დროულად მიმართულება, ის შეიძლება არ გადაიჩეხოს და უფსკრულის ციცაბო გვერდზე შედარებით მშვიდად გაიაროს, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ხედავს რომელ ნაპრალში უნდა ჩავარდნილიყო და იგივე ენერგეტიკას სტრესის სახით განიცდის, მაგრამ ფიზიკურად არ ტყდება მასზე. ამიტომ ის გადარჩება, გაივლის მაგრამ ის ენერგეტიკაც, რომელიც უნდა გაევლო გაიარა სტრესის სახით. შესაბამისად აქ არ ირღვევა კოსმოსური კანონი, რადგან შეგნებულად აირჩია რომელიმე ცოდნის, ამ შემთხვევაში ასტროლოგიურის გამოყენებით, რომ არ ჩაჩეხილიყო და მხოლოდ დაენახა საფრთხე...

- თქვენ წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ 90-იან წლებში თქვენ კოლეგებთან ერთად საქართველოს ასტროლოგიური რუკა გააკეთეთ, ინფორმაციამ შეგძრათ და აღარ გააგრძელეთ გაშიფვრა. რა ინფორმაცია იყო ასეთი და რა პერიოდს მოიცავდა?

- ეს იყო გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით აგებული ჰოროსკოპი, რომელიც პირდაპირ საათზე არ არის დამოკიდებული — აღებულია კონკრეტული საწყისი ადგილი და საწყისი მერიდიანი, საიდანაც კეთდება ჰოროსკოპი კონკრეტული კოორდინატების გადაანგარიშების მიხედვით. ის რთული პერიოდი რომელმაც ჩვენ შეგვაშინა, უკვე გასულია.

- ანუ, რთული პერიოდი გავიარეთ და უკეთესი გასავლელი გვაქვს?

- დიახ, მომავალი ბევრად დამაიმედებელია. ჩვენ შეგვაშფოთა იმან, რამდენად ზუსტად აღწერდა პროგნოზი მიმდინარე მოვლენებს. მაგრამ ქვეყნის მტრებსაც შეუძლიათ შეადგინონ და ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენონ ასტროლოგიური პროგნოზი. ამიტომაც მნიშვნელობა აქვს წინააღმდეგობის ხარისხის გათვლას, მოგერიებას, დაშლას, სწორი დროის შერჩევას და ინფორმაციის გონივრულად გამოყენებას.

- თუ გვაქვს ნათალური რუქა, ასევე განსზღვრული დროის პროგნოზი შეგვიძლია ავიცილოთ მოულოდნელი, არასასიამოვნო სიურპრიზები?

2002 წელს ჩემს მეგობარს თქვენი გაკეთებული პროგნოზის თანახმად განსაზღვრულ პერიოდში კატეგორიულად ეკრძალებოდა, მუცლის ფარზე ნებისმიერი მანიპულაცია, რატომღაც მან ვერ თუ არ გაითვალისწინა გაფრთხილება და ზუსტად აკრძალულ მომენტში გაკეთებული ნაღვლის ბუშტის ოპერაციის შედეგად დაიღუპა 33 წლის ასაკში.

- ეს ადამიანი კარგად მახსოვს, რადგან იგი იყო იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, რომელმაც ჩემს ბაზაში სახელის და გვარის ნაცვლად ფსევდონიმით ჩამაწერინა თავის მონაცემები და შემდეგ ძალიან მალე ითხოვა მათი წაშლა. ძალიან გულნატკენი დავრჩი, როცა ეს ამბავი გავიგე. ადამიანი როცა ცდილობს ზედმეტად დაიმალოს ეს ნიშნავს, რომ პიროვნება სერიოზულ კონფლიქტშია კოსმოსთან, — რაღაცას ემალება, თუმცა

მაინც „მოჯადოებულ» წრეში აღმოჩნდება. მე ვთვლი, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება მოიტეხოს კისერი ისე, როგორც მას სურს ანუ ჩვენ არ გვაქვს უფლება სხვებს შევუცვალოთ კარმა, კარმას თვითონ ცვლის ადამიანი გააკეთებს რიგიანად ყველაფერს ან არ გააკეთებს და მოიტეხს კისერს. რამოდენიმე შემთხვევა მახსოვს როცა პიროვნება ითხოვდა: ნუ ჩაერევი, ნუ ნახავ ჩემს პროგნოზს, ნუ გააკეთებ... მათგან უმრავლესი შემთხვევა ფატალური შედეგით დასრულდა. ასტროლოგიურ პროგნოზში იშვიათია კატეგორიული აკრძალვა და ეს ნიშნავს რომ სიტუაცია ძალიან საშიში და უპირობოდ გასათვალისწინებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი სერიოზულად რისკავს! თქვენს მეგობარს რჩევა, რომ გაეთვალისწინებია არაფრით არ დადგებოდა ფატალური შედეგი, სამწუხაროდ რაც მოხდა იმას



ვერაფრით ვერ შეცვლი. ენერგეტიკულად ის გაივლიდა ამ გზას, ცუდად იქნებოდა, მიხვდებოდა რომ რაღაცას გადარჩა. ელემენტალურად როცა შენსკენ უზარმაზარი ლოდი მოგორავს უნდა გაიწიო. თუ ადამიანს არა აქვს არა მარტო ინტელექტუალური მზაობა წაიკითხოს, და გაიაზროს ასტროლოგიური პროგნოზი, მაშინ საერთოდ რაში სჭირდება ნათალური რუკა. ხშირად მეკითხებიან რა ასაკიდან სჭიირდება ადამიანს ნათალური რუქა, რა თქმა უნდა სასურველია დაბადების მომენტიდან გაკეთდეს, თუმცა ასაკოვან ადამიანებსაც ძალიან გამოადგებათ და მათაც შეუძლიათ რადიკალურად შეცვალონ თავისი ცხოვრება. უფრო მეტიც ადამიანს შეუძლია ასაკობრივი დაღმავალი პერიოდი მოატრიალოს. ეს არის იოგების მიდგომა. პრაქტიკულად აგნი იოგაშია ეს გამოკვეთილი. ადამიანმა უნდა გაიმარჯვოს ქრონოსზე ანუ სატურნზე ის უნდა გავიდეს მისი გავლენის ქვეშიდან...

- მზის და მთვარის დაბნელებები რა გავლენას ახდენს ადამიანებზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე?

- ასტროლოგია თვლის, რომ გავლენა ხდება და ეს გავლენა სხვადასხვა ავტორებისგან და სკოლების მიერ შეფასებულია განსხვავებული სირთულის და სიმძლავრის მოვლენებად. ვისაც დაბნელება უნახავს, განიცდის მინიმუმ ემოციურ ზეგავლენას. ასტროლოგია თვლის, რომ გავლენა იყოფა სხვადასხვა დონეებად, სხვადასხვა სირთულეებად, ითვლება, რომ რამდენ ხანსაც მიმდინარეობს მზის დაბნელების სრული ფაზა, დაბნელება იმდენი თვე აქვს ზეგავლენა დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე. მოდით, განვიხილოთ მომავალი მზის და მთვარის დაბნელება, რომლებიც მიმდინარე წლის სექტემბერში მოხდება. პირველ სექტემბერს არის მზის ნაწილობრივი დაბნელება ანუ სრული არ არის (სრული თუ არ არის გავლენაც მინიმალური იქნება). ასევე თექვსმეტ სექტემბერს არის მთვარის დაბნელება (გარე ჩრდილის დაბნელება) რომელიც „შებნელება“ უფრო იქნება.

- ასტროლოგიას მეცნიერებად აღარ აღიარებენ, გასული საუკუნის დასაწყისში ასტროლოგ ევანჯელინა ადამსს სასამართლო პროცესზე მოუწია იმის დამტკიცებამ, რომ ასტროლოგია მეცნიერება იყო და თან ზუსტი მეცნიერება! როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

- ევანჯელინა იმყოფებოდა სასტუმროში, მის მეპატრონეს გაუკეთა ჰოროსკოპი და გააფრთხილა, რომ არსებობდა ხანძრის ხიფათი. იმ ღამეს სასტუმროში გაჩნდა ხანძარი და ასტროლოგი დააპატიმრეს, როგორც ხანძრის გაჩენაში ეჭვმიტანილი. ამას 4 საუკუნის წინანდელი სამარცხვინო წინაპირობა ჰქონდა: მიშელ ნოსტრადამუსის შვილმა იწინასწარმეტყველა ერთ-ერთი ქალაქის ხანძარი და ღამე დააკავეს, როცა ქალაქის გადაწვას ცდილობდა და ამ სამარცხვინო საქციელის გამო დასაჯეს. ევანჯელინა პირდაპირ ცნეს ეჭვმიტანილად. მან რა თქმა უნდა ბრალი პირდაპირ უარყო, მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა, თუმცა ასტროლოგს პირდაპირ სასამართლო დარბაზში მოუწია იმის დამტკიცება, რომ მათემათიკური სიზუსტით შეეძლო გამოეთვალა პიროვნების წარსული და მომავალი. მოსამართლემ ასტროლოგს თავის შვილის მონაცემები „შეაპარა» და ბრალდებულის ზუსტმა ანალიზმა ისე აღაფრთოვანა, რომ განაჩენში ჩაწერა: „ევანჯელინა ადამსმა ასტროლოგია აიყვანა ხელოვნების რანგში“. ასტროლოგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ამ პროცესს მოყვა ის, რომ პოპულარულ რადიოში მიიწვიეს ახალი, ასტროლოგიური გადაცემის ხელმძღვანელად და მისი დიდება მოედო მთელ მსოფლიოს.

ასტროლოგია საინტერესოა, მაგრამ ვფიქრობ არ არის ადვილი ვარსკვლავების ენის შესწავლა, არც კოსმოსთან ჰარმონიული კავშირში ყოფნაა იოლი და ყველაზე რთული კარგის და ცუდის ერთმანეთისაგან განსხვავებაა იდუმალი კოსმოსი კი მხოლოდ შეუპოვარი შრომის და ბრძოლის შემდეგ გაძლევს დაშვების კოდს თავის უმშვენიერეს, მშვიდ სამფლობელოში.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– რა არის ბე?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-423-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად.

მუხლი 421.

ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება,- ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

– ვყიდულობ ბინას. ვინ უნდა გადაიხადოს აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები – მე თუ გამყიდველმა?

-სამოქალაქო მუხლი 479. უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

* * *

– არის თუ არა სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება?

– რასაკვირველია, სავალდებულოა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესაო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

* * *

– მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

* * *

– I ინსტანციის სასამართლოში მყავდა წარმომადგენელი, რომელიც არ იყო ადვოკატი. სასამართლომ ის არ დაუშვა პროცესზე. რამდენად სამართლიანად მოიქცა სასამართლო?

- თქვენ არ გიცნობებიათ ჩვენთვის, თუ რა მოტივაციით არ დაუშვა სასამართლომ პროცესზე თქვენი წარმომადგენელი. ამიტომ კონკრეტულად თქვენს საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განჩინებაზე იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არ არის ადვოკატი, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ინკების ოქროსა და ელდორადოს ძიებაში

ელდორადოს შესახებ (ესპანურიდან ელ დორადო – მოოქრული, ოქროსი) ბევრი წიგნია დაწერილი, გადაღებულია ფილმები, შექმნილია ბევრი სიმღერა და კომპიუტერული თამაში. მაგრამ ჩვენს დროში ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, საიდან დაიწყო ამ იდუმალი ქვეყნის ძებნის ისტორია. სამხრეთ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ძველი სამყაროს ყველა ავანტიურისტი, როგორც კი მიხვდნენ, რომ იოლი გამდიდრების შანსი გაჩნდა, ამ კონტინენტისკენ გაემგზავრა. ინდიელების აურაცხელი სიმდიდრის შესახებ ჭორები დამპყრობლებს გონებას უფორიაქებდა...

კონკისტადორების კვალდაკვალ

პერუელ ინკებში ოქრო მზის ღმერთის წმინდა ლითონად ითვლებოდა. ის განკუთვნილი იყო მსხვერპლშეწირვისთვის, მისგან მზადდებოდა სხვადასხვა სამკაულები, ფიგურები, დიადი ინკების ტახტები და საყოფაცხოვრებო ნივთებიც.

1531 წელს სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან ავანტიურისტისა და დამპყრობლის ფრანცისკო პისაროს გემი მიცურდა. ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე ინკების იმპერიაში განხეთქილება მოხდა. დიადმა ინკმა უაინა კაპაკმა სიკვდილის წინ იმპერია ორ ნაწილად გაყო. სამხრეთი ნაწილი თავის კანონიერ ვაჟს უასკარს გადასცა, ჩრდილოეთი კი – თავისავე უკანონო შვილს ატაუალპეს. ძმებმა გაყოფა არასამართლიანად ჩათვალეს და ერთმანეთში შუღლი დაიწყეს. სწორედ ამ რთულ პერიოდში ჩამოვიდა ამერიკაში პისარო.

ინდიელებში ძველი დროიდან არსებობდა ლეგენდა, რომ ყოვლისშემძლე თეთრმა ღმერთებმა დედამიწა დატოვეს და დაპირდნენ მათ, რომ ოდესმე დაბრუნდებოდნენ.

გულუბრყვილო ინკებმა პისარო და მისი რაზმი დედამიწაზე დაბრუნებულ დიად ღმერთებად ჩათვალეს. უასკარმა და ატაუალპამ კი მიიჩნიეს, რომ ღმერთები იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ მათ ბრძოლაში დახმარებოდნენ. თითოეულს სჯეროდა, რომ ღმერთები სწორედ მის მხარეს დაიჭერდნენ და მტერს დაამარცხებდნენ.

ვერაგმა პისარომ ერთხელ ატაუალპა სადილად დაპატიჟა. გულუბრყვილო ინკი მასთან ოქროს ტახტრევანით მივიდა ყოველგვარი იარაღის გარეშე, ამით ინკები აჩვენებდნენ, რომ მომხდურთა მიმართ კეთილგანწყობილები იყვნენ. მაგრამ კონკისტადორებმა ატაუალპა შეიპყრეს, მისი თანმხლები პირები კი დახოცეს.

ასე აღმოჩნდა ინკი ტყვეობაში. თუმცა, მან ტყვეობაშიც შეინარჩუნა ზოგიერთი პრივილეგია – მიჰგვარეს ცოლები, საკვებს ოქროს და ვერცხლის ჭურჭლიდან მიირთმევდა და ძვირფასი სამოსით იმოსებოდა.

მაგრამ ატუალპა თავისუფლებისკენ მიილტვოდა. ერთხელ მან თავისუფლების საფასურად კონკისტადორებს იმდენი ოქრო შესთავაზა, ერთ დიდ ოთახს რომ აავსებდა. ესპანელი მაშინვე დათანხმდა.

ინკების იმპერიაში დაიწყეს ოქროსა და ვერცხლის სამკაულების შეგროვება. რამდენიმე დღის განმავლობაში მტვირთავებს პისაროს მოსასვენებელ ოთახში მოჰქონდათ დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა და უზარმაზარ მთებად ახვავებდნენ. ინკმა შეასრულა დანაპირები, მაგრამ კონკისტადორმა სიტყვა გატეხა და ატაუალპა მოკლა...

კუსკოს ოქროს ბაღი

ესპანელები უთვალავი სიმდიდრის მფლობელები გახდნენ. მათ მოინდომეს მთელი იმპერიის დაპყრობა და ინკების იმპერიის დედაქალაქისკენ, კუსკოსკენ დაიძრენ.

აი, როგორ აღწერს ამ ლაშქრობებს თვითმხილველი:„ ახლა მე გიამბობთ იმაზე, რა ვიხილეთ, როცა კუსკოში შევედით... გაოგნებულნი ვუმზერდით ჩვენ ოქროს, ვერცხლისა და ხისგან დამზადებულ ჭურჭელს. სხვა ნივთებთან ერთად ჩვენ აღმოვაჩინეთ ოქროს სამკაული. ინდიელებმა წუხილიით გვითხრეს, რომ მასზე ინკების დინასტიის დამფუძნებლის გამოსახულება იყო. ჩვენ აღმოვაჩინეთ ასევე ოქროს ჭურჭელი, რომლებიც ფრინველების, გველების, ობობების, ხვლიკების და სხვა მწერების ორნამენტებით იყო მოხატული“.

ესპანელები გაოგნებულები იყვნენ ინკების იმპერიის მთავარი ქალაქის სიდიადით. მზის ტაძრის შენობა ოქროსგან იყო აგებული.. ღმერთების გამოსახულებები ოქროსგან და ძვირფასი ქვებისგან იყო დამზადებული.

ტაძრის გვერდით არნახული საოცრება იყო – „კუსკოს ოქროს ბაღი“. აი, როგორ აღწერეს ის ესპანელებმა: „ამ ბაღში დარგული იყო ყველაზე ლამაზი ხეები და ყველაზე არაჩვეულებრივი ყვავილები და სურნელოვანი ბალახები, რომლებიც არსებობდა ამ სამეფოში. ბევრი მათგანი ჩამოსხმული იყო ოქროსგან და ვერცხლისგან, ამასთან, თითოეული მცენარე მარტო ერთი ცალი კი არ იყო, არამედ წარმოდგენილი იყო ახლადამოწვერილი ღეროც და უკვე ზრდასრული მცენარის ბუჩქიც. აქ ვნახეთ სიმინდის მინდვრები. მათი ღეროები ვერცხლისგან იყო დამზადებული, ხოლო ტაროები ოქროსგან. ეს ყველაფერი ისეთი ოსტატობით იყო გაკეთებული, რომ ადვილად გაარჩევდით ფოთლებს, სიმინდის მარცვლებს და სიმინდის ულვაშსაც კი. ამ ბაღში მცენარეების გარდა იყო ცხოველები და მზეცები, რომლებიც ოქროსგან და ვერცხლისგან იყო დამზადებული.

ქალაქის მთავარ მოედანზე სიდიადისგან შეძრულმა კონკისტადორებმა დაინახეს ოქროსგან დამზადებული უზარმაზარი ჯაჭვი. მისი სიგრძე 250 მეტრამდე იყო. ის გარს ევლებოდა მოედანს, დღესასწაულების დროს ინდიელებს ცეკვისას ის ხელში ეჭირათ...

ზღაპრული სიმდიდრის ძიებაში

კონკისტადორებისთვის ნათელი იყო, რომ ეს მხოლოდ ინდიელების სიმდიდრის ნაწილი იყო. არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ ინკი მანკო II ერთხელ ესპანეთის ელჩს შეხვდა და მის წინ მაგიდაზე ოქროს სიმინდის მარცვლები დაყარა. შემდეგ მანკომ ერთი მარცვალი აიღო და უთხრა: „ეს არის, რაც თქვენ მოპარეთ ინკებს“. მერე კი დანარჩენზე უჩვენა და უთხრა: „ეს კი ის ოქროა, რაც ჩვენ დაგვრჩა“.

ძველი ლეგენდები ირწმუნებიან, რომ ტროპიკულ ტყეში არსებობს იდუმალი ქვეყანა ელდორადო, რომელიც ოქროთი და ძვირფასი ქვებითაა მდიდარი, სადაც ჩვეულებრივი სამზარეულოს ნივთებიც კი ძვირფასი ლითონებისგან არის დამზადებული, მაგრამ ის ჯერ ვერავინ იპოვა.

ტივი ტბის ფსკერზე

ტბა სიეჩა, ოქროს მაძიებლებმა 1856 წელს ამოაშრეს. მას შემდეგ, რაც ტბის სიმაღლემ 3 მ-ით დაიწია, მის ფსკერზე იპოვეს რამდენიმე ზურმუხტი და ოქროს ნივთები. ყველაზე ფენომენალური აღმოჩენა გახდა ოქროს ტივი, რომელზეც გამოსახული იყო მმართველი ცხრა ქვეშევრდომთან ერთად. ლეგენდამ წმინდა ტბის შესახებ მატერიალური დადასტურება მიიღო, რამაც ინდიელების მიმართ ინტერესის ახალი ტალღა გამოიწვია.

1912 წელს ინგლისში ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება, რომლის მიზანი იყო ტბა გუატავიტადან მუსკების სიმდიდრის ამოღება. ტბის ნაპირთან მიიტანეს უზარმაზარი ტუმბოები, ამოტუმბეს წყალი, მაგრამ მხოლოდ 10 ათასი დოლარის ღირებულების სიმდიდრე აღმოაჩინეს მაშინ, როცა დანახარჯი 100 ათას დოლარს შეადგენდა...

დაკარგული ექსპედიციები

ჩვენს დროშიც არ ასვენებს თავგადასავლების მაძიებლებს ელდორადოს საგანძური. ცნობილი მოგზაურმა იაცეკ პალკევიჩმა განახორციელა ყველაზე სერიოზული მცდელობა ელდორადოს პოვნისა. ყველაფერი კი ძველი ხელნაწერიდან დაიწყო, რომელიც რომის იეზუიტთა ორდენის არქივში აღმოაჩინეს. ესპანელი მღვდლის ხელნაწერში მოთხრობილი იყო ინკების მმართველის შესახებ, რომელიც მისიონერებმა ქრისტიანულ რელიგიაზე მოაქციეს. ახალგაქრისტიანებულმა გადაწყვიტა ქრისტიანობაში საკუთარი წვლილ შეეტანა და ქრისტეს სადიებლად ოქროს მასიური ბლოკებისგან აეგო ტაძარი.

ქრისტიანმა მღვდლებმა გადაწყვიტეს, საიდუმლოდ შეენახათ ინკების ბელადის სიტყვები, რათა ევროპაში „ოქროს ციებ-ცხელება არ გამოეწვიათ“. მისიონერების ხელში აღმოჩნდა „ნივთმტკიცება“ – თავის დროზე პიურას ტომის ინდიელმა მათ ოქროს ცული აჩუქა, რომელიც თითქოს „ოქროს ქვეყნიდან“ ჩამოიტანა. პალკევიჩი საფუძვლიანი გამოკვლევებისა და დიდი წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გაუდგა გზას საკმაოდ დიდ ჯგუფთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ იტალიელები, პოლონელები, არგენტინელები, რუსები. მათი მიზანი საიდუმლო ნაგებობები იყო, რომლებიც ხელშეუხებელი ტროპიკული ტყის სიღრმეში მდებარეობდა პერუს ანდების აღმოსავლეთ ფერდობთან, მდინარე რიო-ალტო-მადრედე-დიოსის ველზე.

ამერიკული ხელოვნური თანამგზავრიდან ამ ტერიტორიის სურათია გადაღებული. სურათზე ნათლად ჩანს უძველესი ნაგებობები. ოქროს მაძიებლები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ინკების ქალაქის პაიტიტის ნარჩენები იყო, სადაც საგანძური ინახებოდა.

იდუმალ ქალაქამდე ექსპედიციამ ვერ მიაღწია. მოგვიანებით პალკევიჩმა ინტერვიუში თქვა, რომ ამის მიზეზი ექსპედიციის წევრების დაღლილობა და მათ შორის კონფლიქტები გახდა. ცოტა უცნაური განცხდებაა იმ ადამიანისგან, რომელმაც თითქმის მიაღწია მიზანს. ასეა თუ ისე, შესაძლოა, ელდორადოს აღმოჩენამდე სულ ცოტაღა დარჩა...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 908 122

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com